# დროშა

№ 1 იანვარი 1958

619
1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

619/2





# რუსთავის მეათე გაზაფხული

მეათე გაზაფხულს შეხვდა ქართული მეტალურგების პირმშო ზამთრის სუსხიან დღეებში დაბადებული, ღუმელებისა და ბრძმედების ქალაქი რუსთავი. ქარხნის აგებამდე და პირველი ქართული ფოლადის მიღებამდე ასობით ქართველი ახალგაზრდა მოუდინებული იქნა რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში მეტალურგთა პროფესიების დასაუფლებლად. დღეს კი რუსთავის ფოლადისმდნობელნი თვითონ არიან გამოცდილი და სახელგანთქმული მეტალურგები.

ქარხანასთან ერთად გაიზარდა მუშათა ქალაქი რუსთავი, რომელიც დღითი-დღე მშენდება და ფართოვდება. თანდათან მატულობს ქალაქის მოსახლეობაც, „დავიბადე რუსთავში", ღიმილით გიპასუხებენ თქვენს შეკითხვაზე რუსთაველი ბავშვები და აზრადაც არ მოსდით, რომ ისინი ახალი ქალაქის პირველი მკვიდრნი არიან.

რუსთაველები კვლავაც გააღრმავებენ შრომითს მიღწევებს, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანენ საქართველოში ფოლადის წარმოების საქმეს.



**რუსთავის მე-10 წლისთავს შესანიშნავი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა მეფოლადე ვ. ქაბაშვილი, რომელმაც ახოვბით ზეგეგმითი ფოლადი მისცა სამშობლოს. ფოტოზე: მეფოლადე ვ. ქაბაშვილი (მარჯვნივ) და ცვლის ოსტატი ა. ელბაქიძევი საუბრობენ ნადნობის ხარისხზე.**




**მთელს ჩვენს სამშობლოში ახალი შემოქმედებითი აღმავლობით მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. საარჩევნო სამზადისი ფართოდ გაიშალა ქართველ მეფოლადეთა ქალაქშიაც. ფოტოზე— რუსთავის ქიმიკოსების კულტურის სახლი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მე-14 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი.**

**ფოტო რ. მორჩილაძისა და კ. კრიმსკის.**

**რუსთავი. ცენტრალური მოედანი.**



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (78) იანვარი 1958 წელი

გამოცემის VII წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის პრეზიდიუმი.
ტრიბუნაზე — სკკპ ც. კ-ის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქ. კპ ც. კ-ის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

7746

# საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

მიმდინარე წლის 27-29 იანვარს ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობამ შეაჯამა XVII ყრილობიდან განვლილი მუშაობის შედეგები, დასახა ახალი ამოცანები რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის შემდეგ განვლილი ორი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ბევრი შესანიშნავი მოვლენა მოხდა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელმაც დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

განუხრელად ასრულებდა რა პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მიერ არჩეულმა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. პ. ვ. კოვანოვი, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები: გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე.

პლენუმმა აირჩია საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები კ. ნ. გალიცკი, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, ა. ნ. ინაური, პ. ვ. კოვანოვი, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ვ. პ. მჟავანაძე, გ. ი. ქადაგიძე, მ. დ. ჩუბინიძე, გ. დ. ჯავახიშვილი.

საქ. კპ ცკ-ის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები: გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, გ. ი. ჩოგოვაძე.

საქ. კპ სარევიზიო კომისიის სხდომაზე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. დ. ვ. გელაშვილი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

# რით გაახარებთ მომხმარებელს?









— რით გაახარებთ მომხმარებელს? რას ამზადებთ ახალს? რას მიაწოდებთ ისეთს, რაც აქამდე არ მზადდებოდა და არ იყიდებოდა ჩვენს რესპუბლიკაში? — ამ კითხვით მივმართეთ თბილისის იმ ფაბრიკა-ქარხნებისა და სავაჭრო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნებით ამარაგებენ მოსახლეობას.

ახალწლის მოსვლასთან ერთად ჩვენი მრეწველობაც შეუდგა მრავალი ახალი სახის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, საშეურნეო მოწყობილობის და ავეჯის, საკრავი ინსტრუმენტების თუ მატერიების, ახალი მარკის ღვინისა და პაპიროსის, კონსერვებისა და ნამცხვრის და კიდევ მრავალი ახეული ნივთისა და პროდუქტის გამოშვებას.

ბევრი მათგანი აქამდეც მზადდებოდა, მაგრამ ახლა უკეთესი ხარისხისა იქნება. მრავალი კარგი და უკვე მომხმარებელთა მიერ მოწონებული ნივთი ახლა უკეთესად იქნება შეფუთული, ლამაზ და მაგარ მუყაოს კოლოფში, ფერადი ეტიკეტით დამშვენებული.

— ჩვენ გვინდა, რომ ეს კოლოფები და ბოთლები არა უსახო „ტარა" იყოს, არამედ ლამაზი და კოხტა ნივთი, რომელიც თვალს გაახარებს და სამახსოვროდ დარჩება ყველას, ვინც მას ხელში აიღებს, — ამბობს მხატვარი სევერიან კეცხოველი, რომელიც ხელმძღვანელობს კვების მრეწველობის სამმართველოს საგანგებო სამხატვრო სახელოსნოს. საიდანაც უკვე მრავალი შნოიანად და გემოვნებით შესრულებული ღვინის ბოთლის ეტიკეტი თუ პაპიროსის კოლოფი გამოვიდა.

კარგი საჩუქარი იქნება მყიდველისათვის არა მარტო ის, რომ კოლოფში საუკეთესო პაპიროსია, არამედ ისიც, რომ იგი ლამაზად შესრულებული ნახატით იქნება დამშვენებული, რომ მას შნოიანი დასახელება ექნება და არა სტანდარტული და წლების განმავლობაში მობეზრებული. მიმდინარე წელს რბილ ქაღალდში გახვეული „ბელომორის" ნაცვლად თბილისის ქარხნები გამოუშვებენ მუყაოს კოლოფით ახალი მარკის პაპიროს „რუსთავს", უმაღლესი ხარისხის № 8 პაპიროსი („ყაზბეგის" ტიპისა) გამოვა სახელწოდებით „თბილისი" და დამზადებული იქნება საუკეთესო ხარისხის ქართული თამბაქოსგან, ყოველგვარი მინარევების გარეშე. მის კოლოფს დაამშვენებს თბილისის ხედი და ეს პაპიროსი თბილისის 1500 წლისთავის იუბილეს მიეძღვნება.

— დიასახლისებისათვის ფრიად მოხერხებული იქნება ის, რომ მაღაზიებში შაქრის ფხვნილი, ღერღილი, ბრინჯი და სხვა ფხვიერი პროდუქტები ნახევარზე მეტი წინასწარ აწონილ იქნება და მუყაოს კოლოფის ან ქაღალდის პაკეტებით გაიყიდება.

— რით გაახარებთ მომხმარებელს საგაზაფხულო სეზონისათვის? — შევეკითხეთ მოდელთა რესპუბლიკური სახლის დირექტორს ნინო ბეჟანიშვილს. პასუხად მან მოსაწვევი ბარათები მოგვაწოდა: — დღეს სწორედ ჩვენი ახალი მოდელების განხილვაა...

თავმჯდომარემ ზარი, ალბათ, ჩვეულების გამო დარეკა, თორემ დარბაზში ისედაც არავინ ხმაურობდა. ახლა სრული სიჩუმე დამყარდა და შემოსასვლელ კარებთან შეჯგუფებულნი, დაგვიანებით მოსულნიც გაინაბენ.

— სამხატვრო საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ... ამხანაგო ნინო, გთხოვთ...

...ვინც პირველად ესწრება მოდების რესპუბლიკური სახლის სამხატვრო საბჭოს სხდომას, მისთვის ბევრი რამ უცხო და გასაკვირველი იქნება.

ჩვენ შევდივართ მაღაზიაში და ვყიდულობთ ტანსაცმელს, რომელიც მოგვეწონა ან ვუკვეთავთ სამკერვალო სახელოსნოში მოდების ჟურნალის ნიმუშის მიხედვით და არ გვაფიქრებს თუ როგორ, რანაირად იქმნება ეს ნიმუშები, იქნებ გაგვაკვირვოს კიდევაც იმ დაძაბულმა ყურადღებამ, იმ, შეიძლება ითქვას, ნამდვილად „აკადემიურმა" განწყობილებამ, რომლითაც სამხატვრო საბჭოს წევრები და მთელი დარბაზი ათვალიერებენ ქალის კაბებსა და პალტოებს, ბავშვის ტანსაცმელს და კაცის კოსტუმებს, რომლებიც მათ სამსჯავროდ გამოიტანეს მოდელთა რესპუბლიკური სახლის მხატვარმა-მოდელიერებმა, ტექნოლოგებმა და ოსტატებმა მიმდინარე წლის საგაზაფხულო და საზაფხულო სეზონისათვის. „სამსჯავრო" დიდი გულისყურით და გულისხმიერებით იხილავს ყოველ ახალ მოდელს, ეს განხილვა მოგვაგონებს სამეცნიერო დისერტაციის გარშემო გამართულ პაექრობას. ასევე უხდება ავტორს თავისი საავტორო ჩანაფიქრისა და მისი განხორციელების დაცვა და ასევე ყოველმხრივ იხილავს მის ნამუშევარს საბჭო.

დარბაზში დაძაბული ყურადღებაა, მერე იწყება შეკითხვები, მსჯელობა, კამათი. მხატვრების, მკერავების, სამკერვალო სამმართველოს და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლებს გარდა დარბაზში არიან ყველაზე უფრო მეტად „დაინტერესებული პირები" — ტანსაცმლის მაღაზიების და სექციების გამგეები, გამყიდველები. დარბაზის ერთი მხარე მთლიანად უჭირავთ თვით მომხმარებლებს ეს ორი ჯგუფი — გამყიდველები და მომავალი მყიდველები ყველაზე მეტ აქტივობას იჩენენ.

— მატერიაც კარგია, ფასონიც ლამაზია, სადაა და მოხდენილი, მაგრამ საყელო უხერხულია სახმარად, ხედავთ, როგორ აფერხებს თავის მოძრაობას? არა მომხმარებელს ეს თარგი არ მოეწონება! თანაც ეს გრძივი ნაოჭი მეტად ვიწროა, სიარულის დროსაც მთლიანად იშლება!

— რასა ბრძანებთ! ამაზე ფართო ნაოჭი უკვე ულამაზო იქნებოდა და მერე, იგი მეტად საჭიროა საერთო ჩანაფიქრის თანახმად. ეს ხომ სამუშაო კაბა არ არის! საგარეო კაბაა. დღის მეორე ნახევრისათვის განკუთვნილი. მე მგონია კაბა „კარგად გამოიყურება" (ასე იცავს ავტორი თავის ნაწარმოებს). მართლაც, კაბა კარგი სანახავია.

ჩვენ გვახსოვს დრო, როდესაც სამკერვალო ფაბრიკები უშვებდნენ უსახო და ულაზათო, მეტად გამარტივებულ „ნაწარმს", ანდა, პირიქით ყოველგვარი გემოვნების გარეშე, მაგრამ სხვადასხვა ბაფთებითა და ზონარებით უხვად „დამშვენებულ მზატანსაცმელს", ამიტომ სასიხარულოა ეს ზრუნვა ლამაზ, მოხდენილ, სატარებლად მარჯვე და მრავალფეროვან, ყველასათვის მისაწვდომი ღირებულების ტანსაცმელზე.

ამიტომაა, რომ სადა, მაგრამ კარგი თარგით შეკერილი, სულ უბრალო ხამი ტილოს კაბა, რომელსაც მხოლოდ ფერადი შტაპელის ზოლები აქვს ჯიბეებზე შემოკერებული, საერთო მოწონებას იმსახურებს.

— ფასი?

— ორმოცდათორმეტი მანეთი!

— ავტორი? — კითხულობს ვიღაცა. მომხსენებელი შეფერხდა. მაშინ თავმჯდომარემ თვითონ გამოაცხადა

— ავტორი თვითონ ნინო ბეჟანიშვილია!

„დამკვეთები" — სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთდროულად იმარჯვებენ ფანქრებსა და უბის წიგნაკებს და მოდელის ნომერს ინიშნავენ — რამდენი დავამზადოთ?

— ათასი!

— სამი ათასი!

— ხუთი!

















— არა! — ამბობს თავმჯდომარე. — კაბა კარგია, მაგრამ ხუთი ათასი რომ დავამზადოთ, — უაზროა. — წარმოიდგინეთ, ჩვენს ქალაქში რომ რამდენიმე ასეული ერთნაირ კაბაში გამოწყობილი ქალი გამოჩნდეს — რას ემგვანება? ჯერ სხვა მოდელები ნახეთ და მერე ვილაპარაკოთ რაოდენობის გამო.

გამოცდილი ადამიანისთვისაც უკვე ცხადი ხდება, რომ აი ამ საშემოდგომო კოხტა და სადა პალტოს ავტორი, ალბათ, ევგენია ჯავაშვილია, რადგან ჩვენ უკვე ვნახეთ რამდენიმე საინტერესოდ მოფიქრებული და საუკეთესო შესრულებული ნიმუში ამავე ავტორისა და, მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა, ვიცანით ავტორის „ხელი". გამოცდილი და ცნობილი ოსტატების ბეჟანიშვილის, კალანდაძის, რუხაძისა და ჯავაშვილის სახელებთან ერთად დიდი მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მოდელიერის ავალიანის დიდი გემოვნებით შესრულებულმა კაბებმა.

— მიღებულ იქნას მასიური დამზადებისათვის, ავტორი წავაქეზოთ. — ადგენს საბჭო. იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც მოდელს პირველივე შეხედვით იწუნებენ:

— არ ვარგა. შაბლონურია. ასეთებს უკვე ათი წელიწადი ამზადებენ ყველა სამკერვალო ფაბრიკები. მომხმარებელი არ მიიღებს. უარვყოფთ! და როდესაც სამხატვრო საბჭოს მიერ მიღებულ და შესაკერავად დამტკიცებულ რამდენიმე ათეულ კაბას, პალტოს და კაცის კოსტუმს ხედავ, ცხადი ხდება, რომ უკვე შეიძლება ლაპარაკი გარკვეულ მისწრაფებაზე. შეიძლება ეს ჯერ არ არის ჩამოყალიბებული „სტილი", მაგრამ ეს არის ის, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნას და [illegible] მომხმარებელს.

სადა, შნოიანი და მოხდენილი, სატარებლად მოხერხებული სამუშაო ტანსაცმელი; უბრალო, მაგრამ ლამაზად და გემოვნებით კარგი მატერიისგან შეკერილი, მრავალფეროვანი საგარეო ტანსაცმელი — ყველაზე უფრო ნატიფი გემოვნების „წუნია" ადამიანსაც კი დააკმაყოფილებს.

— რა გაქვთ ახალ მოსახლეთა, ახალი ოჯახის შემქმნელთა გასახარებლად? საერთოდ, ახალი რა გაქვთ? შევეკითხეთ თბილისის ავეჯის კომბინატის მთავარ ტექნოლოგს მაისურაძეს.

— ჩვენი კომბინატი თვითონაც ახალია და ყველაფერს, რასაც ჩვენ ვუშვებთ, ახალია... მართლაც, კომბინატის ნათელ და ვრცელ საამქროებში შესანიშნავი, ძვირფასი ხისგან დამზადებული საწოლი გარნიტურებია გამწკრივებული, მაგრამ ჩვენი ყურადღება სულ სხვამ მიიზიდა.

ავეჯის კომბინატის საგამოფენო დარბაზის ერთ კუთხეში — სადა, მაგრამ მეტად მოხდენილი, თეთრად შეღებილი მოწყობილობაა სამზარეულოსი: საგანგებო — სამზარეულოსათვის განკუთვნილი კარადები, თაროები, ჭურჭლის სარეცხად მოგვარებული მაგიდა საშრობი განყოფილებით... ერთი სიტყვით, უბრალო მაგრამ მეტად მოხერხებულად მოწყობილი ავეჯი, რომელსაც ჩვენი დიასახლისები ასე მოუთმენლად ელიან. ეს ავეჯი მეტად უბრალო და იაფია და მრავალი დიასახლისი მადლობით გაიხსენებს მის ავტორებს და ოსტატებს.

კიდევ ახალი ნიმუშები — „კუთხის კარადები". აი, კუთხის კარადა — შიფონერი — ტანსაცმელისათვის. იგი მცირე ადგილს იჭერს, მაგრამ მეტად ტევადია, სულ ადვილად თავსდება პატარა ოთახის კუთხეში. აი, ასეთივე კარადა — ბუფეტი. შიგ მოხერხებულად არის განაწილებული თაროები. შუა განყოფილებაში თაროები ღერძზეა დამაგრებული და თაროს შემობრუნებით სულ ადვილად მივწვდებით კარადის სიღრმეში დალაგებულ ჭურჭელს. აი, კომბინირებული კარადა მარტოხელა კაცისათვის ან პატარა ოჯახისათვის. მარჯვნივ და მარცხნივ ორი განყოფილება — ტანსაცმლისათვის, შუა განყოფილების ზედა ნაწილი ჭურჭლისათვისაა განკუთვნილი. ხოლო ქვედა ნაწილის დარაბას გამოაღებთ, დაამაგრებთ და იგი საწერ მაგიდად გამოგადგებათ — ხოლო მის პირდაპირ წიგნის თაროებია.

კარგია, რომ ეს კომბინირებული „კარადა-სეკრეტერები" სტანდარტული არ არის და რამდენიმე ნიმუშიდან ყველას შეუძლია ამოირჩიოს ისეთი, რომელიც უფრო მოეწონება.

გასახარია ისიც, რომ ყველა ეს ნივთები მეტად მკვრივად და კარგად არის შეკრული, კარგად მოპირკეთებული და გაპრიალებული.

სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის ტექნოლოგიური ლაბორატორიის გამგემ ჩვენს შეკითხვაზე, იმდენი ახალი ფეხსაცმელი გადმოალაგა, რომ მისი საწერი მაგიდა, მალე ფეხსაცმლის მაღაზიის ვიტრინას დაემსგავსა. სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა წელს 30 მილიონი მანეთის ფეხსაცმელს გამოუშვებს.

საგაზაფხულო-საზაფხულო სეზონისათვის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის — „წარმოებაში ჩაშვებულია" 25 ახალი მოდელი ქალის, და 37 ახალი მოდელი კაცის ფეხსაცმლისა.

აქ ყოველგვარი მოთხოვნილებაა გათვალისწინებული — ქალის ტუფლები — ყოველდღე სახმარი და სათეატრო, ზღვის სანაპიროზე სატარებელი თეთრი — „საკურორტო" საფეხშიშველოები და ზამშისა და ფერადი ტყავის კომბინირებული ფეხსაცმელი. „ტანკეტების ტიპის" დაბალქუსლიანი ტუფლები და განსაკუთრებით მაღალ — 75 მილიმეტრიანი — ქუსლიანი სადღესასწაულო აჟურული ტუფლები — დიდი გემოვნებითაა შესრულებული და რაც მთავარია, აქაც ისევ ის სტილი იგრძნობა — სადა, მოხდენილი და მიზანშეწონილი, რომელმაც ტანსაცმლის მოდელების დათვალიერების დროს მიიზიდა ჩვენი ყურადღება.

თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა კიდევ უფრო განამტკიცებს სახელს თბილისის ფეხსაცმლისას, რომელიც სილამაზითა და შნოიანობით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაა ცნობილი.

და ჩვენ შეგვიძლია კანონიერად ვიამაყოთ რომ თბილისური მარკის მქონე მრავალ ნივთს და პროდუქციას სავსებით დამსახურებულად კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი.

მომხმარებელი ყოველთვის ამაყობს, როდესაც მის მშობლიურ ქალაქში დამზადებული ნივთი თუ პროდუქტი საყოველთაო აღიარებას იმსახურებს. იგი ამაყობს ქართული ჩაითა და ქართული ღვინოებითა და კონიაკებით, ამაყობს ქართული თამბაქოთი და ქართული აბრეშუმით, რადგან ყველა ჩვენგანისათვის საპატიო და სასიქადულოა რომ ისინი ჩვენი თანამემამულეების გამრჯე და დაოსტატებულმა ხელებმა დაამზადეს, და, რომ ამ ხელებს ხალხისა და სამშობლო ქვეყნის სიყვარული ამოძრავებდა.









## ლევან გოთუა

მოთხრობა

მხატვარი ზ. ლეჟავა

კახთა-სამეფოში შიგნითაც აიფუნგა საქმე. გარე-ლეკიანობას ვინღა ჩიოდა, შიდა გლეხთა შორის შეიქნა შფოთი, ჯორჯაძიანთა და ენდრონიკაანთა ძნები გადასწვეს, მაყაშვილებს საქონელი დაუჩეხეს, აბელიშვილებს ზვარი გაუკაფეს. შირაქში ჩასულ თუშებს ცხვარი დასტაცეს და მეფის მწყემსებს მიუგდეს.

ქონდაქარ-მოურავები თავქუდმოგლეჯილი დაბორიალებდნენ, მაგრამ ვერაფერი ვერ გაარკვიეს. დიდ-თავადები კი ერთხმად სამართალსა და ანაზღაურებას მოითხოვდნენ, ან „ხელთავისუფლებას შინა-ლეკიანობის წინააღმდეგ".

ალექსანდრე კახთ-ბატონმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს „ხელთავისუფლება" და თავად არკვევდა საქმეს. ვერ იქნა და ვერ მიაგნო — ვისი ხელი ურევდა. ყველაზე უფრო მაინც თუშების ცხვარის მოტაცებამ გააკვირვა:

— ვიღაც, ბარის გარდა, ქართული მთის გადაკიდებას მიპირებს?!.. არ გაუვა ეს, არ გაუვა! ვინც არ უნდა იყოს მივაგნებ! — და მრავალ მსტოვარსა და მაცნეს ჰგზავნიდა ამ „შინა-ლეკიანობის" გასარკვევად და აღმოსაფხვრელად.

ერთ დღეს კი ორი საჭოჭმანო საქმე დაემთხვა ურთიერთს.

ჯერ ერთი და, ქედში მოჰკლეს ახლად გაწესებული მოურავი. და მეორეც, სრულიად მოულოდნელად ნუგზარ არაგველი ეწვია კახთ-ბატონს.

ქედში ჯანდიერი აფრინა ალექსანდრემ, სასტიკი ძიება უბრძანა, სოფლის თავკაცების შეპყრობა და გრემში მოგვრა. თავად კი ნუგზარ არაგველი იწვია. ცრემლის ავაზანის ტალავარში ორთა სუფრა გააშლევინა.

ქვის ირმის თვალთაგან ძველებურად სდიოდა ცრემლის წყარო. ავაზანში კალმახები ცურავდნენ. თალარზე შემსხვილებული ისრიმი ეკიდა.

— ნუგზარ-ჩემო! ამ ადგილზე ცხრა წელია აღარ შევყრილვართ. ირმის თვალთაგან რამდენმა ცრემლმა ჩაიარა?!

ნუგზარმა, ზურგს უკან, თითებზე ჩამოსთვალა წლები: „მაშინ ქრისტესით — 1578 წელი იყო, ახლა — 1587 წელია".

— ჭეშმარიტი ბრძანებაა, კახთ-ბატონო, ცხრა წელია, ქართლში რომ ვაპირებდით ლაშქრობას!

ორივემ შორი და ზოგადი ამბები წამოიწყეს. ბევრი ჭამეს, უფრო მეტი სვეს, ბოლოს ნუგზარმა საუბარში სხვა კილო გაატარა:

— ყმები შფოთს მიწყობენ... მთისა და ხევის თავისნება თემების წახედულობით საბატონოსა და საპატრონოს მიჰერენ, ზოგნიც მთაში გარბიან!

— კახეთშიაც ვატყობ ამის ნიშნებს, — დაუდასტურა ალექსანდრემ. მან უკვე ინიშნა და უმცდარად იცოდა, რა სწადდა ნუგზარს. ეს არაგველის მუდმივი, გულმიბორკილი მიზანი იყო — მთისა და ხევის მფლობელობა. ამასვე სთხოვდა წინათაც — აქვე, ამასვე სთხოვდა თელავშიაც შარშანწინ. და არც გასაკვირია, ახლაც რომ იგივე ითხოვს. მაგრამ რატომ მაინცადამაინც ახლა?

კახთ-ბატონმა დარბაისლურფერ ქულაჯის კალთაზე შემოდოინჯებულ ნუგზარის დიდ ხელს შეჰხედა:

„ეს ხომ არ არის ხელი ამრევი? შინა-ლეკიანობის მთესი?"

— მეც გამითამამდნენ გლეხები. ალბათ, გაიგებდი, ქიზიყში ამბოხი მომიწყვეს! — შორს ნაზომად იცრუა ალექსანდრემ. — ბოდბის ხევში ეკლესია გამიტეხეს, დიდთავადებიც დამიზარალეს.

ნუგზარმა გაკვირვება გამოთქვა:

— ეს შემთხვევები არ გამიგია. ნუთუ? მაშ მარტო ჩემთან არ ჩამოგესლილა მთიდან ურჩობა?!

კახთ-ბატონმა კარგად შეაფასა ნუგზარის „ეს შემთხვევები". მაშ „სხვა შემთხვევები" კარგად მოეხსენება არაგვის ბატონს", — გაიფიქრა მან და გაუფინა ბადე:

— თიანელნი გამიურჩდნენ ყველაზე უფრო, არაგვიდან ხომ არ გადმოედოთ? მოურავები მომიკლეს... არაგვზე, ალბათ, გამოვიდოდა ეს ხმაც?..

ნუგზარი ოდნავ შეყოყმანდა... ეს ეჭვიც იყო და თითქოს არც იყო

— მოურავის სიკვდილის შესახებ მსმენია, მაგრამ მოურავებისა, ისიც ეჭვი?
თიანეთს... არაფერი ვიცი.

ალექსანდრეს მეტი აღარც სჭიროდა ძიება. არაგვიდან დაშორებულ ქედში წუხელ მოკლული მოურავის ამბავი ჯერ კახეთშიაც არ იცოდა არავინ, ხოლო არაგვს მისი ცოდნა, გარკვეულ შუქსა ჰფენდა ამ მკვლელობას.

— საერთო ზომებს უნდა მივმართოთ, ბატონო, ურჩების წინააღმდეგამად მოვსულვარ! — უფრო ბეჯითად განაგრძო ნუგზარმა. — ცხრა წლის წინათ მუხრანზე დამპირდი საარაგვოს საზღვრის დებას. არ გაგვიმართლდა, სხვა მდგომარეობა შეიქმნა და არა მითქვამს-რა. ახლა მუხრანის საზღვრებს ადვილად მივიღებდი სხვის ხელიდან, მაგრამ არა მსურს-რა თქვენი ხელის გარეშე და მით უფრო თქვენს მომაღალ მოყვარე-მძახლის შევიწროვებას ვით ვიკადრებდი? — დინჯად, დალაგებით შლიდა ბაასს ნუგზარი.

„ყველაფერი მოფიქრებული, წინასწარ ნავარაუდები აქვს", — შეატყო კახთ-ბატონმა. — მუხრანის ადვილად მიღებაც ქართლის მეფესაკენ გადადგომის ფარული მუქარაა. ჩემი მომავალი დამძახლება აშოთან მუხრან-ბატონთან უკვე სცოდნია. ახლა ხევს მომთხოვს დასალაშქრად, საბატონოდ. ჩემი თანხმობაა უნდა, თორემ ლაშქარი უკვე მზად ჰყავს, გაბრუნდება და უმალ მუზარადს დაიხურავს".

ალექსანდრე უსმენდა ნუგზარის მარაგიან ბაასს და ნაჭუჭს აცლიდა, გულს უშიშვლებდა ნუგზარაულ ცკლის გორებას. მაგრამ ალექსანდრეს ხევი და მთა თავისუფალი ერჩია და სჭიროდა. ჯერ ერთი, თავად ნუგზარის საწინააღმდეგოდ. ისედაც გოროზობდა არაგველი, ხოლო „მთის ბატონი" ხომ სულ არ მოუდრეკდა თავსა და ქედს ალაზნის ბატონს. გარდა ამისა, ვიდრე საშამხლო და დაღესტანი ურჩევად დგას, რუსეთისაკენ ერთადერთ გზად დარიალის კარი იყო წარმოსადგენი.

ნუგზარი კი განაგრძობდა:

— შარშანწინ, თელავს, თიანეთი და ერისთავთ-ერისთაობა შემომთავაზე, მწყალობელო ბატონო, მაგრამ შინაწესების სხვაობამ ხელი შეგვიშალა. ახლა ირკვევა, მოურავობას ვერ შესძლებია გლეხთა ურჩობის მოტეხა, თქვენ თავად ბრძანეთ, ხელის სიმტკიცე და ძალა აკლიათ.

ნიშნად თანხმობისა თავი დაჰხარა კახთ-ბატონმა: „გასგებია... აი სად გამოჩნდა შიგ ამრევი „ხელის სიმტკიცე". დამოკლება უნდა ამ ხელს! დამოკლება!"

ალექსანდრეს სწრაფი მოსაზრება აქ კი გამოადგა:

— მაშ ხევშია შფოთისა და ურჩობის ბუდე?

— დიახ, ბატონო, ეგრე გახლავთ!

— უნდა დაილაშქროს, მაგრამ მე არ მცალია — თიანეთს მომიხდება წასვლა! და ალექსანდრემ თვალპირდაპირ შეჰხედა ნუგზარს.

— ამ თქვენ სამსახურს მე ვითავებ. ჩემზე იყოს. ურჩებს თავს მოვადრეკინებ თქვენს წინაშე. ხევ-არაგვის გზასაც დავიკავებ. თქვენს სამსახურში მუდამ მიგულეთ, — სიამე ველარ დაჰფარა ნუგზარმა, ულვაშებზე ფართოდ გადისვა ხელი. „ამრევი ხელი", — გაიფიქრა ალექსანდრემ, — ადრე ისვამ! იქნებ საწიწკნი გაგიხადო!". მას უკვე ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა, მაგრამ ყოყმანი მაინც დაიმჩნია:

— ნადირობას ვაპირებ ამ კვირია. ვინადიროთ, მოვისაუბროთ, დავთათბირდეთ. თქვენი ვაჟიც—ბაადურ ვიწვიოთ.

— დიდად მადლობთ, მეფევ-ბატონო! — სიტყვის სარჩული თავისებურად გაუგო ნუგზარმა — ვაჟს გაახლებთ... მე კი, მოგეხსენებათ, მთის გზა... სამზადისი!...

ბოლომდე უთქვამ-ნათქვამად შეთანხმდნენ. მაგრამ ალექსანდრეს ახლა მთის ლაშქრობის დროის გაგება სურდა.

— როდის მაწვევთ ბაადურს, ჩემს ვაჟებსაც გაეხარდებათ?!

— ხვალვე, ბატონო!

— მაშ შენს თავს ნუ მომაკლებ, ვაჟის მოსვლამდე!

ნუგზარმა თავაზიანად გაშალა ხელ-მკლავი და თანხმობის ნიშნად, თავდაუხრელად გაჰდრიკა კისერი. ასეთ სალამს მხოლოდ იგი უბედავდა კახთ-ბატონს.

ნუგზარი, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული იყო თავის ფანდების ძალაში, მაინც მეტ წინააღმდეგობას მოელოდა კახთ-ბატონისაგან.

„გლეხთა ურჩობის მეტის-მეტად შეშინებია", — გაიფიქრა მან. მართალია მის ვაჟს — ბაადურს იმძევლებდა კახთ-ბატონი, მაგრამ ეს მძევლობა — ხევში ნადავლის „წილში დგომად" ესახებოდა ნუგზარს.

მესტუმრეებმა ნუგზარი რომ საამო სადგომში მოასვენეს, ალექსანდრე მაშინვე თავის საწოლიდან, საიდუმლო სავალით დილეგს გავიდა.

ქედიდან მობრუნებული დავით ჯანდიერი უკვე იქ დახვდა.

— რა გაარკვიე?

— ვერაფერი, ბატონო. მოკლული ხანჯლითაა ზურგში, შიგვე ჩარჩენია მტარვალს. სოფელი უარზეა...

— ვინ მოიყვანე?

— ოქრო-პაპა, ხოსიტა შილდაური, ხაპრო ყანდარელი, კაკა-მეველე და მაჩუჩა — ქოხსალამურად წოდებული.

— ხანჯალი მაჩვენე.

დავითმა თახჩის ჯეჯიმი გადასწია, სოფლის თოფი და სატევარი მაგიდაზე დასდო. მეფემ სატევარი ყურადღებით გასინჯა. დიდ სამღარიან სატევარს შემხმარი სისხლი ახლაც ემჩნეოდა ღარებში.

— კახურ ნაჭედობას არა ჰგავს?! — დაასკვნა მეფემ და დავითს შეჰხედა.

— არა, ბატონო, არა ჰგავს.

— სად არიან, მომგვარე, — აქეთ-იქით შეაბრუნა სატევარი, თავჩახრილად ჩაზომა და ჩაფიქრდა: „ხევსურულსა ან არაგვულსა ჰგავს. გული არ მატყუებს, ნუგზარის ხელობაა!"...

თავი რომ ასწია, მის წინ ხელებშებორკილი და თავშიშველა ქედელები იდგნენ.

— ხევსური არის ვინმე თქვენს სოფელში, ან მეზობლად? — ყრუდ შეეკითხა.



— არა, ბატონო, ჩვენ სოფელში არა. ალაზნის გაღმა — ვარდისუბანში კი გახლავთ ბახუტა ჰინჭარაული, — თავი ახწია ოქრო-პაპამ.

— გაჰგზავნეთ! აქ გამიჩინეთ! — ახლა ჯანდიერს მიუბრუნდა ალექსანდრე.

— ნუ ინებებთ, ბატონო! ამ საქმეში არც ჩვენ გვიდევს ბრალი. ის კი სულ ბაიბურ-არაფერშია...

მაგრამ ალექსანდრემ ყურიც არ ათხოვა ოქრო-პაპას ნათქვამს.

— უცხო, საეჭვო ხომ არავინ გინახავთ თქვენ სოფელთან? — კვლავ შეეკითხა და ქედელებს შეაჩერდა. არა, ესენი არ იყვნენ დამნაშავენი, ამას აშკარად ჰგრძნობდა ალექსანდრე, მაგრამ ახლა ეს არც აწუხებდა კახთ-ბატონს, სხვაგან იყო მისი ფიქრი და აზრი.

— არავინ გვინახავს, მეფევ-ბატონო. ცოდვას ვერ დავიდებთ!

— არაგველი განა არ გინახავთ ახლომახლოში? — ისე ჩაეძია ალექსანდრე, თითქოს მას თავად ჰყავდა ნანახი არაგველი ქედის მახლობლად.

ყველანი სდუმდნენ. კაკა-მეველემ ჩაახველა:

— თუ ნებას მომცემთ, ბატონო და... აი ზემო არაგველი არა და, ერთი ჟინვანელი კი ვნახე სამი დღის წინა ალაზნის პირას. ცხენი ეყიდნა კახეთშია...

— არის საბუთი! — ენიშნა მეფეს. — არაგველი და ჟინვანელი რამ გაარიგა? მერმე?..

— ჰოდა მეტი არაფერი, ჩვენო ბატონო-მბრძანებელო!.. ოქრო-პაპა კი ამბობს, არ არის საბუთიო!

— აგრე, მოხუცო?

— აგრე გახლავთ, მეფევ-ბატონო! არ არის საბუთი! არც ჩვენ ვართ დამნაშავენი, მაგრამ იმ ჟინვანელზეც ვერაფერს ვიტყვით!

— ეს როგორ არის, პაპავ, შენი საბუთი საბუთია, ჩემი საბუთი კი არ არის საბუთი?! — და დავითს უბრძანა, ბორკილები გაეცალათ გლეხთათვის.

— კაკა-მეველე ახლავე გაუშვი სოფელში, სხვები კი აქ დარჩნენ, საქმე მაქვს მათთან. — მეფე წამოდგა და ისევ ქედელებს მიუბრუნდა: — მოურავის სიკვდილში თქვენ არ გიდევთ ბრალი.

ქედელები დააბნია ასე უეცრად შებრუნებულმა საქმემ... მეფე უკვე კარის რაფაში იყო, ოქრო-პაპა გონზე რომ მოვიდა:

— სოფლის თოფი, ბატონო?

— სოფლის თოფს გაატან მეველეს. — დავითს მიუბრუნდა ალექსანდრე, მაგრამ ჩაფიქრდა და თავი შეიკავა. — თუმცა არა... თოფი აქ დარჩეს ოქრო-პაპასთან. ბახუტას რომ მოიყვანენ, იგი და ოქრო-პაპა ერთად დამახვედრე აქ!

კახთ-ბატონს ყური აღარ უგდია გლეხების დალოცვა-მადლობისათვის, იმავ გზით გაბრუნდა და ცოტა ხნის შემდგომ, თავის სასახლის სამორინო დარბაზში, ნუგზარ არაგველს დინჯად ეთამაშებოდა ჭადრაკს. ერთი ხელი წააგო, მეორე მოიგო, და როდესაც დარბაზის კარში დავით ჯანდიერი დაინახა, დრო იკითხა და სტუმარს ძილი ნებისა უსურვა.

იმ ღამეს ერთხელ კიდევ აიარა საიდუმლო სავალი მეფემ. დილეგის ცალკე საკანში ჯანდიერმა ოქრო-პაპა და ახლად მოყვანილი ბახუტა ჰინჭარაული დაახვედრა.

— მკვლელი ნუგზარ არაგველის მოგზავნილია. ვერაგული ზრახვები აქვს. ჩემი და თქვენი გადაკიდება სურს. გულში კი უფრო დიდი ვერაგობაც უზრახავს. მთისა და ხევის დაპყრობას აპირებს. ხევს უნდა დაეცეს ამ კვირია! ნუ შეჭამთ მის ჯავრსა! აი ჩემი ბრძანებაცა: ოქრო-პაპავ, ბახუტავ, ქედელები აქ ვინც არიან, წაიყვანეთ. თოფის წამალსა და ტყვიას, სხვა იარაღსაც გაგატანთ. შიოლა ხევისბერს ჩაუტანთ სტეფან-წმინდაში. ამბავიც აცნობეთ ჩემგან... მაგრამ საიდუმლო ამ კედლებივით უნდა შეინახოთ თქვენცა და იმათაცა! — თითი ასწია ალექსანდრემ, — აქ სხვა თამაშია! რაღაც ახლო დღეობას უფარდებს, ალბათ, ნუგზარი, თორემ აგრე რიგად არ აჩქარდებოდა!.. თქვენ უნდა დაასწროთ, გააფრთხილოთ. — ბრძოლაშიაც ჩაეშველებით, კაჰელობასაც არ შეარცხვენთ — ბეხრეკებო! თქვენი ქედმართლობისა და გაქირის ამბავი კარგად ვიცი, — ხმა ჩაურბილა ალექსანდრემ, თავადაც ჩაიხარა და ისიც საოცრად დაემსგავსა ამ „ბეხრეკებს“...

ბერიკაცები სდუმდნენ, დინჯად უსმენდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე დადუმდა, მათ იცოდნენ, რომ ბრძანება ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა კახთ-ბატონს.

— პანკის-ბორბალოზე გადახვალთ. გზა ოქრო-პაპამ იცის. ხევსურეთის გზა შატილსა და არხოტიონზე ბახუტას ეცოდინება...

— აგრე, ბატონო, ვიცი მაშა! შველასაც მისცემენ ხევსურნი. ხევში სამებობაა ამ კვირია, ბეთლემ-სამებობა!

— ჰოდა, ხვალ დილა გზაში უნდა გაგითენდეთ! — დაასკვნა ალექსანდრემ და ადგა. — სიგელს არა ვწერ, თოფის წამალს რომ ჩაუტანთ, დაგიჯერებენ. ამასაც გადასცემთ ნიშნად. — და ოქრო-პაპას სატევრის ხერხისპირიანი შვილაკი გადასცა. — სოფელში შესთვლით — მკვლელების საძებნელად პანკისს წავედით-თქო! აბა, ვგონებ ყველაფერი ითქვა. — გასაგებია?!

— გასაგებია, ბატონო! — მოკლედ უპასუხა ოქრო-პაპამ.

კახთ-ბატონმა კი ერთხელ კიდევ შეჰკრა წარბები:

— გამთქმელს?

— ენისა და თავის დაკლება! — ერთიმეორის სიტყვა შეავსეს ოქრო-პაპამ და ბახუტამ.

— დასტური! სოფლის თოფი კი თან წაიღე — ახლა იგი ალაზნის თოფია — მოხუცო! — ალექსანდრემ თოფი თავად გადასცა ოქრო-პაპას და ახლა დავითს მიუბრუნდა:

— დანარჩენი შენზეა! უხვად ყველაფერი! ტყვია. დენთი. სხვა რამ მჭრელ-ბასრი. ცხენ-ხურჯინი. რაც ითქვა! ერთი სიტყვით, ძღვენი ჩინებული. მოხუცების, ქედელ-ვარდისუბნელის ელჩობა არ შემირცხვინო!.. თუ ხატობაა, როგორც შეჰფერის, ისე უმასპინძლონ ხალხსაც და ნუგზარ-უტიფარსაც!. მეგობრებს — მეგობრულად, ვერაგს კი ვერაგულად!.

...გლეხთა ელჩიონი ბორბალოს კალთებზე რომ შემაღლდა, ოქრო-პაპამ ხელი მოიჩრდილა და უკან კახეთს თვალი გადმოავლო:

— ჰაი დედასა არ გვეჩქარებოდეს, აბა ამ კეთილ-ბარაქიან სანახაობას თვალს მოაშორებდა კაცი?

ბახუტა კი სულ სხვა ფიქრით იყო გართული. იგი ისევ თავის ხევსურეთში მიდიოდა, საიდანაც აგერ უკვე ოცი წელია, რაც ბარში ჩამოსახლდა და მალე ათი წელია, თავის სალოცავშიაც — შატილის ხატში — არ ყოფილა. ახლა გული უჩქროლავდა ჰინჭარაულს.

— ასე თუ ვიარეთ, ხამების ხატობას ვერ კი ავუსწრებთ! — ბუზღუნებდა იგი და საღამოს პირას ხევსურეთის ყელს რომ გადაადგნენ, გულმა აღარ მოუთმინა:

— ახლავ დავეშვათ... აგერ არღუნის ხეობა! ჯერ რა დიდი გზა გვაქვს. ჰოჰო, მუწო, შატილი, არხოტი. კიდევ კავკასი. მერმეღა გადავალთ ხევშია!

ქოხსალამურა მარგალიტებივით იჭერდა ბახუტას სიტყვებს და ზღაპრულ ხევსურეთის მთა-ხეობებს დაწაფებით გადასცქეროდა. ცალ ყურში ესმოდა ოქრო-პაპასა და ბახუტას საუბარი.

— ბურსაჭირი და გუდამაყარი საით არის?

— აგერ იქით! — ბახუტამ ხელმარცხნივ გაიჩვენა და თითქოს ოქრო-პაპას უთქმელ შეკითხვასაც გაეპასუხა: — არა, ნუგზარი ასე ვერ გაჰბედავს გადმოსვლასა, ჯვარსა და ლუდაზე გადავა!

ჩამორჩენილი ხაპრო და ხოსიტა წამოეწივნენ მაღლა ასულთ. გზა-ბილიკი მარჯვნივ, თავყირად ეშვებოდა. ქვევით თავ[illegible] თხემი — ველკეთილი, მწვანე ფიანდაზად გადაშლილიყო. უფრო მაღლა და [illegible] და თოვლ-ყინულად შეაბჯრული ომახი თებულო ალმართულიყო... პირდაპირ არწივის მაღალის თავწამახვულ წვეროს ღრუბლის ფთილა წამოჰგებოდა. ხეობაში ჩახლართულ არღუნის გაღმა, კალთაციცაბო კლდეები ატოტვილიყვნენ, მხრებზე და უბეებში სათიბები შეეგდოთ და ახალწყება მთების ზღვრები გადაეშალათ. სულ ზემოთ კი ღრუბლის ჩრდილის თავზე, ცაში ხერხად შემდგარ ჭაუხებს მხარმიჯრილი ფერხული ჩაებათ და თითქოს ირხეოდნენ. ალბათ, ღრუბელი იძროდა მათ ძირში... უფრო კი თავად თავბრუდახვეული ქოხსალამურა ტოკავდა და თვალებსაც აპაჭუნებდა. ალაზნის ველზე გაზრდილს, კავკასიონის მთების სიმაღლე და ძნელმისავლობა კი წარმოედგინა, მაგრამ ასე უშუალოდ და ახლო გადასავლიდან დანახული, უფრო მაღლებად და ციცაბოებად მოეჩვენა.

ბახუტამ ჩაიქვეითა, ცხენს საძუე ჩაუსწორა, ხურჯინი შეუთანაბრა და ჩაკიდებულ ბილიკს ფეხაჩქარებით ჩაჰყვა. ყველანი ასე მოიქცნენ. საპალნიან ცხენებსაც ცალები შეუსწორეს და ბახუტას ჩაჰყვნენ.

პირველ ნაშვავთან, ქვების ნიშადამოყვანილი წყარო ნახეს. ბახუტამ ერთი ფიქალი მოიყოლა და თავი მოუმაღლა ნიშს.

— ასეთი წესი არს, წყარო მიცვალებულების სულის სადგომია!

ამ „უცნობის სულის სადგომს“ ხუთი ქვა-ფიქალი შეჰმატეს მგზავრებმა. ის იყო და ის, მეტი არც გაჩერებულა წინმავალი ბახუტა. მხოლოდ ყოველ შეფერხებისას გაიძახოდა:

— ასე თუ ვიარეთ?!... — იქაც ჩქარობენ! მოდიან ნუგზარაულნი! მოსწრებაზეა საქმე!

დაალამდათ, მაგრამ ხეობაში ჰაიჰარად ჩაასწრეს. ჩელტის ხიდზე დიდის სიფრთხილით, სათითაოდ გაიყვანეს ცხენები. ქვეშ არღუნი ჰქუხდა, ხიდი სულ ვიწრო და უმოაჯირო იყო. ხარვეზებში ნაშხეფები აღწევდნენ, აფეთებდნენ შეფრუტუნებულ ცხენებს. მერმე სულ წყლის პირს ჩასდევდა კლდეში გამოტეხილი სავალი. ტალღების ნატყორცნ თქორში მიდიოდნენ კახნი. ურთიერთის ხმა-ძახილი აღარც კი ესმოდათ. უჭირდათ კახურ ცხენებსაც. ფეთებითა და ფრუტუნით ყნოსავდნენ ბინდბუნდში ჩაბუბნულ და მოგუგუნე კლდე-სავალს.

ანატორ-აკლდამების მიჯნაზე განშორდნენ არღუნს და განის კალთას გაჰყვნენ. აქ სავალიც უფრო ადვილი და ფართო იყო.

მთვარე რომ ამოვიდა, ქოხსალამურამ სიზმარივით გაჰლანდა მაღლა კლდეზე, ურთიერთს მისადაგებული, შეჯმუხული კოშკები. ქაჯთა ციხედ ან მდევების სადგომად მიიჩნია იგი ქოხსალამურამ.

— შატილი! — ჩურჩულით აღმოხდა და უფრო აჩქარდა ბახუტა.

ქვის ყორესთან უეცრად შედგა, ხურჯინს თავი მოუხსნა და კახეთიდან წამოღებული კურატის რქები ამოიღო:

— შატილის ხატო! ჩემო სალოცავო! ათი წლის სანთელ-მარილი და საკლავ-საწირავი მაპატიე! შენი მადლით მატარე. მე ვიცოდე და ჩემმა ვაჟკაცობამ! — ცალ მუხლზე ჩადგა და რქები ხატის ყორეზე აღმაწვერით დაამაგრა.

მხოლოდ ამის შემდგომ თავი ნაპატიებად იგრძნო და თავის გვარისკაცის, მგელიკა ჰინჭარაულის კოშკს მიადგა. ყველანი უსიტყვოდ მიჰყვნენ. აქ — ხევსურეთში ბახუტა იყო მათი მასპინძელი და ბელადი.

მგელიკამ კახელ სტუმრებს მთელი კოშკი დაუთმო, მოასვენა, უმასპინძლა. მაგრამ არ დადგნენ სტუმრები, გაოენჰას აასწრეს და ისევ გზას გაუდგნენ, მგელიკას მოსწრებული ვაჟის ეტიკობით, ხოლო თავად მგელიკა და ბახუტა შეეყოვნდნენ შატილში. შატილიონელ მოხუცებს ეთათბირნენ.

— ხევი თუ დასჯაბნა ნუგზარმა, ახლა აქ დააყენებს სისხლის წვიმას. გუდამაყარსა და ხევსურეთზე მოდგება რიგი.

— ასე არს! ასე!

სათქმელი მოკლედ სთქვეს. უთქმელი ინიშნეს. ღასაფარი დაჰფარეს. დათათბირდნენ. ხევის დაქომაგებაც ერთობლივ ისურვეს. შეყრის ბორჯალშიაც შეთანხმდნენ და გზა აირეკეს წარმავალთა.

წინ წასულთ მალევე დაეწივნენ, არხოტიონის სოფლები წყალვალმა დაავდეს, მგელიკას ვაჟი გაუშვეს მაცნედ. თავად კი გადასავალს შეუდგნენ.

თოვლ-ყინულებში შეუფერხდათ სვლა. გაუჭირდათ ცხენებს. ზოგან მგზავრებმა ზურგით აზიდეს ტვირთი და გრემიდან წამოსვლის მეხუთე დღეზე თერგის ხეობაში გავიდნენ.

სიონსა და სტეფან-წმინდაში ხატობის დიდი სამზადისი დახვდათ. მიუხედავად ავდრისა და ნისლისა, ყველას ხატობაში მიეჩქარებოდა. საკლავ-საწირავებს მიერეკებოდნენ. სოფლებში არაჯს ხდიდნენ. ლუდს ადუღებდნენ, ქადებ-ხაბიძგინებსა და ხორცოვანებს აცხობდნენ. მტრის თავდასხმის ბაიბურიც არ იყო.

კახელების ჯგუფიც ხატობაზე მოსულებად მიითვალეს, არც ვისმე მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება.

ოქრო-პაპამ თადარიგი დაიჭირა, ნაადრევად არა გაუმჟღავნა-რა ხალხს. სტეფან-წმინდაში არც დამდგარა, თავის ტვირთითურთ გერგეთისკენ გაიჩქარა. ეგონა, იქ მიუსწრებდა შიოლა ფიცხელაურს, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა ხევისბერი. ისევ მთას შეუდგნენ კახნი.

სამებაზე ისე ავიდნენ, ნისლს არ გადუყრია. არც საყდარი ჩანდა და არც მყინვარწვერი. ზედახლოს რომ მივიდნენ, ხალხის სიმრავლემ გააკვირვათ. მრავალ მლოცველს ნაბდისა და ქეჩის კარვები დაედგა. სალუდე და სახინკლე ქვაბები ფილაქნის კერებზე გაემართა, წივა-ქურთი და მსხვილი ჩინჩხვარი მრავალ ადგილას ენთო და ხრჩოლავდა. მწე-დეკანოზები უკვე ამწყალობ-



ებდნენ ადრე მოსულთ და ხატის კურატებს აკვლევინებდნენ დასტურთ.

საკმაოდ მაღალგუმბათიან საყდარ-სამრეკლოს ყორეს თავში მცირე ხატნიშიც იდგა. იქ უკვე ახალდაკლული საკლავების რქები ჯგროდ და ხუხულად შემდგარიყო, სიმაღლეში ხატის თავისათვის წაეჭარბებინა. ცალკე ირმისა და უფრო კი ჯიხვის რქები ეწყო. ეს უკვე მონადირეთა შენაწირავი იყო.

ყორე-გალავნის შიგნით ტყაპუჭებ თუ ნაბდებ მოხურული მოხუცები, ქვაში გამოკვეთილებივით ისხდნენ და ურთიერთს სიჩუმეში თუ ძუნწსიტყვაობაში ეჯიბრებოდნენ. გალავნის მიღმა ქალ-ბალღები ყაყანებდნენ და მათი ჟრიამული გაღმა — სტეფან-წმინდამდე აღწევდა. ქვევიდან კი, მრავალ ბილიკებით, სულ ალმა დიოდა და დიოდა ხალხი და შესაწირავი.

კახელებმა ცალკე გაშალეს თავისი ნაბად-კარავი და დაბანაკდნენ. ოქრო-პაპამ ხელად გაანაწილა ხალხი. ზოგი ცხენებსა და ბარგს მიუყენა, ცეცხლის თადარიგიც მიანდო. ხოსიტა ფარულად მოტანილ თოფ-იარაღსა და დენთ-ტყვიას მიუყენა გუშაგად. ქოხსალამურა ხალხში გაუშვა ამბისა და მითქმა-მოთქმის გასაგებად. ხაპროს ფული ჩაუთვალა და ყოჩის სასყიდლად გაჰგზავნა:

— ხატობა თუ არის, ხატობა იყოს! არც ჩვენ გვაწყენს სამების ხატმადლი და საკლავი.

ხაპროც, რომელსაც ასეთ „დოლ-გაჭენებულად“ სვლაში, ცოტა ღიპი შეპბერტყოდა, უმალ დაეთანხმა.

— კიდევაც, თორემა ხონჯარი და ჩოხის ჩაქებილა დავრჩი გოზაურ ქვევრის ჩამტევი კაცი!

ქოხსალამურამ მალე მოიტანა ამბავი:

— ბეთლემს წასულა შიოლა ხევისბერი, ხევის დროშის მოსატანად. არცვინ წაუყვანია და არც წესი ყოფილა იქ ასვლისა. არც ჩამობრუნდება თურმე გვიან ღამემდე. მარტოკამ უნდა ილოცოს დროშიანად.

ოქრო-პაპამ დინჯად მოუსმინა, მაგრამ სწრაფად და სხვანაირად განსაჯა, სოფლის თოფი აიღო და ბახუტას მიუბრუნდა:

— წავიდეთ!..

— შენ ბორბალოს ბილიკი არ გეგონოს, ბეთლემი გველეშაპის კლდეებშია განა?!

— წელზე უნდა დავიდგათ ფეხი! ჯაჭვის ბოლოს მაინც მივწვდეთ, თავად ჩამოვიყვანოთ.

— აგრე კიდევ, ჰო! — დაეთანხმა ბახუტა და გეზი მყინვარწვერისაკენ აიღო. მაგრამ ოქრო-პაპამ აქაც უგანა სავალს. ხალხს რომ ეჭვი არ აეღო რამე. ნისლს რომ გაეფარნენ, მერმე უსწორეს სავალს. ჯერ ბილიკი მისდევდა და კარგად იკვლევდნენ გეზს. უფრო მაღლა კი ბილიკიც ჩაელიათ. ტერფებქვეშ ახლა უხვად დანამული ბალახი ეფინებოდათ. ჟვავმა ქალამან-პაჭიჭები დაუსველა. მალე კლდეზე გავიდნენ. ჩქარობდნენ აღმართზე. ცხარე ოფლი დაიდინეს, თითქოს ფეხდაფეხ ჰგრძნობდნენ ნუგზარის დევნას. სულ გაუდარებელ ნისლში მოუხდათ სვლა, მაგრამ ბახუტამ გაიკვლია გეზი. გველეშაპის კლდის ძირებს რომ მიადგნენ, თვალჩუბინმა ბახუტამ მარიამწმინდის ქიუხებში ქვაჯვარი გაჰლანდა და ამის მიხედვით, ბეთლემის ჯაჭვის ჩამოშვების ადგილსაც მიაგნო.

მაღლა ხსენივით ნისლი იდგა. არაფერი ჩანდა. სულ ხუთიოდ ადლის ზემოთ უჩინარდებოდა ჯაჭვიც და მისი შეჟანგებული მრავალმარჭვალი ისე იდგა ჰაერში, თითქოს ქვევიდან ზევით ყოფილიყო აყუდებული.

ოქრო-პაპამ ოფლი მოიწმინდა და ჯაჭვს ორთავ ხელით ჩამოჰკრა. სადღაც შუა წელში კლდეს მიანარცხა. ნისლით დაბამბულ სიჩუმეში ზრიალად გაისმა ჯაჭვის ჟღერა.

— ვინ ამოსულა?.. რომელი ხარ წესის დამრღვევი?.. ფიც-მადლის ურგო! — ზევიდან ქვასავით ჩამოვარდა ძახილი.

— ბარის სტუმრები ვართ! აქ ჩამოდი, აქ! საბრძოლო დროშაც წამოიღე! — შესძახა ოქრო-პაპამ.

ჯაჭვი შეტოკდა. ზევიდან, ახლა კი ნამდვილი ქვა-ღორღი ჩამოცვივდა ხრიალით. ოქრო-პაპა და ბახუტა განზე გადგნენ. კისერი მოეღალათ ზევით მზერით. ქვაცვენა მატულობდა. გაბმულ ტოკვაში და ჩუმ ჩხრიალში იყო გაძგიფული ჯაჭვის სახსარი. ბოლოს ნისლში რაღაც დიდი, ფრთაგაშლილი ჩრდილი გამოჩნდა. რაღაც ბორიალობდა და წკრიალებდა. ორბის ფრთისა, მაგრამ მერცხლის ჭიკჭიკის მქონე სულიერი თანდათან ეშვებოდა მაღლიდან.

— რა არის, კაცო?! — გაჰკვირდა ოქრო-პაპა.

— დროშაა ზინზილაკებიანი!

ოქრო-პაპამ ახლა კი კარგად გაარჩია. ხევისბერს ჩამოშლილი დროშა, ზურგზე გრძელ ფრთასავით მოეგდო, თავად კი ორივ ხელი ჯაჭვისთვის ჩაეჭიდა, ზორბა ტანი გაედრიკა, ბანდულებიანი ფეხები შვეულ ფიქალისათვის გალაჯულად მიებჯინა და გვერდულად ეშვებოდა. ნისლი აზვიადებდა სანახაობას და, შიოლა ხევისბერის ბეთლემის ქვაბიდან ჩამოსვლას, ციდან მოვლენილ სასწაულად აჩენდა.

...ხოლო, ახლო რომ ჩამოდგა ხევისბერი, პირიქით მცირე ტანისა და ხმელკაჭაჭა ბერიკაცი აღმოჩნდა. ზევიდან გადმოღერებული კუშტი სახე და კაუჭა ცხვირი — ირაოდ გადმოქროლილ მიმინოს ამსგავსებდა მას. ხოლო ჩამოშლილი დროშა, მართლაც მოზიდულ ფრთებსა ჰგავდა.

ჯაჭვის ბოლოს რომ ჩამოაღწია, კლდეზე შედგა, დიდი სატევარი შეისწორა და დამხვდურნი მწყრალად შეათვალიერა:

— ხატის ლოცვის შემშლელთ, გამარჯობა არ ეთქმის! რაისთვის ამოსულხართ? ბეთლემ-სამების მადლი არა გწამთ-კე? თემის წესი არ გსმენიათ? ან თოფის ამოტანა აქ ვით იქნების?

ამ პატარა ბერიკაცის ხმაში, მოსულებმა ბეთლემის ჯაჭვის ჟღერა და ჭედილხმა იგრძნეს. ბახუტა დადრკა და თავი დაჰხარა, მაგრამ შორი გზითა და ბეთლემის აღმართით დაღლილ ოქრო-პაპას ბოდიშებისათვის აღარ ეცალა:

— გამარჯვება ჯერ მართლაც არ გვეთქმის, ვიდრე მტერი ზვიადად მოდის!. დავსხდეთ. სიტყვა ვთქვათ. ბარიდან მოვსულვართ. კახეთიდან!

შიოლამ დროშა ჯაჭვის მარჭვალში გაუყარა, ზედ შეატოვა. თავად კი წვერი ჩამოისწორა და იქვე ჯაჭვის ძირში ქვაზე ჩამოჯდა. ოქრო-პაპაც ახლო მიუჯდა, ბახუტა კი ხევსურთ წესით ცალ მუხლზე ჩადგა.

ალექსანდრე კახთ-ბატონის ხსენებაზე შიოლა წამოიწია და სიტყვა გააწყვეტინა ოქრო-პაპას.

— ნიშანი?

ოქრო-პაპამ სატევარი გადიბრუნა და ხერხისპირა შვილაკი დააძრო, შიოლას მიაწოდა.

— სარწმუნოა! კეთილი სტუმრები ყოფილხართ!.. რა ამბავი მოგიტანიათ?

— ავ სტუმრის ამბავი. ნუგზარი მოდის!

არც შერხეულა შიოლა, დაახანა კიდევაც. დინჯად წარმოთქვა:

— მოვიდეს. დავხვდებით!

მაგრამ როდესაც საქმის ვითარება წვრილად გაიგო, დაჭრილ ვეფხვივით წამოიჭრა:

— მაშ ამ ხატობას ელოდა ნუგზარი!.. ბეთლემ-სამების ძალაო! — ხელები ალაპყრო შიოლამ, ბეთლემის ჯაჭვი დაარხია. სატევარი გაიძრო, ჯაჭვს აალესა და ხმიანად ისევ ჩააგო ქარქაშში. ოქრო-პაპაც წამოდგა. ნისლი უკვე გადაყრილიყო და შიოლას უკან მკაფიოდ ჩანდა შორს მაღლიდან ნაკიდი ჯაჭვი. შეტოკებული მარჭვლები ახლა უფრო ხმიანად ჟღერდნენ და არხევდნენ ხატისა და ხევის საბრძოლო დროშას.

ქვევით კი ქედის ბოლოში სამება ჩანდა. ხალხი ჭიანჭველებად ეხვია ირგვლივ. უფრო ქვევით კი მთელი ხევის თემი ხელის გულზე იდო.

— მაშ იქ ჯერ არავის არაფერი სცოდნია?.. მოუშლელია ხატობა!

— არა გვითქვამს-რა! — ახლა ბახუტა გაეპასუხა ხევისბერს, მაგრამ შიოლა აღარვის უსმენდა. იგი ბეთლემის ჯაჭვზე ალესილ სატევრის კილოზე იყო.

— თქვენ ახლავ ჩადით. აი იმ ნისლს ჩაეფარეთ. საიდუმლო ასე უკეთ შეინახება. მეც მალე მოვალ. ლამე კი დარი იქნება. ვატყობ ამას, წადით.. იქ დამხვდით! — უკვე ბრძანების კილოთი მოუბრა სტუმრებს და საბრძოლო დროშა ჯაჭვიდან ჩამოიღო.

უკანა გზაზე ისევ ნისლი წამოედოთ. ერთიანად დაჰფარა ბეთლემი ჯაჭვი თუ ბარის სტუმრები. სამების კარზე ჩამოსვლისთანავე, ბეთლემის სტუმრები ნაბდებზე მიწვნენ. დაისვენეს. მეტად დაღლილებს, პურის ჭამას ძილი ერჩიათ.

სამების ირგვლივ კი ისევ ჟრიამული და ხატობის სამზადისი იყო. ხალხიც უფრო მომრავლებულიყო, მაგრამ ხევისბერის მოსვლამდე ერიდებოდნენ დიდ პურადობასა და ცეკვა-თამაშს.

წესით ბეთლემიდან დაღამებისას უნდა წამოსულიყო ხევისბერი, ღამიანად ჩამოაღწევდა ხოლმე სამებას. სანთლებითა და ჩირაღებით უნდა შეხვედროდა ღამის მათევარი თემი. ამიტომ ადრე საღამოსპირს რომ გამოჩნდა შიოლა სამების თავზე — ყველას გაუკვირდა. ახალგაზრდები ჟრიამულით შეეგებნენ. ხოლო სამების გალავანში ჩამსხდარმა მოხუცებმა არც დაიჯერეს, ხევისბერისა და თემდროშის ასე ადრე მობრძანების ამბავი. არც დაძრულან ადგილიდან.

ისიც გაუკვირდათ მოწესეებს, რომ ხევისბერს დროშა მაღლა აწეული მოჰქონდა. არც დაუმწყალობებია ხალხი, მხოლოდ — გამარჯვებისა და კეთილხატობის გადახდის სურვილ-იმედი სცა ხალხს.

გალავანში რომ შედგა ფეხი, ბერიკაცებმა გაკვირვებით გაჰხედეს. მაინც ფეხზე წამოუდგნენ. არა შიოლას. თითოეული მათგანი არა ნაკლები ხნისა იყო და არც ნაკლებ ხევისბერობას გასწევდა. მაგრამ თავის არჩეულსა და თემის დროშას წამოუდგნენ მოხუცნი.

შიოლამ თვალი მოავლო რკალად შემომდგარ ბერ-ჭაღრებს და საყდრისაკენ უხმოდ იხმო. ყველანი გაჰყვნენ.

ქუდმოუხდელად შევიდა საყდრის ბჭეში შიოლა. არც სხვებს მოუხდიათ თავისი გრძელბეწვიანი, მეცხვარული ქუდები.

საყდარში ხუცესი და დასტურ-მსახურები საქმიანობდნენ. შიოლამ დაითხოვა ისინი და ხევის თავკაცების შემოსვლის შემდგომ, კარი შიგნიდან ჩაარაზინა. მოხუცებს ჩრდილი დაედოთ სახეზე. კედლებიდან და თაღ-გუმბათიდან ძველგამოხუნებული, მკაცრ სახიანი წმიდანები იცქირებოდნენ. ქვევით კი სიბერისაგან წელში მოხრილი მოხუცები ჭმუნვით შეჰყურებდნენ თავის ხევისბერსა და პასუხს მოელოდნენ.

შიოლამ სამჯერ დაჰკრა საყდრის შუა ფილაქანზე თემის დროშის ბუნი და ზინზილაკები ააჟღერა.

მოხუცები წელში გაიმართნენ, სატევრები შეისწორეს. შიოლამ დროშა წმიდა გიორგის ხატს მიაყუდა და საკურთხევლის ძგიდეზე მორთხმით ჩაჯდა. ირგვლივ დალაგდნენ ყველანი და ჩახრილ თავებით რკალი უფრო შეკრეს. მოკლე და ჩუმი ბაასი გააბეს. წვერების ცმაცურზე თუ ეტყობოდათ საუბარი.

არავის არაფერი გაჰკვირვებია, თუ არ უმჟღავნებია გაკვირვება.

— თემის სტუმრები, ბარელები გვაწვიეთ! ხალხმა კი დააჩქაროს ხატობის სამზადისი. გივარგი! გახავ!..

კარის ახლოს მსხდომნი — გივარგი და გახა გარეთ გავიდნენ.

...და როდესაც გახა ხალხს ხატობის სამზადისს აჩქარებინებდა. გივარგი, პატივის ცემის ნიშნად „თემის სტუმრებს“, ახლახან გამოღვიძებულ ოქრო-პაპასა და ბახუტას, წყალს უსხამდა, ხელ-პირს აბანინებდა.

კახელებმა ხურჯინები მოიგდეს და გივარგის გაჰყვნენ.

ოქრო-პაპამ საყდარში შესვლისთანავე ქუდი მოიხადა და მოხუცების რკალის შუა ხურჯინი დასდო. სხვა კახელნიც მიჰყვნენ.

— დაგიფასებთ ამ საჩუქარსა! ბეთლემ-სალოცავი და ხალხის დროშა იყოს მოწმე! — შიოლამაც ქუდი მოიხადა, დროშის ძირში დასდო, მკლავებზე ჩოხის სახელოები აიკეცა. და პირველ ხურჯინს თავი მოხსნა, კახური ტყვია-წამალი ორ პეშვით პირდაპირ ქუდებში ჩაურიგა ხევის მოხუცებს. და წელან საყდარში თუ ქუდდახურულნი შემოდიოდნენ მოხევენი, საყდრიდან უკვე ყველანი ქუდმოხდილები გამოდიოდნენ.

ბოლოს ხევისბერიც გამოვიდა და სამრეკლოდან, მოჯარული ხატიონი დაამწყალობა, ხალხს ხვალინდელი „სამებობა და სამხატობა“ წინასწარ დაუმფარველა.

ღამის თევა და დიდი ლამპარ-სამზადისი უბრძანა. ქალთაც კი მისცა უფლება, გერგეთის თავზე, ხატის ტყეში „უცულოდ და უწალდოდ“ ჩასულიყვნენ, ჩინჩხვარი და ხმელნაცვენი ფიჩხი ამოეტანათ, ცეცხლი და ჭიაკოკონა რომ მოემრავლებინათ „სამების მთაზე, მტერ-მოყვარის მიერ თემის ძალისა და ლაღობის სანახავად და სანიშნებლად!“

შიოლამ ხევის ზარი დინჯად, „სახატობოდ“ აახმიანა. მთელ ხევს ბედნიერი ლოცვა-ხატობის განაგისი ამცნო.

თემში სრული სიწყნარე და უშფოთველობა სუფევდა, ხოლო შებინდებისთანავე მამაკაცები და შეულვაშებული ჭაბუკები ნელ-ნელა და მოხერხებით ისე გაჰკრიფეს მოხუცებმა, რომ არც ერთ დედაკაცსა და მოზარდს არაფერი გაუგია.

შიოლას ნათქვამი გაცხადდა — წყნარი, უნისლო ღამე გადმოეხურა ხევსა და მწვერვალებს. ვარსკვლავებით მოლაღანე ცა ანთებული ჭაღივით იყო გაღმა-გამოღმა ქედების მხრებზე ჩამოდგმული. მარადიულ თოვლს სითეთრე დაეკარგა, ახლა იფქლის ფერი უფრო გაჰკრავდა. მხოლოდ მყინვარწვერის მაღალფერდი კლდე გველეშაპი იყო ძველებურად შავრუხი და მოზიდული.

შუაღამისას თემის ლაშქარი უკვე ქაბარჯინას ვიწროებში იყო ჩამჯდარი. ყველგან იყო გაგზავნილი ჩუმი მაცნე. გერგეთელ და არშელ თოფოსნებს გვერდში ამოუდგნენ ჯიხვის რქის მშვილდებით აღჭურვილი სნოველები, შეაბჯრული აჩხოტელები, მარხ სატევრიანი კარკუჩელნი. მეწინავობდნენ მარდი ცდოველები. ღამიანადვე ხევსურეთიდან ჩამოუსწრო შატილიონ-არხოტიონმა. თრუსოს მხრიდან ოსებიც ჩამოეშველნენ. თვით შიოლა ხევისბერი, თემის დროშით, სტეფან-წმინდელებისა და სიონელების თანხლებით, ძირა-გზის პირას იყო ცხენ-იარაღით მოზიდული. აქვე იყვნენ კახელი სტუმრებიც. ალაზნის თოფი ახლა თემის დროშას დარაჯობდა.

ნაშუადღამევს მობრუნდნენ გადმოსავალზე გაშვებული მზვერავები. მთის ყელი უგრძნობლად გადმოევლო ნუგზარის ლაშქარს. ჯერ ფრთხილად ევლოთ, დაყოფილად. მაგრამ სამების გორზე მრავალცეცხლის დანახვისთანავე — თამამად შეურილან. ხატობაზე უგრძნობლად დაცემის ვარაუდი გამართლებულად ჩაუთვლიათ და ჯიქურად წამოსულან. მოკლეებზე ძლივს ჩამოასწრეს მაცნეებმა. ზედაც ნუგზარისანნი მოიჭრნენ. ვიწროში შემოუშვეს მოხევეებმა და მერმე ყოველმხრივი ზარი და საგორავები დასცეს. თოფები დაახალეს, ისრები სტყორცნეს. ჯერ საფარებიდან მისცეს ზიანი. თავიდანვე შერიეს და შეშალეს მომხვდურნი. საგორავების გრუხუნი რომ ჩათავდა, ახლა დროშა ააჩხრიალა შიოლამ და ცხენი ყიჟინით მიუშვა. ყველანი მიჰყვნენ. მთაში ნამრავლმა ყიჟინამ და ცხენების თქერმა, საგორავების ხმას გადააჭარბა. ფხაშერეული არაგველები ახლა სულ დაიბნენ, ზურგი უჩვენეს. მოხევენი მათ დაედევნენ, დაერივნენ, წინ გაირეკეს. ზოგი კლდეზე გადასჩეხეს, ზოგიც თერგის პირისაკენ მიიმწყვდიეს. ნუგზარის ამალა და აბჯროსნები კიდევ იბრძოდნენ, ვიდრე ცხენი არ გამოუკლეს ნუგზარს. მაშინ კი ისინიც შეირივნენ, პირი აარიდეს წაგებულ ბრძოლას.

დევნაში დაათენდათ. არაგველები ჯგუფ-ჯგუფად დაქსაქსულნი, მთისაკენ იხევდნენ. გახელებული შიოლა დროშა-ხმლით უვლიდა ცხენ-დავლურს და თემის ლაშქრიონს ბრძოლის გეზს უმართავდა. მას, შორიახლოს ოქრო-პაპა და სხვა კახნი მოჰყვებოდნენ. მათაც კარგი ბრძოლა გადაიხადეს. ალაზნის თოფის გუგუნი არა ერთგზის გაეხმიანა თერგის ხეობას. სატევარი კი არ უშიშვლია ოქრო-პაპას, გულმა მაინც არ უყო. ბოლოს ქედელი მოხუცი მიიჭრა შიოლასთან და გზა გადუღობა:

— გვეყო, შიოლავ-ჩემო! ჯავრი არ ვჭამეთ! ახლა ისიც მოვიგონოთ. ისინიც ქართველები არიან მაინცადამაინც!.. ახლა ხატისა და თემის გამარჯვების პური ვჭამოთ და ნურც დამძრახავ ამ სიტყვაშია!

შიოლამ ცხენი ყალყზე შეაყენა. ტუჩებზე იკბინა, მაგრამ შედგა. ანთებული თვალები უცბად ჩაიქრო:

— მართალს ამბობს! — თითქოს თემის დროშას გაესაუბრა და ოქრო-პაპას მიუბრუნდა: — კარგ გითქვამს, სტუმარ-ძმობილო! ბრძენ ხალხი ბარშიაც არ გამომწყდარა! — ხმალი ჩაიგო, მხრიდან ჯიხვის რქის ნამგალა საყვირი შემოიბრუნა, დააძახა. დევნაც გასწყვიტა და თერგისაკენ გადაჩიხულ არაგველთაც გაცლის გზა უტია.

უკან რომ გამობრუნდნენ, ოქრო-პაპამ თავისი ხალხი მოიკითხა. ყველანი აქ იყვნენ გარდა ქოხსალამურასი. აქეთ-იქით ეცნენ, გზის პირას მასაც წააწყდნენ, თავისი ცხენი ბალახზე მიეშვა და ბრძოლაში მოკლულ ცხენს აჭყავებდა.

— რაისთვის გინდა, კახელო? — შეეკითხა გაკვირვებული შიოლა.

— თემს საქალამნედ უნდა დავურიგო! — თავაუღებლად მიუგო ქოხსალამურამ.

— განა აგრე ღარიბები გგონივართ?!

— ნუგზარის ცხენია! ვიდრე ამის ქალამანი არ გაცვდება, ნუგზარ ერისთავს ხევისაკენ გული და პირი ვერ უპრიანებს!

— ჭაბუკო, გულის სიბრძნე გქონია!... ხევისბერსაც მარგუნე ერთი საქალამნე, ნუგზარაული! — შიოლა დაქვეითდა, ხანჯლის შვილაკი ამოიღო და ცხენის ტყავებაში შეეშველა. ახალგაზრდებიც დაედევნენ და სულ მალე ნუგზარის ცხენი ლელვივით გაფცქვნეს. ცხენის თავიც შუბზე წამოაცვეს და ისე დაიძრნენ უკან.

მალე ნაბოლარა მდევრებიც მოეწივნენ. მგელიკამ ძლივს დასთხოვა ხევსურები მთის იქით დევნას.

გამარჯვებული ხევის ლაშქარი ხატობაზე მობრუნდა. სოფლელები ზეიმითა და დალოცვით ხვდებოდნენ. ახალ საკლავებს აყოლებდნენ, ახალ შესაწირავებსა და ტაბლა-ხონჩებს ჰგზავნიდნენ სამებაზე.

ხატობაზე დარჩენილი ქალ-ბალღობა და ერთობლივ თემის ხალხი სტეფან-წმინდაში და გერგეთს ჩამოეგება მხედრობას. წეს-ლოცვისა და დამწყალობების შემდგომ ისეთი თავაშლილი ზეიმი და ღრეობა გაიშალა, რომ მისი რიხი სამების მთიდან მთელ ხევს ედებოდა და თერგის გუგუნს ედავებოდა.

თითქმის ერთი კვირა გაგრძელდა ხატობა. მრავალი ლუდი და არაყი შეისვა. მრავალი ცხვარ-მოზვერი დაიკლა. მრავალზე მრავალი მწვადი და ხინკალი, ხაბიძგინა და ხორცოვანი შეიჭამა. ფარჩხზე გაკრული ნუგზარის ცხენის ტყავი და თავი, ხატის და თემის დროშების ფერხთით იყო სამრეკლოზე გადმოდგმული.

კახელები ყველგან ხანუკვარი და სასურველი სტუმრები იყვნენ. დიდი ჯამ-იერიშებიც მიიტანეს მათზე მოხევეებმა. არცთუ კახნი დახვდნენ ჯაბნად. ხაპრო ყანდარელი სმითა და არაყგამძლეობით აკვირვებდა ხალხს. ოქრო-პაპა სიბრძნით, ბახუტა და ხოხიტა სიდინჯით... ხოლო ყველას მაინც ქოხსალამურამ წააჭარბა... ფანდურს ხელი გაჰკრა, მოხევეებს პირი დაალებინა. ხოლო ლექსიც რომ დააყოლა, ხომ სულ ყველას დაუხსნა გულის ბჭეები.

ბედაურს უბარებია:
„არ დამიწუნოთ ფერშია,
ნუგზარ ერისთვის ცხენობას
მე — ქალამნობა მერჩია!“..

სიმიდან — სიმზე, ფანდურიდან — ფანდურზე გადაფრინდა „ბედაურის დანაბარები“, ბაგიდან — ბაგეს გაედო, გულში მოხვდა, შეუცინა, შეუხიცინა, კვინიხამდე აუშალა ლაღობის ხალერღელი. ხატიონის ხალისმა და ხარხარმა მყინვარწვერს უწია.

— ნუგზარს რაღა უთქვამს?! ნუგზარ — ბედოვლათსა?! — მიაძახეს მოლექსეს. მანაც არ დააყოვნა პასუხი:

ნუგზარი მწარედ ჩიოდა:
„მომიკლეს ცხენი — მერანი,
იმის ტყავს აღარ დავეძებ —
ჩემი არ დამრჩეს ვერანი!“..

ახლა მთელი ხატობა შემოესია ქოხსალამურას. სუფრიდან — სუფრაზე იტაცებდნენ, — ხელში აყვანილს დაატარებდნენ.

— თავიდან! თავიდანა სთქვი! — გაიძახოდნენ ბერიკაცები და ახალგაზრდები, გასათხოვარი ქალები თუ დედაბრები.

— თავიდან მოაყოლე! ჩვენც გაგვაგებინე!

...ახლა სხვა კილო ჩამოჰკრა ქოხსალამურამ. იგი იშვიათად იმეორებდა თავის ნათქვამს. როგორღაც თავად იცვლებოდა ლექსი და კილო.

ხიჩუმე და გაგონება ჩამოვარდა. მხოლოდ შორს ქვევიდან თერგის შხუილს თუ შემოახტუნებდა ნიავ-ქარი. ხანდახან ყუროს მხრიდან ქვაცვენის ხრიალი მოისმოდა, ან მყინვარწვერიდან თოვლის ზვავის შორეული გუგუნი ხწვდებოდა ხატობას. ყოველ ხმასა და ბგერას ხარბად ისმენდა, იხრუტავდა ქოხსალამურას მახვილი გულისყური და თავისდაუნებურად მისი ნიჭის ფხაში განცდილად და გაცრილად ლექსში გადადიოდა. კილოში გაუხხლტებოდა და იყო ახე.



— ხმამაღლად სთქვი! ჩვენც გაგვაგონე! — იძახოდნენ უკანანი.

— აცალეთ, ხალხნო! მყინვარწვერმა ჩაუფუჩუნოს, თერგმა ამოსძახოს. ხასულეს ჩამოუდგეს სათქმელი! ახლა სთხზავს განა! — მიეშველა ოქრო-პაპა.

— განა თემის ზარია — ჩამოჰკრა და დარეკოს! კაცია, ხალხნო! ძე — ხორციელი!

არა, ქოხსალამურას ლექსი უკვე ჩამოუდგა „სასულეს“. მოსხლეტაზეა. ხოლო სახელი დაავიწყდა, აი იმის... ცხენის პატრონის! აი წელან რომ სთქვა... ასჯერ რომ გაიმეორა!...

— ვინ ჩიოდა მწარედ? — ხმამაღლა მოუვიდა ფიქრი.

— ნუგზარი! ნუგზარი!.. მაშ ვინლა? — შეაძახა ხალხმა.

— ჰოდა, ნუგზარი! — ოდნავ შეკრთა კიდევაც ქოხსალამურა და ფანდური მისმა-მოსმით აახმიანა. ხალხი გაინაბა.

ნუგზარ, ხევზე რომ ილაშქრე,
დღე გაგითენდა მწარეო.
ცხენი და გული მოგიკლეს,
თავი ტალახში მალეო.
წელზე ხონჯარი შეგაწყდა,
ულვაში, მოიხმარეო.
ჯორს შემოუჯექ მეაბჯრეს,
გორს იქით გაიპარეო.
რაც ხევმა შიში გაჭამა,
არაგვს ვერ გაიბანეო!..

— ვერ გაიბანს! ვერა! — აერთხმიანდა ხალხი. აურიამულდა გარემო.

— შენი ჭირიმე, სალამურო! ვაშა, ძმაო! კარგი ვაშა!

თემის გუგუნი თერგს დაედარა. მისი გულუხვობა კი ზვავს. ქოხსალამურას უხვად მოსდიოდა სირჩები, ძღვენ-მოსაკითხავები. მის წინ სუფრაზე მრავალნაირი ხორაგისა და დოვლათის გორა იდგა. იგი კი ახლო-ირგვლივ ვერაფერს ჰხედავდა, ვერაფერს ჰგრძნობდა. მაღლა მყინვარწვერს ეტყოდა, გაღმა — ყუროს, დაბლა თერგსა და დარიალს. უკვე მთელი თემის სახელით ჰმეტყველებდა:

სისხლის წვიმების დროსაო,
ნუგზარ ერისთვის დროსაო...
თუ თავის ქება ინება,
ნურც ჩვენი დააკლოსაო!

— ნურც ჩვენი! ნურც ჩვენი!.. ჩვენიცა სთქვას! უკლებლივ! — ხალხმა ხელში აიტაცა მოლექსე და მაღლა ჰაერში შეათამაშა...

— ხადოლეზე პირველ ბედაურზე შესვით! — დასჭყივლეს არაყისა და ლუდის სმით შელაღლაღებულმა მოხუცებმა. — ლექსის ვაჟკაცი — ყველგან ვაჟკაცი არს!..

ხალხი ერთობლივ იქით დაიძრა. მედოლენი ნაპატიებ ცხენებს მოახტნენ და ხადოლედ გაემზადნენ.

მგელიკას მოყვანილი ხევსურები აბა რას ჩამორჩებოდნენ. ხელად მოახხდნენ თავის ყურწალურსულ, კოჭმაგარა ცხენებს.

ერთი ცხენ-რჩეული ქოხსალამურასაც მოჰგვარეს.

— ჯილდო დავთქვათ! ჯილდო! — გაიძახოდნენ დოღში გასულნი.

— ნუგზარის ცხენის საქალამნე! — გადასძახა მათ ხევისბერმა.

— კარგია! კარგი! — ახალგაზრდობა ცხენის ტყავსა სწვდა, ხადოლეზე გამოათრია. აჭრისას ოთხი კარგი შოლტი თავის ანაჭრებით გამოვიდა. ზურგის შოლტი, შიოლამ „ალაზნის თოფისათვის და ბატონისათვის“ მისართმევად ოქრო-პაპას ჩააბარა, სამი კი წყვილ საქალამნედ დააჭრევინა და საჯილდოოდ წამოაყენა.

დეკა-ღვიითა და მრავალფერ ყვავილებით გადახატულ სათიბებზე, ყიჟინითა და ძახილით მიჰქროდნენ გახელებული მედოლენი. ვაკეზე სისწრაფეში მოხევეები სჯობნიდნენ. უგზო-უკვლო სვლაში კი ხევსურებს არა ჰყავდათ ბადალი. ცალი შოლტი მათაც ერგოთ.

ბოლოს „კუდის დოღი“ გაიმართა. ამ ჯერად იგი ორმაგად ამართლებდა თავის სახელს. ჯერ ერთი და საბოლოო, წახვლის დოღი იყო და, მეორეც, „კუდის დოღის“ ჯილდოდ, ნამდვილადაც ნუგზარის ცხენის კუდი იყო წამოყენებული.

დოღის დაწყებისას, ქოხსალამურამ კიდევ ერთხელ, ზედ ცხენზე აიტაცა ფანდური და უკვე სავსე, ეშხში შესულ ხმით დასძახა:

ომში და ლხინში ნაკვესო,
თემის პირო და ძალაო,
შენს ბედზე იაც დავთესე,
ვარდებიც გაიშალაო!..

ახლა კი ბერიკაცებმაც გადიგდეს ტყაპუჭები, მოიშვლიპეს ქუდები. მყინვარწვერს შეედავენ სითეთრეში, აქა-იქ ქალებმაც კი გადმოახტუნეს ცხენები. აკუნტრუშდნენ კვიცებზე შემჯდარი ბალღები. ხევისბერმაც აიტაცა დროშა და საერთო დოღის პირში ჩადგა.

აუღერდნენ ზინზილაკები, ახმიანდნენ დოლები და ფანდურები. სტვირები და სალამურები. სახალისოდ აგუგუნდა სამების ზარი.

— კაცი — კუდზე!.. კაცი — კუდზე!... — ერთი ოინბაზურად გადასძახა ქოხსალამურამ, ნუგზარისეული ბედაურის ძუა ააფრიალა და ცხენი დასძრა. ზვავივით დაიძრა დოღიც, მწვანე ხავერდის სათიბებს ჩაჰყვა. ყაყაჩოებში, ღიღილოებში, დეკიანებში. ფართო ნაპირი გაიტანა. ბეთლემის მხრიდან ჩამოწოლილ ფაფუკ ნისლში ჩრდილად შეგორდა. ერთდროულად შეზვიადდა და მკაფიობაც დაეკარგა. მალე კი სულ გაუჩინარდა. ძახილ-ყიჟინი კი კიდევ დიდხანს ახმიანებდა ბეთლემ-სამების მხარეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა




ფოტო ოთ. თურქიასი

**ჯიმშერ ენუქიძე**

წარმოიდგინეთ თბილისის სარეკლამო ბიუროში მომხმარებელსა და ბიუროს წარმომადგენელს შორის გამართული საუბარი

— მე გთხოვთ სასტუმროსათვის დაგვიმზადოთ სქელ და მასიურ მუშაზე აბრა წარწერით: „დღეს სასტუმროში თავისუფალი ადგილები არ არის. ადმინისტრაცია“. — მიმართავს მომხმარებელი სარეკლამო ბიუროს წარმომადგენელს.

— კი მაგრამ ერთი დღისათვის ასე დიდი ხარჯის გაწევა რა საჭიროა. სჯობს წარწერა უბრალო მუყაოზე გავაკეთოთ, იაფიც დაგიჯდებათ, — ურჩიეს შემკვეთს.

— არა, ჩვენ ასე გვირჩევნია, — ამბობს შემკვეთი და თან ეშმაკურად იღიმება.

— რა გაეწყობა, ნება თქვენია, — პასუხობენ მას მხრების აჩეჩვით და შეკვეთას იღებენ.

რად ეღიმებოდა შემკვეთს? რატომ მოჭუტა ეშმაკურად თვალი? მას ხომ აზრიანი და სასარგებლო რჩევა მისცეს. ამაზე ცოტა ქვემოთ. ამჯერად კი თბილისში არსებულ სამადსამი სასტუმროდან ერთ-ერთს — „თბილისს“ მივაკითხოთ...

სასტუმრო „თბილისის“ დიდ და ფართო მოსაცდელ დარბაზში ვართ. თავისუფალი ადგილის მოლოდინში სავარძელში ჩაჭყდარ ხალხს ერთი ფიქრი აწუხებთ მიიღებენ ოთახს?... ერთს მხრებზე პალტო წამოუხურავს და ადმინისტრატორის ფანჯარას მიყუდებია. მეორეს კი, ვინ იცის, თავისუფალი ადგილის მოლოდინში მერამდენედ ჩაიკითხა გაზეთი. ეშველებათ რამე? მიიღებენ სანატრელ ნომერს? საეჭვოა. ადმინისტრატორის ფანჯარასთან გამოკიდებული განცხადება: „დღეს სასტუმროში თავისუფალი ადგილები არ არის. ადმინისტრაცია“, ამის იმედს არ იძლევა. იცანით განცხადების ტექსტი? იგი ხომ სასტუმროს მესვეურებმა სარეკლამო ბიუროში შეუკვეთეს. ამ განცხადებას თურმე ფანჯრიდან არასოდეს არ ხსნიან. აი, რაზე ჩაიცინა ეშმაკურად მაშინ დამკვეთმა. ასეთივე პასუხს აძლევს მორიგე ადმინისტრატორი ვახტანგ დონაძე გაჭირვეულებულ მოქალაქეს:

— ამხანაგო, დღეს სასტუმროში თავისუფალი ადგილები არ არის.

მართალია სასტუმროში მოწყობა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, თუ მოეწყვეთ, თუნდაც შეზღუდული ვადით, სასტუმრო „თბილისში“ კარგად იციან, როგორ უნდა მოემსახურონ დედაქალაქში ჩამოსულ სტუმარს სასტუმროში ჩამომხდარ კაცს ყოველთვის შეუძლია მიიღოს ცხელი თუ ცივი აბაზანი, ესტუმროს საპარიკმახეროს, საყოფაცხოვრებო კომბინატს, რესტორანსა და ფოტოატელიესაც კი დასვენების ოთახში ბინადართათვის დიდი საპროექციო ტელევიზორი დაუდგამთ. სასტუმროში, როცა ჯერ კიდევ ყველას სძინავს, დილაადრიან იწყებენ მუშაობას დამლაგებლები, მრეცხავები, მზარეულები, მელუმელეები, სართულის მორიგეები და სხვანი. ვათვალიერებთ სასტუმროს. დამლაგებლები კიბეებისა და ფართო დარბაზების დასუფთავებას შესდგომიან. სართულის მორიგეს საყოფაცხოვრებო კომბინატიდან ახლად გაწმენდილი და წესრიგში მოყვანილი პალტო მიაქვს სასტუმროს ბინადარისათვის...

ახლა კი იმ ბედნიერებსაც გავეცნოთ, რომელთაც თავის დროზე სასტუმროში მოწყობა მოახერხეს. ერთ-ერთ ბინადარს — მარგარიტა ემელიანოვას ჩვენ კიბეებზე შევხვდით. ჩოგბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მას თბილისში მოუპოვებია. ახლა სავარჯიშოდ ჩამოსულა.

— აქ ხომ დეკემბერში მშვენიერი ამინდებია, — გვეუბნება მარგარიტა და თან ხუმრობით დასძენს, — თბილისი კარგად დავცადე, ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი აქ მოვიპოვე...

ავდივართ მესამე სართულზე. სართულის მორიგე ოლღა სოკოლოვსკაია ახალ მობინადრეს თავისუფალ ნომერში ეპატიჟებოდა: — კეთილი იყოს თქვენი მოსვლა... თავისუფალი ნომერი? ხომ არ შეგვცდა? არა. გამონაკლისებს აქაც აქვს ადგილი...

გავეცანით სართულის მორიგე ოლღა სოკოლოვსკაიას. იგი დიდი ხანია, რაც სასტუმროში მუშაობს. როდესაც მასთან ვსაუბრობდით, მას კიეველი ახალგაზრდა კონსტრუქტორი ანატოლი შკოდა გამოეცნაურა. შკოდას აქ ადრეც უცხოვრია...

სასტუმროში მოგზაურობას განვაგრძობთ. ნომერი 306! — აქ ცნობილი ჩოგბურთელი, მსახიობი და სპორტულ რადიოგადაცემათა რადიოკომენტატორი ნიკოლოზ ოზეროვი ცხოვრობს.

სანამ ფეხბურთის გადაცემათა ცნობილ რადიოკომენტატორთან შევიდოდეთ, ცოტა ხნით იგი სასტუმროს რადიოკომენტატორად წარმოიდგინეთ. ამ შემთხვევაში ნიკოლოზ ოზეროვის გადაცემათა შინაარსი დაახლოებით ასეთი იქნებოდა: „— ჩვენი მიკროფონი დგას სასტუმრო „თბილისის“ დიდი მოსაცდელი დარბაზის მოედანთან. თამაშობენ სასტუმრო „თბილისის“ ადმინისტრაცია და სასტუმროში თავისუფალი ადგილის მაძიებლები. ადმინისტრაციის გუნდში რიგრიგობით მონაწილეობენ მორიგე ადმინისტრატორები, მაძიებელთა გუნდში — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული სპეციალისტები, ინჟინრები, კოლმეურნეები, მეცნიერები.

მარჯვენა მხარეს ადმინისტრაციის გუნდის კარი ანუ სარკმელია. კარის სიმაღლე და სიგანე თანაბრად 30 სანტიმეტრია. ცხადია რომ ასეთ პატარა სარკმელში ბურთის გატანა გაძნელდება. მარცხნივ მოწინააღმდეგეთა კარი — იგივე სასტუმროს სადარბაზო შემოსასვლელია...

ამხანაგო რადიომსმენელებო! ჩვენი დღევანდელი მატჩი იმით არის საინტერესო რომ თამაშს არავინ არ სჯის საქმე ისაა, რომ სპორტის ამ ახალი სახეობის გამსჯელი და კვალიფიციური მსაჯი სასტუმროთა ზედამხედველ ორგანოებს ჯერ არ გამოუყვიათ... მაშ ასე, თამაში დაიწყო. უტევენ მაძიებელთა გუნდის წარმომადგენლები სწრაფი ადგილგადანაცვლების ცნობილი ტაქტიკით. ცდილობენ ადმინისტრატორთა კარის აღებას. მაგრამ... მაგრამ რა, როგორც კი მათი თავდამსხმელი მიაღწევს ხოლმე ადმინისტრატორის სარკმელს, გუნდის მეკარე — იგივე მორიგე ადმინისტრატორი მაძიებელთა თავდამსხმელებზე მოქმედებს მაგიური განცხადებით: „— დღეს სასტუმროში თავისუფალი ადგილები არ არის“... ადმინისტრატორები კარს მედგრად იცავენ...

ამჯერად საპასუხო შეტევაზე გადადიან ადმინისტრატორები. კარგია, კარგი... ისინი დიდი ვირტუოზები ყოფილან. აი, ისინი მიუახლოვდნენ მაძიებელთა გუნდის ერთ-ერთ წევრს და დარტყმა... კიდევ დარტყმა და მაძიებელთა გუნდის ერთი წევრი გააქვთ მათსავე კარში — რუსთაველის პროსპექტზე. იგი ახლა „ინტურისტის“ ან „რუსთაველის“ ადმინისტრატორთა გუნდებთან თამაშში თუ სცდის ბედს...

მაშ ასე ამხანაგებო! ერთით ნოლი, ერთით ნოლი სასტუმრო „თბილისის“ ადმინისტრატორთა სასარგებლოდ. სპორტის ახალი სახეობის მოყვარულებო შეიტანეთ შესწორება გათამაშების ცხრილში. რადიომსმენელებო! აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციის გუნდს მოგება არცთუ ისე ეჭაშნიკება. მათ ხომ ის ურჩევნიათ, რომ თავისუფალი ნომრის ყველა მსურველი დააკმაყოფილონ. თამაში დამთავრდა. მომავალ შეხვედრამდე. რადიოგადაცემა ორგანიზებული იყო სასტუმროებში თავისუფალი ადგილების მაძიებელთა რადიო კლუბის მიერ, გადაცემა მიჰყავდა ნიკოლოზ ოზეროვს“.

ახლა კი დროა ნიკოლოზ ოზეროვს ვესტუმროთ. მან გულთბილად მიგვიღო, გაგვაცნო თავისი დედა, რომელიც თბილისში 30 წლის წინათ ყოფილა და თბილისი მონატრებია. წამიერი სიჩუმე თვით ოზეროვმა დაარღვია და გატაცებით დაიწყო საუბარი საქარ-

ოლეგ პოპოვი არა მარტო სასტუმროსი, მთელი ქალაქის სასურველი სტუმარიცაა.



ჩვენი ქალაქის ხშირი სტუმარი სპორტის რადიოკომენტატორი და ჩოგბურთის ოსტატი ნ. ოზეროვი სასტუმრო „თბილისში“ მასპინძლად გრძნობს თავს.





გვიანი ღამეა. ყველა შინაა. მხოლოდ ერთი სტუმართაგანი არ მოსულა ნომერში. ალბათ, ტკბება ღამის თბილისის სილამაზით.

თველოზე, თბილისზე, სპორტზე...—მე თბილისთან ბევრი რამ მაკავშირებს: ჩოგბურთის ჩემპიონატებში გამარჯვება, ფეხბურთის თამაშების ტრანსლაცია და მართლაც, ოზეროვმა გასული წლის ჩემპიონატის დეკემბერში შემდგარ 4 უკანასკნელი მატჩის ტრანსლაცია ხომ თბილისიდან მოაწყო.

ოზეროვს გავაცანით ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი „სპორტის ახალი სახეობის" ტრანსლაციის შინაარსი. იგი ჩვენ აზრს სავსებით დაეთანხმა, მაგრამ დასძინა:—თქვენს ჟურნალში უეჭველად ისიც დაბეჭდეთ, რომ აქ კარგად გვილებენ. მომსახურება აქ შესანიშნავია, მშვენიერი რესტორანი, და რაც მთავარია თქვენი ქართულად შეკმაზული კერძები... არა, უეჭველად უნდა გააცნოთ რესტორან „თბილისის" მზარეული თქვენი ჟურნალის მკითხველებს,— გვირჩევს ოზეროვი გამოთხოვებისას...

მზარეულ სერგო გოზეჯიშვილის სანახავად გავეშურეთ. სერგო გოზეჯიშვილს მუშაობა 12 წლის ასაკში დაუწყია. იგი პირველად ვინმე ელიაძის სასტუმროში ყოფილა შეგირდად. ახლა კი ორმოცდამეთხუთმეტე წელია, რაც მზარეულად მუშაობს და კიდევ ჯანღონით სავსე ჭარმაგია. რესტორან „თბილისში" სერგო გოზეჯიშვილის ხელმძღვანელობით დამზადებული კერძები მაღალი ხარისხისაა და თანაც გემრიელი.

სამზარეულოში მოფუსფუსე გოზეჯიშვილმა ანაზდად ოლეგ პოპოვი მოგვაგონა. ოლეგ პოპოვიც ხომ თავისებური მზარეულია. თქვენ, ალბათ, იცით, რომ ოლეგი ცირკის არენაზე მზარეულის თეთრად გაქათქათებულ ფორმაშიც წარმოგვიდგება ხოლმე. ცნობილ კომიკს—იგივე „მზარეულსა" და ჟონგლიორს სასტუმრო „თბილისში" მოწყობა უცდია, მაგრამ თქვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო „თამაშგარე" მდგომარეობაში დარჩენილა. სასტუმრო „თბილისში" გვითხრეს, რომ იგი „ინტურისტში" ცხოვრობსო და ჩვენც მასთან გავეშურეთ. იგი საწოლზე წამომჯდარი დაგვხვდა და თავისი მტკივანი ფეხის შეხვევას შესდგომოდა. მის ამ საქმიანობაშიც რაღაც კომიკური იყო. გაიხსენეთ პოპოვი სარეკლამო აფიშაზე ზურგჩანთააკიდებული და ზედ მიკრულ ფურცლაკებზე მოკიაფე: ივანოვო, სტალინგრადი, პარიზი, ლონდონი, სოჭი, ბრიუსელი... ახლა მას თბილისიც ამშვენებს. ბუნებრივია, რომ პოპოვი აღნიშნული ქალაქების სასტუმროების ბინადარიც იქნებოდა. ჩვენს კითხვაზე თუ როგორ გრძნობდა თავს ამ ქალაქების სასტუმროებში, ოლეგმა ასე გვიპასუხა: — ყველგან კარგად, აქაც — თბილისშიც, მაგრამ თბილისის სასტუმროში მოწყობა უფრო ძნელად მიმაჩნია, ვიდრე რომელიმე ურთულესი საცირკო ტრიუკის შესრულება...

ყველგან ერთი და იგივე პასუხი: — კარგია, მაგრამ... ოო, ეს მაგრამ... ფაქტი ერთია: თბილისს სასტუმროები არ ყოფნის. ჩვენი დედაქალაქის რკინიგზის სადგურზე თუ საფრენ ბილიკებზე ჩამომსხდარი მგზავრები—კოლმეურნეები, მუშები, ინჟინრები, მსახიობები და კიდევ ბევრი სხვა სპეციალობის ადამიანები მოითხოვენ: — დაგვახვედრეთ თავისუფალი ადგილები სასტუმროებში!

მელიქიშვილის ქუჩაზე აშენებული ვეებერთელა შენობა ახალი სასტუმროსთვისაა განკუთვნილიო. მაგრამ, რა! ვერ იქნა და შენობის შიგნით მოწყობას თავი და ბოლო ვერ მოაბეს. იმასაც ამბობენ, რომ ახლო ხანში კოლმეურნეებისათვის სპეციალურ სასტუმროებს აშენებენო. მაგრამ როდის? დრო არ ითმენს შორეული თუ ახლო მხარეებიდან ჩამოსულებს აღარ უნდათ დანახვა სასტუმროს ადმინისტრატორის ფანჯარაზე გამოკიდებული განცხადებისა:

„სასტუმროში თავისუფალი ადგილები არ არის!"

ნახვამდის! დიდი მადლობა მასპინძლობისთვის.



# ნაქერალას ტყუპები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ვისმეს ეუცხოოს ეს სახელწოდება, მაგრამ როდესაც ნახავს მდინარეების შაორისა და ტყიბულას ქვაბნარებში რამდენიმე ხნის წინ წარმოქმნილ წყალსაცავებს, მაშინ აღარ გაუკვირდება. თვით იმ ტყუპების დედა — ნაქერალას ქედი შვილია გულზვიადი კავკასიონისა, რიონისა და ყვირილას შუა რაჭის მთაგრეხილებზე ნებივრად გაწოლილი.

მისი ჩრდილო კალთების ნაოჭებიდან იწყება მდ. შაორი და სამხრეთიდან მდ. ტყიბულა. ეს მდინარეები საინტერესოა არა მარტო ახლად წარმოქმნილი წყალსაცავებით, არამედ თავისი წარსულითაც.

მდ. შაორი მიმდინარეობდა შაორის ქვაბნარში და სოფ. ნიკორწმინდის სამხრეთით იკარგებოდა მიწის ქვედა კარსტულ სასვლელებში, გამოდიოდა დასავლეთით მდებარე უდაბნოს ხევში და იქიდან რამდენიმე კილომეტრის შემდეგ უერთებოდა მდ. რიონს.

ასევე, მდ. ტყიბულა მიმდინარეობდა ტყიბულას ქვაბნარში და იკარგებოდა წინწკილას ქედის ძირში კარსტულ სასვლელებში და ორი კილომეტრის შემდეგ გამოდიოდა ნაკადის მთის ძირას ძევრულას სახელწოდებით.

შაორისა და ტყიბულას ქვაბნარების აღნაგობიდან ჩანს რომ იქ შორეულ წარსულში ბუნებრივი ტბები უნდა ყოფილიყო, სანამ მდინარეები მიწის ქვედა სასვლელებს გაიჩენდა, ხოლო ამის შემდეგ ტბები დამშრალა და მდინარეებს ჩვენამდე ახლანდელი სახით მოუღწევიათ (როგორიც წყალსაცავების წარმოქმნამდე ჰქონდათ).

აღნიშნული მდინარეების ბუნებრივი ქვაბნარებითა და სხვა ხელსაყრელი პირობებით ისარგებლეს ჩვენი ქვეყნის ჰიდროელექტრომშენებლებმა და შეუდგნენ ადამიანის გაჩენამდე იქ არსებული ტბების ხელახლა წარმოქმნას:

მდინარე შაორს შეუზღუდეს ძველი გზა იქ სადაც დედამიწის სიღრმეში იკარგებოდა, შეაგუბეს მის ძველი ნატბავარ ქვაბნარში. იმავე დროს მის სათავესთან ნაქერალას ქედი გაბურღეს, იმოდენა წყალი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ შემოაბრუნეს და ნაქერალას გვირაბით ტყიბულას ქვაბნარში გადაუშვეს: შეაერთეს ნაქერალას ტყუპები შაორი და ტყიბულა. შაორის მიმატებით ტყიბულა ერთი ორად გაიზარდა. გაძლიერდა, შეიცვალა ფერი, ტემპერატურა, ხასიათი.

მშენებლებმა ტყიბულასაც მოსტაცეს ქვესკნელში სავალი გზა, ძველებურად შეაგუბეს ტყიბულას ქვაბნარში და სხვა მიმართულებით მისცეს გეზი.

ამგვარად, ნაქერალას ჩრდილოეთით და სამხრეთით კვლავ გაცოცხლდნენ ტბები, გაჩნდა ორი დიდი წყალსაცავი.

ამჟამად ეს ორი მდინარე და მათ მიერ შექმნილი წყალსაცავები მნიშვნელოვანი გახდა, აგრეთვე, მეთევზეობის თვალსაზრისით.

რადგანაც ეს მდინარეები ჩაკეტილი იყო და ნიადაგში იფილტრებოდა, ამის გამო მათი ფლორა და ფაუნა ერთგვარ თავისებურ იერს ატარებს.

მდინარე შაორში და მის ახლად შექმნილ წყალსაცავში გვხვდება რამდენიმე სახეობა წყალმცენარეებიდან და უხერხემლო ცხოველებიდან. ხოლო თევზებიდან გავრცელებულია მხოლოდ ორი სახეობა. ციმორი — სრულიად მცირე ზომის თევზი და კალმახი.

კალმახი წყალსაცავში გამრავლდება სწრაფად და ამავე დროს საგრძნობლად მოიმატებს სიდიდესა და წონას, ვიდრე მდინარეში; ამას ხელს შეუწყობს სხვა ფაქტორებთან ერთად ის გარემოებაც, რომ წყალსაცავში საკმაო რაოდენობით განვითარდება თევზის საკიდები.

თევზის პროდუქციის გადიდებისა და მრავალფეროვანების მიზნით იქ შეიძლება გაიშვას სხვა სახეობის სარეწაო თევზები: ფარავნის ტბის ხრამული, კობრი და რიპუსი, რომლებიც ადვილად შეეგუება იქაურ პირობებს და მოგვცემს მნიშვნელოვან ნამატს.

შედარებით სხვა ხასიათისაა მდ. ტყიბულას მიერ წარმოქმნილი წყალსაცავი, ის ძირითადად ბარის წყალსაცავის ტიპისა უნდა ყოფილიყო, ოღონდ მდ. შაორის შეერთების გამო, რომლის ტემპერატურაც საკმაოდ დაბალია, მიიღებს გარდამავალ ხასიათს. გარდა ამისა მდინარე ტყიბულაში ირეცხება ქვანახშირი, რის გამოც წყალსაცავი იქნება მღვრიე და ქიმიური შემადგენლობით განსხვავებული, ვიდრე შაორის წყალსაცავია. ქვანახშირის ნალექი საკმაოდ უარყოფითად იმოქმედებს როგორც წყალსაცავებისათვის, აგრეთვე, თევზის მომრავლებაზე, ამის გამო საჭიროა წყალსაცავის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას ტექნიკური თვალსაზრისით დროულად მიექცეს ყურადღება.

მდ. ტყიბულაში და მის მიერ წარმოქმნილ წყალსაცავში ამჟამად გავრცელებულია შემდეგი სახეობის თევზები: წვერა, ქაშაპი, ნაფოტა და გველანა. აქედან სარეწაო მნიშვნელობისაა მხოლოდ წვერა და ნაწილობრივ ქაშაპი, გარდა ამისა, აქ შაორის წყალსაცავიდან გადმოჰყვება კალმახი, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს ტყიბულას წყალსაცავს, თუმცა ეს მაინც არ იქნება საკმარისი სარეწაო თვალსაზრისით. საჭირო გახდება კობრის და სხვა სახეობების მოშენება.

მხედველობაშია მისაღები, რომ აღნიშნულ წყალსაცავებში თევზის ამა თუ იმ სახეობის გაშვება მოხდეს შერჩევით და გეგმაზომიერად. არავის მიეცეს უფლება დაანაგვიანოს წირილი, უვარგისი ან მტაცებელი თევზებით.

კარგი იქნება თუ სათანადო ორგანიზაციები დროზე მიაქცევენ ყურადღებას აღნიშნულ წყალსაცავებს დაცვისა და ათვისების თვალსაზრისით.

შაორისა და ტყიბულას წყალსაცავები გემრიელი თევზის ჭერის გარდა მნიშვნელოვანი იქნება, როგორც საუკეთესო დასასვენებელი ადგილი. განსაკუთრებით შაორი თავისი მაღალი მთის ჰავითა და წარმტაცი ბუნებით.

როსტომ ელანიძე

# ქართული საბალეტო ხელოვნების უდიდესი მიღწევა

**აკაკი ვასაძე**

სსრკ სახალხო არტისტი

ინგლისელი ისტორიკოსი მაკოლეი, ეტიუდში დანტეს შესახებ შენიშნავს რა, რომ უმაღლეს განსახილველ საგანს მიწიერ საგნებს შორის წარმოადგენს თვითონ ადამიანიო, — დასძენს: „შეიძლება, მსოფლიოში ყველა გამოჩენილ თხზულებათა შორის უდიდესი — „ოტელო“ იყოსო“.

მოქმედების ნათელი მოტივირებით, თავისი განსაზღვრული და მთლიანი აღნაგობით „ოტელო“, ცნობილია შექსპირის ყველაზე უფრო სრულყოფილ ნაწარმოებად.

შექსპირს „ოტელოში“, უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, მიგნებული აქვს „აუცილებლობის“ კანონი, რომელიც წარმოსდგება ადამიანთა ბუნებისაგან, აღზრდისაგან, პირობებისაგან, და იმ ყოფითი ვითარებისაგან, რომელშიაც მათ უხდებათ ცხოვრება და მოქმედება.

„ოტელოში“, როგორც სრულ რეალისტურ ნაწარმოებში, როლი კეთილი და ბოროტი სულისა მინდობილი აქვს ცოცხალ ადამიანებს, და ეს ზედმიწევნით შეეფარდება ადამიანურ ბუნებას, ხასიათსა და პირობებს.

შექსპირის ტრაგედიებში ამ მხატვრულ თვისებათა გამოა, ალბათ, სცენისათვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი „ოტელო“.

ეს გენიალური დრამატული ქმნილება ხელმისაწვდომი შეიქმნა საოპერო ხელოვნებისთვისაც. ჯუზეპე ვერდის ოპერა „ოტელო“, ერთ-ერთ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებად ითვლება საყოველთაოდ ცნობილ ოპერებს შორის.

მაგრამ დიდხანს იყო საიდუმლოებით მოცული ის გზა, რომლითაც, საერთოდ, შექსპირის უკვდავი დრამატული ქმნილებანი გადატანილი უნდა ყოფილიყო საბალეტო ხელოვნებაშიც.

მხოლოდ საბჭოთა ქორეოგრაფიულმა კულტურამ შესძლო ამ უდიდესი ამოცანის გადაჭრა.

პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ საბჭოთა რუსული ხელოვნების უდიდესი მიღწევა კი არ არის მარტო, არამედ, საერთოდ, მოვლენაა კაცობრიობის კულტურაში. მოცეკვავე ულანოვამ განუმეორებელი შექსპირული სრულყოფილი სახე შექმნა.

პროკოფიევმა და ულანოვამ ქორეოგრაფიულ ენის სტიქიაზე გადაიტანეს შექსპირის დრამატული პოეზიის ენა.

კანონზომიერი იყო მღელვარე მოლოდინიც ქართველი მაყურებლისა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ „ოტელოს“ დადგმის გამო.

„ოტელოს“ განუმეორებელი მხატვრული ძალა — მის ფსიქოლოგიურ სიმართლეშია, მისი დიდებული ხელოვნება ადამიანურ ხასიათებისა და ვნებების სწორ და ნათელ გამოხატვაში მდგომარეობს, მის შთაგონებულად მიგნებულ განვითარებაში ან სულიერ მოძრაობათა ცვლაში, ისეთი სიტყვების პოვნაში, რომლებშიც ისინი ჩვენს წინაშე დამატყვევებელი ძალით წარმოდგებიან და მოქმედებას მიგვაჯაჭვავენ.

ჩვენი სახელოვანი მოცეკვავის, ვახტანგ ჭაბუკიანის გამარჯვება იმაშია, რომ მან არაჩვეულებრივად მწყობრი, მთლიანი, მაღალპროფესიული კლასიკური სპექტაკლი შექმნა. მისი გამარჯვება, მისი ხელოვნების მომაჯადოებელი ძალა, — მის ხალხურობაშია, მის შთაგონებულ მიგნებაში ქართული ქორეოგრაფიის იმ ანკარა წყაროებისა, რომელშიაც ქართველმა ხალხმა ჩააქსოვა თავის გაუტეხელი ვაჟკაცობა, სიმკვირცხლე, ჰაეროვნება, სიმკვეთრე და მგზნებარე ტემპერამენტი.

დიახ, ვახტანგ ჭაბუკიანის მეთაურობით თეატრმა პრინციპული გამარჯვება მოიპოვა!

ვახტანგ ჭაბუკიანი, როგორც ლიბრეტოს ავტორი, როგორც დამდგმელი და მოცეკვავე მისდევს რა თვითონ შექსპირის ტრაგედიის შინაგან კონცეფციას, იგი ტრაგედიის თავისებურ ქორეოგრაფიულ ენას ქმნის: შემტევს, შინაგანად დაძაბულს, მკვეთრსა და მგზნებარეს.

პირველ გამოსვლიდანვე ჭაბუკიანი — ოტელო გიპყრობთ თავის ვაჟკაცური სიმკვირცხლით, მავრის შთაგონებული სიყვარულის გადმოსაცემად ისეთი თვისობრივად ახალი, მკვეთრად მოხაზული ილეთებით, საკმარისია პოეტური მდორე ადაჟიო, წიგნაძე — დეზდემონასთან ერთად არაჩვეულებრივ ნახაზებში დაასრულოს, რომ მოიხიბლოთ ოტელოსა და დეზდემონას სუფთა, ნათელი სიყვარულის გრძნობებითა და უშუალობით. ამ საცეკვაო დუეტში გიტაცებთ არა მარტო შეყვარებულთა უზარმაზარი შინაგანი განცდის გადმოცემა, არა მარტო კდემამოსილი დეზდემონას მთრთოლვარე გაუბედაობის გადმოცემა, რომელსაც სიქალწულის ბეჭედი აზის, არამედ არაჩვეულებრივი ჰაეროვნება და სიმსუბუქე, თითქოს ბედნიერების სიხარულით ატაცებული ოტელო მიწაზე ფეხს არ აკარებდეს და დეზდემონასთან ერთად ჰაერში დანავარდობდეს. დეზდემონა-წიგნაძე ადაჟიოში ისეა ჩახატული ოტელო ჭაბუკიანთან, რომ თავის გამომსახველი საშუალებებით ეს სცენა მთელი სპექტაკლის ექსპოზიციის, სტილისტური საფუძვლის როლსაც ასრულებს.

შეყვარებული მავრის აღტყინებული, შთაგონებული სწრაფვა — ვახტანგ ჭაბუკიანის გადმოცემით, ისეთივე აუცილებელი დამახასიათებელი საქციელია ოტელოს სახისათვის, როგორც მავრიტანული ცეკვა — მეორე აქტში, რომელიც არაჩვეულებრივი ძალით მოქმედებს მაყურებელზე. იმდენად დამახასიათებელია ეს მავრიტანული ცეკვა ოტელოსათვის, მისი უდიდესი ბედნიერების წუთებში, როდესაც დეზდემონა მოცეკვავე მავრ გოგონების წრეში შემოდის და დაიყოლიებს ოტელოს მათთან იცეკვოს... ოტელო დაჰყვა დეზდემონას... მშობლიურმა ჰანგმა და რიტმმა თითქო სისხლი კიდევ უფრო აუთამაშა... თანდათან ეშხში შევიდა... თვალებში ბედნიერების ცეცხლი აკიაფდა და... ცეკვავს ოტელო მშობლიურ ცეკვას, თავდავიწყებით მთელი სხეულით, ყველა კუნთით, წმინდა გულით. ბავშვური მიამიტობით, სიხარულით გაბრწყინებული! საოცარია, საკვირველი! ასეთი მაღალი სიმართლე უსიტყვოდ გრძნობათა გადმოცემისა, ასეთი შინაგანი ძალით სულიერი აღმაფრენის ცეკვით გამოხატვა. მართლაც, რომ შექსპირულია! მავრიტანულს ამ ცეკვას მხოლოდ პირობითად თუ ვუწოდებთ, თორემ იგი ოტელოს კეთილშობილურ ადამიანურ ბუნების ცოცხალი სურათია, ყველასთვის გასაგებ ნათელ ფერებით დახატული. ისე შთაგონებულად არის მიგნებული ამ ცეკვაში ყოველი ილეთი ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ, როგორც შექსპირის სიტყვები ამ ტრაგედიაში, რომელნიც მომჯადოებელი ძალით გადმოგვცემენ გმირის სულიერ მოძრაობის განვითარებას ან მის ცვალებადობას, და ზემოქმედებით რომ ბოჭავენ თქვენს ყურადღებას.

ასეთია „ბედნიერების ცეკვა“ ოტელოში — ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შექმნილი და შესრულებული.

„ბედნიერების ცეკვა“ იცვლება — „სასოწარკვეთის“ ცეკვით მესამე მოქმედებაში. ოტელოს ჩააწვეთა ეჭვიანობის შხამი იაგომ, ეჭვით ამღვრეული თვალები შიშით ჩასცქერიან დეზდემონას თვალებში, თითქოს ცახცახით იწურება მთელი სხეული, თითქოს უნდა მოჯადოებული წრე გაარღვიოს, გაექცეს ამ საშინელებას, გაექცეს თავის თავს, სტიქიას გაურბის, არაჩვეულებრივი ნახტომები, არნახულ რაკურსებში ჰაერში ატყორცნილი სხეული, რაღაც ქაოსის წინათგრძნობის მოძრაობით გადმოცემა, გონების თანდათან დაბნელების გაყინული ცქერით გამოხატვა, და შემდეგ გულის წასვლა, ეს ისეთი მწვერვალია აქტიორული ოსტატობის, რომლის მსგავსიც იშვიათად თუ გამოსდით დრამატულ არტისტებს, რადგან „ოტელოს“ ბევრ გამოჩენილ შემსრულებელსა და კომენტატორს გონია, რომ საკმარისი არ არის სრულიად მრავალ ბრძოლაში გამოცდილ მეომარს ერთი ცინიკური სურათი დეზდემონას ღალატისა უამბოს იაგომ და მას გული წაუვიდეს. დრამატულ ხელოვნებაში ეს ადგილი ტრაგედიისა ყოველთვის შთაგონებული ძიების საგანი იყო და იქნება, მაგრამ ჭაბუკიანის მიერ წარმოდგენილი ამ სცენის გადაწყვეტა, იმ ასოციაციების ცოცხალი ხორცშესხმაა, რასაც იწვევს თქვენში სიტყვიერი მასალა დრამის ამ ეპიზოდში.

ასეთია მაღალი სიმართლე უსიტყვოდ გრძნობათა გადმოცემისა ამ საკვანძო სცენაშიც. თავიდან ბოლომდე ვახტანგ ჭაბუკიანს თავის მხატვრული სახე გააზრებული აქვს, როგორც ბავშვური, წმინდა გულის მქონე კეთილშობილი სუფთა ადამიანისა.

ასეთია ის დარბაზობის სცენაში, ასეთია საფინალო სცენაში. ასეთია ის მთლიანად „ოტელოში“, თვითმყოფადი, თავისებური, ახალი!

მაგრამ სურათი სრული არ იქნებოდა, თუ ვახტანგ ჭაბუკიანის, ბალეტმეისტერის ოსტატობასთან ერთად არ შევეხებოდით მის საბალეტო პარტიტურას ამ სპექტაკლში, რომელიც ძირითადში განსაზღვრავს ალ. მაჭავარიანის მაღალნიჭიერ საბალეტო-მუსიკალურ პარტიტურასაც.

პირველ გამოსვლიდან — ბოლომდე ბალეტმეისტერი — დამდგმელი და კომპოზიტორი თანმიმდევრულად, სათანადო რიტმსა და ტემპში, მუსიკალურ ფერებში ახასიათებენ დეზდემონას, იაგოს, ემილიას და ბიანკას ბალეტის საკვანძო ეპიზოდებში.

რამდენი ტაქტი და მხატვრული ზომიერება გამოიჩინა ვახტანგ ჭაბუკიანმა ოტელოს თავგადასავლის წარმოსახვაში, როგორი გატაცებით მოგვითხრო იგი, როგორც დამდგმელმა, როგორ ანვითარებს იგი სანახაობრივ მხარეს ბატალური სცენებით და კომპოზიტორიც მხარდამხარ მისდევს დამდგმელს მკვეთრი რიტმითა და კეთილხმოვანი ჟღერადობით სძაბავს მთელ ეპიზოდს.

რა მშვენივრად აქვს მიგნებული ვახტანგ ჭაბუკიანს, როგორც დამდგმელს, იაგოს საქციელი III მოქმედებაში, როდესაც ოტელო გულწასული დაეცემა, იაგო სცენის სიღრმიდან იატაკს გაკრული მოსცურავს გველივით ოტელოსაკენ, ხან თავს წამოჰყოფს, ხან ისევ მიწას გაეკვრება და უცებ ზეწამოწეული ოტელოს გულზე ცალი ფეხით დაყრდნობილი ურჩხულივით აღიმართება.

იაგო სპექტაკლში, დამდგმელის მიერ ჩაფიქრებულია მკვეთრადა და თანმიმდევრულად; იაგოს სახე დამდგმელმა გამოავლინა იმდენად, რამდენადაც არის დამოკიდებული მისგან ოტელო. ამიტომ საბალეტო პარტიტურაში იაგოს ცეკვა და პანტომიმა თანაბარი მოცულობისაა და უნდა ითქვას ზ. კიკალეიშვილი, მკვეთრ პანტომიმურ და საცეკვაო ეპიზოდებში მაღალი ოსტატობით გადმოგვცემს იაგოს შხამიან ბუნებას. იაგოს ჟესტი დახურულია, ისე როგორც ქართულ ცეკვაში, აქედან ნახაზი ცეკვისა ძალზე მკვეთრი გამოდის და ეს ყველაზე უფრო შეეფერება იაგოს შინაგან ძალას, მის სულიერ მისწრაფებას.

ასევე შესანიშნავადაა მონახული საბალეტო პარტიტურაში ბიანკას სახე, რომელსაც შესანიშნავად ასრულებს ახალგაზრდა ნიჭიერი ქალი ე. ჭაბუკიანი.

ასევე კარგადაა მიგნებული საბალეტო პარტიტურაში დეზდემონასა და ემილიას პუანტებზე გასვლა ეჭვიანობის სცენის შემდეგ. საბალეტო პარტიტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეორე აქტის ცეკვებს. აქ ისე უხვადაა მრავალფეროვანება, სიახლის გრძნობა ცეკვებში გადმოცემული, რომ იგი ცალკე ნახვას და შესწავლას მოითხოვს. დიდ დაკვირვებას მოითხოვს, აგრეთვე, დადგმაში, კასიოს, ბიანკას, იაგოს ეპიზოდი — ხელსახოცის სცენა, ვფიქრობ, სპექტაკლის მონუმენტურ სტილს არ ეგუება — კამერულადაა გადაწყვეტილი. ან სატინალო სცენა უფრო მკაფიო მხატვრულ წერტილს მოითხოვს დამდგმელისაგან, რადგან, საერთოდ თავიდან ბოლომდე ამ სპექტაკლის ლიბრეტოს, საბალეტო-მუსიკალურ პარტიტურისა. შესრულებისა და სადადგმო კულტურის მიხედვით ვახტანგ ჭაბუკიანმა მიუწვდომელი სიმაღლე დაიპყრო საბალეტო ხელოვნებაში.

შეუძლებელია ეს შესანიშნავი სპექტაკლი ნახო ან წარმოიდგინო ს. ვირსალაძის მხატვრული გადაწყვეტის გარეშე, მისი ფერების პარტიტურის გარეშე, როგორ ანვითარებს მას მოქმედების განვითარებასთან შეფარდებით, როგორ ატმოსფეროს ქმნის ყოველ სცენაში ერთი მეტყველი დეტალით, რა მონუმენტური სისადავე და ვაჟკაცური თავშეკავება, რა სიმკაცრე და როგორი მგზნებარება, ასე თავისუფლად რენესანსის გადმოცემა რამდენიმე ხაზში, ძალდაუტანებლად, რაღაც არაჩვეულებრივად არის ჩაქსოვილი მთელი სპექტაკლის შინაარსში, მის სულსა და გულში. სოლიკო ვირსალაძემ, როგორც დეკორაციული ხელოვნების დიდმა ოსტატმა, ყველა მხატვრული საშუალება სპექტაკლის მთავარი აზრის, იდეის, თემის გახსნას დაუმორჩილა. ამიტომ მისი დეკორაციული აღნაგობა, მხოლოდ ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმულ „ოტელოს“ შესატყვისია, მისი ორგანიული ნაწილი. აქ არის დიდი ძალა ს. ვირსალაძის მხატვრობისა, სადაც მას შთაგონებულად მიგნებული აქვს მთელი სპექტაკლის დეკორაციული აღნაგობა, მისი სტილი, მისი ჟანრი და, საერთოდ, ქორეოგრაფიული წარმოდგენის თვისობრივი მაჩვენებლები.

ასევე მოწონებას იმსახურებს ალ. მაჭავარიანის სახიერი, მელოდიური, ცხოველი მუსიკა. ფსიქოლოგიური, ლირიული, თუ საცეკვაო ადგილები, მთელი მუსიკალური პარტიტურა თავის მეტყველი ენით მთავარი ფუძეა ამ იშვიათი სპექტაკლისა. დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ის გარემოებაც გვრის ადამიანს, რომ ამ სპექტაკლში ყოველი კომპონენტი ერთ მიზანს განუხრელად ემსახურება და ყოველი მათგანი მშობლიურ ნიადაგზეა აღმოცენებული. ამ ბალეტის შემქმნელთა ყველაზე დიდი დამსახურება ის არის, რომ მათ თავის ნაწარმოებს საფუძვლად დაუდეს თავისი ხალხის ტემპერამენტი და შექსპირის საკაცობრიო იდეებს კვლავაც უპოვეს ბრწყინვალე გადაწყვეტა ქართულ საბჭოთა თეატრში.

ქართული საბალეტო ხელოვნების ეს უდიდესი მიღწევა საპატიო წვლილია ქართული ხელოვნებისა საბჭოთა კულტურის მდიდარ საგანძურში.



ოტელო — ვ. ჭაბუკიანი





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტელო — ვ. ჭაბუკიანი

იაგო — ზ. კიკალეიშვილი



სცენა მეორე მოქმედებიდან



დეზდემონა — ვ. წიგნაძე
ოტელო — ვ. ჭაბუკიანი



ბიანკა — ე. ჭაბუკიანი.
კასიო — ბ. მონავარდისაშვილი





დეზდემონა — ვ. წ ი გ ნ ა ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალიზმის მძლავრი ბანაკი

დ. მაისურაძე

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის დეკლარაცია ფართოდ ასახავს იმ ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მოხდა მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობაში. დეკლარაციაში ნათქვამია რომ ორმოც წელიწადში სოციალიზმმა დაამტკიცა თავისი, როგორც საზოგადოებრივი სისტემის, დიდი უპირატესობანი კაპიტალიზმის წინაშე, მან უზრუნველყო საწარმოო ძალების განვითარება ისეთი ტემპებით, რომლებიც უმაგალითო და მიუწვდომელია კაპიტალიზმისათვის.

ფაქტები მეტყველებენ, რომ თანამედროვე ეპოქა კაპიტალისტური სისტემის ლპობისა და დაცემის და სოციალისტური სისტემის გამარჯვების ეპოქაა.

ჩვენი ეპოქის ძირითად ნიშანს წარმოადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. ამჟამად სოციალისტურმა ბანაკმა მოიცვა ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 35 პროცენტზე მეტი, ცხრაას ორმოცდაათ მილიონზე მეტმა კაცმა სამუდამოდ დააღწია თავი ეკონომიურ გაღატაკებას, უუფლებობას და კაპიტალიზმის ბევრ სხვა განუკურნებელ სენს.

საბჭოთა კავშირის დიდი წარმატებები ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეული შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ სოციალიზმის დიად ცხოველმყოფელობას.

* * *

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინაშე დააყენა უმნიშვნელოვანესი ამოცანა—უზრუნველყონ მტკიცე დემოკრატიული მშვიდობა, რომელიც განამტკიცებს ფაშიზმზე გამარჯვებას. ომის შემდგომი პერიოდის ამ ძირითადი ამოცანის გადაწყვეტაში საბჭოთა კავშირსა და მის საგარეო პოლიტიკას წამყვანი როლი ეკუთვნის. ეს გამომდინარეობს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს არსიდან, რომლისთვისაც სრულიად უცხოა რაიმე აგრესიული, ექსპანსიონისტური ზრახვა და რომელიც დაინტერესებულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის განხორციელებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნით. ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენს საგარეო მშვიდობა.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების შედეგად, რომლებიც გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში და მის შემდეგ წარმოიშვნენ და წარმატებით ვითარდებიან სოციალისტური სახელმწიფოები ევროპასა და აზიაში.

პერიოდი, რომელმაც განვლო ამ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიის რეჟიმის შექმნის შემდეგ, ხასიათდება მწვავე კლასობრივი ბრძოლით. მუშათა კლასმა კომუნისტური და მუშათა პარტიების მეთაურობით ჩაფუშა ბურჟუაზიის და მემამულეთა ცდები — ამერიკის იმპერიალიზმის დახმარებით მოესპოთ სახალხო-დემოკრატიული წყობილება, ამხილა ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიების ხელმძღვანელთა ძირგამომთხრელი ჯაშუშურ-დივერსიული მოქმედება, მიაღწია ბურჟუაზიის პოლიტიკურ იზოლაციას და სავსებით გააძევა იგი სახელმწიფო აპარატიდან. ამრიგად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დამყარდა სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს ასრულებს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კომუნისტური და მუშათა პარტიების ინიციატივით და ხელმძღვანელობით განხორციელდა უდიდესი რევოლუციური გარდაქმნები: მოხდა მსხვილი მრეწველობის, ბანკების და ტრანსპორტის ნაციონალიზაცია; გატარდა აგრარული რეფორმა, რის შედეგადაც მიწა გადაეცა მშრომელ გლეხობას, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია გადავიდა სახელმწიფოს ხელში; განმტკიცდა სახალხო-დემოკრატიული ძალაუფლება; ლიკვიდირებულია მემამულეთა კლასი, მსხვილი ბურჟუაზია; ეკონომიკის მბრძანებელი სიმაღლეები გადავიდა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ხელში; სახალხო მეურნეობა გეგმაშეწონილად ვითარდება; ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

ეს ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნანი თავისი ხასიათით სოციალისტურია. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მტკიცედ დაადგნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის გზას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმი არ აღმოცენდა მზა სახით ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს დამსხვრევისა და მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე. კაპიტალიზმსა და სოციალიზმს ჰყოფს მთელი ისტორიული ხანა, გარდამავალი პერიოდი, რომელიც აღსავსეა მწვავე კლასობრივი ბრძოლით დამარცხებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე გაუნადგურებელ კაპიტალიზმსა და წარმოშობილ, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუმარჯვებელ სოციალიზმს შორის.

მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციურ დიქტატურას კლასობრივი ბრძოლის პროცესში შეუძლია განახორციელოს ექსპლოატატორული კლასების მოსპობა და სოციალისტური საზოგადოების აშენება.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურის ყველა ძირითად ფუნქციას: პროლეტარიატის მიერ ძალაუფლება გამოყენებულია ექსპლოატატორთა დათრგუნვისა და ქვეყნის თავდაცვისათვის, სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან კავშირის გაძლიერებისათვის, ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასებთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებისათვის და სოციალიზმის მშენებლობაში მშრომელი მასების ჩაბმისათვის.

სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების შექმნამდე ცნობილი იყო პროლეტარიატის დიქტატურის მხოლოდ ერთი ფორმა—საბჭოთა რესპუბლიკა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საბჭოური ფორმა წარმოადგენს მუშათა კლასის პოლიტიკური ძალაუფლების უმაღლეს, მაგრამ არა ერთადერთ ფორმას. ლენინი წერდა:

„კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება. პროლეტარიატის დიქტატურა“.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მთავრობები ახორციელებენ ისეთ ეკონომიურ პოლიტიკას, რომლის მიზანია სოციალისტური მეურნეობის გაფართოება და განმტკიცება, სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება. ასეთი პოლიტიკის შედეგად სოციალისტურმა სექტორმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა მრეწველობასა და ვაჭრობაში და იგი სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის მტკიცე დასაყრდენი გახდა. სოციალისტური სექტორი წარმატებით ვითარდება სოფლის მეურნეობაშიც.

კომუნისტური და მუშათა პარტიები დიდ მუშაობას ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების შესაქმნელად და განსამტკიცებლად. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები წარმოადგენენ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საფუძველს.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაზე ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა კულტურა.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ეკონომიური განვითარების მხრივ წინათ დიდად ჩამორჩებოდნენ დასავლეთ ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. მხოლოდ ჩეხოსლოვაკია გამოირჩეოდა თავისი მრეწველობით. აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებს თითქმის არ მოეპოვებოდათ საკუთარი მრეწველობა. რუმინეთის ნავთობი, უნგრეთის ბოქსიტები, პოლონეთის ქვანახშირი ეკუთვნოდა გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის მონოპოლისტებს, რომლებიც ყაჩაღურად იტაცებდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეებს.

ძველ ბულგარეთს არ შეეძლო თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ნალების დამზადებაც კი.

ახლა ბულგარეთის ველებზე მუშაობს საკუთარი მრეწველობის მიერ გამოშვებული ასობით კომბაინი ქვეყანაში შექმნილია საკუთარი მანქანათმშენებლობა, ელექტრომრეწველობა, სწრაფად იზრდება ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოება. გაჩაღდა ნავთობის ამოღება, ხოლო სახალხო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ საძიებო ღონისძიებათა შედეგად აღმოჩენილი რკინისა და სხვა მადნეულის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა ბულგარეთის მეტალურგიის განვითარებას. ახლა ბულგარეთში წარმოებს ოთხჯერ მეტი ქვანახშირის ამოღება, ვიდრე, მაგალითად ბრაზილიაში, მაშინ, როდესაც ბრაზილია ტერიტორიით ბულგარეთს ოთხმოცდაათჯერ აღემატება.

ნავთობის ქვეყანას — რუმინეთს წინათ არ გააჩნდა ნავთობის მრეწველობის მოწყობილობის წარმოება, ახლა კი ეს წარმოება იმდენად განვითარდა რომ იგი უშვებს ისეთ დანადგარებს, რომლებსაც შეუძლიათ ნავთობის ჭაბურღილების გაჭრა 3.200 მეტრ სიღრმეზე.

რუმინეთს წინათ არ ჰქონდა, აგრეთვე, საკუთარი საავტომობილო მრეწველობა, ახლა კი ის საუკეთესო ავტობუსებსა და სატვირთო მანქანებს უშვებს.

პოლონეთმა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომამდე სამრეწველო წარმოების მოცულობის მხრივ ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა ევროპაში, 1956 წელს გამოუშვა იმდენივე სამრეწველო პროდუქცია, რამდენიც საფრანგეთმა.

ჩეხოსლოვაკიამ უკვე გაუსწრო საფრანგეთს ერთ სულ მოსახლეზე ფოლადის გამოდნობის ოდენობით.

აგრარულიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა ალბანეთი. მისი მრეწველობა ახლა 600 ახალი სახის პროდუქციას უშვებს.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ეროვნული საკითხის რადიკალურად გადაჭრა.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისადმი ერთგულება სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების განმტკიცებისა და აყვავების საწინდარია, მათი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარანტიაა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს საბჭოთა კავშირი სამართლიანად მიაჩნიათ ისეთ ძალად, რომელიც უდიდეს დახმარებას უწევს მათ დემოკრატიული განვითარების გზაზე. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან ის პროგრესული როლი, რასაც საბჭოთა კავშირი ასრულებს საერთაშორისო ასპარეზზე, ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მის დამოკიდებულებაში.

საბჭოთა კავშირის დახმარებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა შეძლეს თავიანთი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლა უხდებათ როგორც შიგნით, ისე საზღვარგარეთ. თავის სისუსტეს რომ გრძნობენ, განადგურებული რეაქციული ძალები დახმარებას ეძებენ საზღვარგარეთ და კიდეც პოულობენ ასეთს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის რეაქციულ-პლუტოკრატიულ წრეებში. ეს გასაგებიცაა: მეორე მსოფლიო ომის შედეგად სოციალიზმის პოზიციები განმტკიცდა და სოციალიზმის საკითხი დღის წესრიგშია დაყენებული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ეს არ მოსწონთ ყველა ჯურის იმპერიალისტებს. მათ ეშინიათ სოციალიზმისა, ეშინიათ ჩვენი სოციალისტური ქვეყნისა, რომელიც ნიმუშს წარმოადგენს მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები დაუცხრომლად ზრუნავენ თავიანთი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, დღითი დღე ამაღლებენ მშრომელი მასების რევოლუციურ სიფხიზლეს, ფუშავენ შინაური და გარეშე მტრების ხრიკებს, განამტკიცებენ სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას. მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს აღადგინოს კაპიტალისტების ძალაუფლება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რადგან ურყევია ამ ქვეყნების პოლიტიკური წყობილება, მტკიცეა ამ ქვეყნების ხალხოა ნება დაიცვან თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა ერთიან სოციალისტურ ბანაკში საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკში შემავალი ყველა ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულება, წარმოადგენს სრულიად ახალ, კაპიტალისტურ სამყაროში გაუგონარ და შეუძლებელ საერთაშორისო ურთიერთობის მაგალითს. ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ინტერნაციონალიზმის, ხალხთა თანასწორუფლებიანობის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის საყოველთაო მისწრაფებისა და იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ლენინური პრინციპები.

ახლა სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი ძალების ბანაკშიც კარგად იციან, რომ ჩვენ ყველაფერი გაგვაჩნია იმისათვის, რომ თუ საჭირო გახდა, ჯეროვნად დავიცვათ თავი. საბჭოთა კავშირთან ერთად მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე დგას დიდი ჩინელი ხალხი, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელები, რომლებიც შემჭიდროვებული არიან ერთ მძლავრ სოციალისტურ ბანაკში. ამ ბანაკის მხარეზე არიან მილიონობით მშვიდობისმოყვარული ადამიანები ყველა ქვეყანაში.

# სტვირის ჟღურტული

**აკაკი გენაძე**

— მოედანზე მესტვირეები მღერიან! — ხმა გავარდა ონში. ყველა ბავშვი იქით „გაჭენდა“. ხალხით გაჭედილ მოედანზე გაჩნდა თორმეტი წლის გიგაც. ერთ ხანს აქეთ-იქიდან უვლიდა ხალხს: სტვირის ხმა ესმოდა და დამკვრელს ვერა ხედავდა. ბოლოს მოხერხებულად გაძვრა-გამოძვრა დიდებს შორის და როცა მესტვირეები საკუთარი თვალით დაინახა, გულში ნათელი ჩაუდგა.

ხალხის შუაგულში იდგნენ ლუკა ტოგონიძე და ზაქარია ერაძე, ნაბდებმოსხმულნი. ეტყობოდათ, შორი გზიდან ბრუნდებოდნენ შინ, თორემ რაჭაში სიარულის დროს ნაბდებს არ იხურავდნენ ისინი.

ლუკა სტვირს უკრავდა, ზაქარია კი, თავის განუყრელ ჯოხზე დაყრდნობილი, მღეროდა:

სიცოცხლეს ვერსად იშოვი,
ცამდის რომ აჰყო ხელია.
ბედიც და უბედობაცა
ბოლოს სულ ერთი ფერია.
შვილებო, თქვენსა სიცოცხლეს

ოთხკუთხივ ჯვარი სწერია,
გაქოთ და გადღეგრძელოთა,
მოგცეთ ადამის დღენია,
უწინ თქვენ მოგაკვლევინოთ
თქვენზე მოსული მტერია.

ამ დროს ზაქარიამ შეამჩნია, იქვე ქალიშვილს ჭაბუკმა ღიმილით რაღაც გადაუჩურჩულა და მაშინვე შაირი მათკენ გადაისროლა:

ბიჭო, ეგ შავი ულვაში
ლოყაზე გადაგფენია.

ისე იცინი, გეტყობა,
რომ ხარ ქალების მტერია.

ქალ-ვაჟი გაწითლდა, ხალხში კი გულიანმა სიცილმა გადაირბინა.

ლუკას სიკეთის ნათელი გადასდიოდა სახეზე. ხანდახან, როცა სტვირს დაასვენებდა, მის შემხედვარეს ისეთი გრძნობა ებადებოდა, თითქოს კვლავაც ესმოდა სტვირის ჯადოქრული ხმა.

ზაქარიას თვალები ვარსკვლავებით ივსებოდა, ღიმილი უმშვენდებოდა. სიცოცხლის ნეტარება ზეიმობდა მის გამოხედვაში.

მესტვირეები თვითონ ტკბებოდნენ თავიანთი სტვირის დაკვრით და ამ სიტკბოს მსმენელებსაც ანიჭებდნენ.

იმ დღეს პატარა გიგას სხეულში თაფლივით ჩაეღვარა სტვირის ხმა და ამის შემდეგ, როცა კი სადმე სტვირის ხმას ყურს მოჰკრავდა, ის პირველი სიტკბო ილვიძებდა მასში და ძარღვებში საამო ჟრუანტელად უვლიდა. თვალწინაც მუდამ ლუკა დ ზაქარია უდგნენ, კეთილი ღიმილის შარავანდედით განათებულნი.

დიდხანს ოცნებობდა გიგა, ფარახეთელ მესტვირეებს ახლო გაცნობოდა. ახეთი დღეც დადგა. დიდი სამამულო ომის დამთავრების წლისთავზე ლუკა ტოგონიძეს კვლავ ონში შეხვდა. ჩიოდა მოხუცი: ძველად იშვიათი იყო ისეთი ქართული სოფელი, თავისი მესტვირე რომ არ ჰყოლოდა, ახლა კი მთელ საქართველოში ორიოდელა დავრჩითო. ახალგაზრდობა შეგირდად აღარ მოდის ჩვენთან, ჩვენ მივდივართ და შემცვლელი კი არა გვრჩებაო. ლხინი გაგვიმრავლდა ქართველებს, ლხინის დამლოცავი მესტვირეები კი გადაგვიშენდაო.

ამ სიტყვებმა ისე შეაშინა გიგა, თითქოს სამარადისოდ კარგავდა იმ სიამოვნებას, სიტკბოსა და ნეტარებას, რასაც ხტვირის მოსმენა ანიჭებდა და მაშინვე გაანდო მოხუცს თავისი სურვილი.

ლუკამ პირველად გაიკვირვა ეს ამბავი, მერმე თვალებში ჩახედა ჭაბუკს, ბეჯითად დააკვირდა და მშვიდად უთხრა:

— გეტყობა, კარგი ბიჭი ხარ, კეთილ თვალთა გამოხედვა გიმშვენებს სახეს, თვალში გიჩანს ალალი გული, ავ საქმეს არასდროს გაეკარები. ეს კი მთავარია, რომ კაცი ჭეშმარიტი მესტვირე გახდეს. ვისაც ბოროტი გული აქვს, მის დალოცვას აბა რა ფასი და მადლი აქვს! უკულმართი კაცის დალოცვაც კი გულმრუდია.

აქ მცირე ხნით შეჩერდა იგი და განაგრძო:

— რაკი მესტვირეობა გულით გინდა, სცადე, მე ჩემს ცოდნას არ დაგამადლი. ვინც მე სტვირი მასწავლა, ოსტატად დალოცვის დროს ესეც მითხრა, შენ სხვას ასწავლე და ამით გადაიხდი ჩემს პატივისცემასო. ჰოდა, შვილუკა, თუ შენ ნამდვილად ისწავლი სტვირს, მაგას ქვე რა სჯობია! ამომიდექი მხარში. ერთად ვესტუმროთ ქართულ დღეობებს და სოფლიდან სოფელში გადავიდეთ. მესტვირისთვის ყველგან ღიაა კარები, ყველგან გაშლილია სუფრა, რადგან მესტვირე სიკეთისა და ლხინის მგოსანია. დალოცვა თავისებური იმედია, იმედი კი ვის არ უყვარს. ეს სტვირი იქნება ჩვენი ხვნა-თესვა და ალოსთავი, ჩვენი მაცხოვრებელი.

— მე, ბიძია, ის მაწუხებს, სტვირის ხმა არ დაიკარგოს ჩვენში, თორემ მარტო სტვირით ვის უცხოვრია ქვეყანაზე, რომ მე ვიცხოვრო! — გულახდილად გაანდო ფიქრი „შეგირდმა“.

მაგრამ ლუკას შეგირდობა მას არ ეღირსა.

თითქოს ბუნების მუდმივი წესია ახეთი: კაცს არავითარ საქმეს დაბრკოლების გარეშე არ აკეთებინებს. რამდენიმე თვის შემდეგ ლუკამ თავისი სახელოვანი სტვირი ობლად დატოვა, უპატრონოდ, მთის დღეობაში ღამით გაცივდა და მალე დალია სული.

სხვა გზა აღარ იყო, გიგამ ლუკასეული სტვირი ონის კულტურის სახლს შეაძენინა და თავისებური ხერხით შეუდგა სწავლას.

რაჭაში ჩვენს დროში ცხოვრობდა განთქმული მესტვირე ბიჭია ბურდილაძე. მან, სხვათა გადმოცემით, თურმე ისეთი დაკვრა იცოდა, სტვირს კაცის ენას უდგამდა, რასაც უნდოდა. იმას ათქმევინებდა. ოქროპირივით თავისუფლად აუბნებდა და ალაპარაკებდა. ცნობილმა მოგზაურმა მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა მისგან ისწავლა მესტვირეობა. ბიჭიას რამდენიმე სიმღერა პატეფონის ფირფიტაზე იყო ჩაწერილი. გიგა ამ ფირფიტებს ამღერებდა, გულდაჯერებით სწავლობდა და ლუკასეულ სტვირზე გადაჰქონდა ბიჭიასეული სტვირის ხმები. მთავარი სიძნელე იმაში გამოიხატებოდა, რომ ყველა ხმის დაჭერა ფირფიტიდან შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ერთდაგვარმა პირველდაწყებითმა ძიებამ წარმატებით ჩაიარა: გიგას ხელში მართალია ხუსტად, მაგრამ მაინც ამღერდა სტვირი, რომელ ხმებსაც თვითონ მიაგნო და შეისწავლა. მოსწავლე გამყრელიძესაც ასწავლა. იმ წელს თბილისში ბავშვთა თვითშემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა ტარდებოდა და გამყრელიძეს უნდა მიეღო მონაწილეობა. ჩავიდა კიდეც თბილისში, მაგრამ ჯერ მასწავლებელი არ იყო სტვირს კარგად დაუფლებული და მისი მოწაფეშეგირდი რაღა იქნებოდა? გამყრელიძე არ გაუშვეს ოლიმპიადაზე. ამას სხვა მარცხიც მოჰყვა: შინ დაბრუნებისას ქუთაისის სადგურზე ლუკასეული სტვირი, ჩემოდანში ჩადებული, დაიკარგა და დღემდე არ ჩანს მისი ასავალდასავალი (ეგება რომელიმე პატიოსანმა კაცმა იშოვა ეს სტვირი, პატრონს კი ვერ მიაგნო და უქმად მიაგდო სადმე? კარგი იქნება, თუ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მაინც სტვირს პატრონს დაუბრუნებს, რადგან მისთვის ეს სტვირი უბრალო გუდადაც არ ვარგა, პატრონისთვის კი — ნამდვილი საუნჯეა).

თითქოს განგებ, ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ რაჭული სტვირის ხმა საბოლოოდ მიმწყდარიყო ქვეყნად. მართალია, ამ დროს ცნობილი მესტვირე ზაქარია ერაძე ცოცხალი იყო და ერთი კი არა, ორი სტვირი ედო შინ, მაგრამ მთელი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ზაქარიას დიდი ხნის წინათ მარჯვენა ხელში ეკალი შეესო და ხელის მტევანი მთლიანად დაუზიანდა. ადგილობრივი მთავრობის დახმარებით იგი ორჯერ ჩამოიყვანეს თბილისში სამკურნალოდ, ორჯერ გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ ველარ მოარჩინეს, მარჯვენაზე თითები დაეკრუნჩხა და გაუშეშდა. ამიტომ ბოლო დროს ზაქარია სტვირზე ველარ უკრავდა, მხოლოდ მღეროდა სხვის აკომპანიმენტზე.

გიგამ გადასწყვიტა, უქმად დარჩენილ ამ ორ სტვირთაგან ერთ-ერთს შევიძენო, მაგრამ როგორც მან გაიფიქრა, საქმე ისე იოლი როდი აღმოჩნდა. ზაქარიამ ცივი უარი სტკიცა მაშინვე:

— ერთი სტვირი გამოუსადეგარია, ხოლო მეორე სტვირის ჩემი ოჯახიდან გატანა არ იქნება, ბუძუა. — თქვა და მის სახეზე სევდის ღრუბელმა გადაიარა, ერთი ნაღვლიანად ამოიხვნეშა, მამაკაცური დაუღვრელი ცრემლები ყელში მოებჯინა და მისი სახის მოღრუბლვა რომ არ დაენახა მოსაუბრეს, თავი გვერდზე მიაბრუნა.

იმ დღემ გიგას მრავალი რამ ამოუცნობი დაუტოვა. ზაქარიამ არაფრის გზით არ გაუმჟღავნა ის ხვაშიადი, რომელიც სტვირის თხოვნამ გამოიწვია მასში.

გავიდა დრო. ამბროლაურში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ზაქარია და გიგა.

— ბუძუა, სტვირის შეძენა კი გინდა, მარა ჩვენში ახლა ისეთი აღარავინ მეგულება, მასწავლებლად გამოგადგეს და სტვირს სახლში უქმად ხომ არ დააგდებ?

— ჩემით ვისწავლი როგორმე.

— შენით ისწავლი?! — გაიკვირვა ზაქარიამ. — ძალიან გაგიჭირდება, ბუძუა, მე თორმეტი წლისა ვიყავი, მამაჩემმა რომ ამიდევნა უკან. მამაჩემი კიკო სახელოვანი ოსტატი გახლდათ და მაინც ხუთ წელს მაშეგირდა, სანამ ჩვიდმეტი წლისა არ გავხდი, ოსტატად არ დამლოცა, შენ კი გინდა სტვირი იხე ისწავლო, შეგირდობა სულ არ გაიარო? ღმერთი თუ გასწავლის, არ ვიცი, ისე კი არა მჯერა... თუმცა კაცი რასაც გულში ამოიჭრის, თუ შრომა უყვარს და ნებისყოფა გააჩნია, ყველაფერს შესძლებს. ღმერთმაცა ქნას, შენ სტვირი ისწავლო. აბა, შემომფიცე რომ გულით გინდა!

— ვფიცავ გამჩენს (გიგამ იცოდა, ამის დაფიცება რომ უყვარდა ზაქარიას).

— შენი გამზრდელი, ბუძუა, სამშობლოს მიწაა. ესაა გამჩენიცა და დამრჩენიც. რაკი გამჩენი დაიფიცე, მაგ სიტყვის გატეხა უსიკვდილოდ არ შეიძლება, იცოდე. როცა დროს იშოვი, ამოირბინე ფარახეთს და წამოიღე სტვირი. ეჰ!...

ამოიხვნეშა და ობოლი ცრემლი გადმოუვარდა.

რაკი ზაქარიამ თანხმობა მისცა, გიგა ფარახეთში ახვლას როგორღა დააყოვნებდა! მეორე დღეს თუმცა წვიმა მოდიოდა, იქირავა მსუბუქი ავტომანქანა და გაეშურა.

წვიმიანმა დღემ უფრო ადრე იცის დაღამება, ვიდრე მოწმენდილმა. უკვე ბნელოდა, როცა გიგამ ზაქარიას ქოხის კარები შეაღო. მასპინძელი გულთბილად დახვდა სტუმარს, მართალია, ღარიბული, მაგრამ ალალი სუფრა გაუშალა მოკლეფეხებიან ფართო ფიცრის ტაბლაზე. გიგას, ეჩქარებოდა, ამიტომ ოჯახის ყვერბი დალოცა თუ არა, სუფრიდან წამოდგა.

— ბუძუა, ასეთ ამინდში უპატრონო ძაღლსაც არ გააგდებენ გარეთ, ახლა შინიდან როგორ გაგიშვებ? ამაღამ ჩემთან დარჩი, ხვალ კი, თუ გინდა, ორივე სტვირს გაგატან.

გიგამ გადაჭრით განუცხადა, რომ დარჩენა არ შეეძლო, თუნდაც ქვეყანა დამეწყრილიყო: „ოდელიას“ დუქანთან შოფერი მიცდის და ვერ მოვატყუებო.

ზაქარიამ ორივე სტვირი აჩვენა. იგი ხომ ალალი კაცი იყო, სიცრუე სასტიკად ეჯავრებოდა, თვითონვე უთხრა, აი, ეს სტვირია კარგიო, მისცა და დაულოცა.

მხოლოდ ძველი ამბავი კი ისევ გაიმეორა: კვლავ იდუმალი ობოლი ცრემლი გადმოუვარდა თვალიდან.

სუფრას რომ უსხდნენ, ერთ ხანს წვიმამ გადაიღო, გიგას მაშინ იმედი მიეცა, მალე სულ გამოიდარებსო. კოსტუმში გახვეული გუდით ამიტომ დაადგა გზას, მაგრამ ძვირად დაუჯდა ეს ახირებული გაბედულება. მანქანიდან გადმოხული შინ შევიდა თუ არა, ჩაწვა და გაციებისგან სიცხის ბურანში შეცურებული ერთ კვირას ლოგინს მიეჯაჭვა. წამოდგომისთანავე სტვირს დაავლო ხელი, თვეზე მეტ ხანს იწვალა, მაგრამ სასურველი დაკვრა მაინც ვერ ისწავლა. დამოუკიდებლად მხოლოდ ორიოდე ხმას მიაგნო, კარგ სტვირს კი ოსტატის ხელში თხუთმეტამდე ხმის ამოთქმა შეუძლია. ზაქარიას შეუთვალა, დამდევი პატივი, ჩამოდი, მიყურე და ასე მაინც დამეხმარეო. ზაქარია ჩამოსვლას როგორ დაამადლიდა, მესამე დღესვე ესტუმრა და კვირაზე მეტ ხანს შეგირდთან დარჩა, კვირაზე მეტ ხანს დაჰფოფინებდა თავზე გუდას, დაკრუნჩხული ხელის თითებს ტანჯვა-წამებით სტვირის თვლებზე ადებდა, ხმებს არჩევდა და მერმე გიგას აკვრევინებდა.

კიდევ გავიდა ერთი თვე ამის შემდეგ. ოსტატმა კვლავ მიაკითხა თავის შეგირდს და მისგან დაკრული სტვირი რომ მოისმინა, პირჯვარი გადაიწერა, ღმერთს მადლობა შესწირა, ღვთითკურთხეული შეგირდი მოგიგზავნია ჩემთვისო. მერმე სტვირი სამჯერ დააშლევინა დაააწყობინა „ღვთითკურთხეულს“. როცა გიგა შეცდომას უშვებდა, ოსტატი უსწორებდა, თან ეუბნებოდა: დაკვრა დაკვრაა, მაგრამ მესტვირემ სტვირის არა მარტო დაშლააწყობა, კეთებაც უნდა იცოდესო.

კოლაუ ნადირაძე

## ჩემს პატარა ვაჟს

ლექსი უეცრად შემოდის ჩემში,
როგორც გრიგალი და ნეტარება.
გრძნობა დაცურავს უცნაურ ხმებში,
ვიღაც მეძახის, მემუდარება...
თვალებს, უნებურ ცრემლებით ავსილს,
ტკივილს, სიღრმეში რომ იბადება,
რა შეედრება! ან ამის მსგავსი
სულს კიდევ სხვა რამ შეემატება?!
ჩემო პატარავ, როს გაიზრდები
და გულში ვარდებს დაუწყებ კრეფას,—
ო, მხოლოდ მაშინ, მაშინ მიხვდები
ამ ჩემ განწირულ თავდავიწყებას...
მაშინ მიხვდები: მშობელმა შენმა
„ცრემლების ფაფა თუ როგორ ხარშა",
როგორ იგვემა და მარტოდ დარჩა,
და სიმღერებში, ძუნწად მითვლილი,
სიცოცხლის დღენი შემოეხარჯა...

სიკო ფაშალიშვილი

## ჩემი სათქმელი

ჩემი დიდი დრო, ჩემი დიდი სამშობლო მხარე,
ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილი მაღალი დროშა,
ეს ვარსკვლავედი, ეს ლურჯი ცა, ეს მზე და მთვარე
მე სიამაყის დაუჭკნობელ დიდებით მმოსავს.

და ვამბობ: ჩემი სიმღერა ხარ, გმირების მიწავ,
მე შენში ვხედავ განათებულ ქვეყნიერებას, —
შენთვის დადებულ ფიცს ჩემს გულში ყოველთვის ღვიძავს
და თავდადებას შენთვის მე ვთვლი ბედნიერებად!

მე შენი ტკბილი იავნანით ვიცან ქვეყანა,
ხალხთა სიკეთის, მეგობრობის აზრი მაღალი
და ჩემს ცხოვრების ცას ღრუბელი გადაეყარა,
როცა გადასწვდა მას დიდი მზის სხივი ახალი!

იყოს მშვიდობა, შენ მშვიდობის მედროშევ დიდო,
იყოს მშვიდობა, რომ სიცოცხლეს აზრი არ აკლდეს,
რომ სიმღერაში შენი დიდი ნათელი ვზიდო
და შენი დროშა, დიდი დროშა ლექსში ამაღლდეს!

თუ ჩემმა ჰანგმა შენს კვარცხლბეკთან ვერ მოაღწიოს,
რომ დამილოცო მგოსნობა და გულის სინაზე,
მაინც მზადა ვარ, რომ ეს გული ფერფლად ვაქციო
და ფიანდაზად გაგიშალო ფერხთა წინაშე!

## შემოდგომა

მინდორში ქარვამ იელვა,
ბაღში ზურმუხტის სხივია,
ვენახში შუქით ავსილი
ოქროს მტევნებს ღვივიან.

ღვივიან ფერთა ფერები,
ჰაერში ხდება ცვლილება:
ქუდებს იხდიან სერები
ზაფხულის გასაცილებლად!

რა უხვი შემოდგომაა,
რა კარგი სანახავია,
ყველგან ბარაქა ჩამდგარა,
ყველგან დოვლათის ხვავია.

მიწა მზით სუნთქავს ყველგანა,
ცა ყველგან სავარსკვლავეა, —
იდღეოს ჩემი ქვეყანა,
მუდამ რომ მომხიბლავია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს თითქოს რაღაც მოაგონდა, სტვირი გაჩხრიკა და ხელისჩაქნევით წამოიძახა, ჩასაბერავს სასულეში მეში გაჭფუჭებიაო.

ამ დროს ისინი ამბროლაურის კულტურის სახლის ერთ-ერთ ოთახში იყვნენ მარტონი. ზაქარიამ თუმნიანები შეაჩეჩა გიგას და უთხრა, გაიქეცი, პატარა თხელი მეში და ორი ბოთლი შავი ღვინო მომიტანე საჩქაროდო.

გიგამ გულუბრყვილო გაკვირვებით შეხედა ოსტატს.

— ნუ გიკვირს, შვილო, სასულეს მეში თუ შავ ღვინოში არ ჩაალბე, ისე არ ივარგებს, მალე გაფუჭდება.

გიგამ დაუჯერა და უმალვე გაიქცა. მალე ოსტატის წინ იდო პატარა მეში და ორი ბოთლი „ხვანჭკარა". ზაქარიას ფულიც იქვე იდო. შეგირდი ოსტატს თავის ფულით როგორ აყიდინებდა ღვინოს. იქვე იდგა გიგა, უცდიდა, აბა, ზაქარია მეშს როგორ დაალბობს ღვინოშიო. ზაქარიამ ულვაშებში ჩაიცინა და შეგირდი მხოლოდ ახლა მიხვდა მის კეთილ ეშმაკობას. მალე აქვე სახელდახელოდ გააწყვეს სუფრა, რათა ოსტატს გიგა დაელოცა. აქვე გამჟღავნდა საიდუმლო იდუმალი ობოლი ცრემლისა.

— ჩემო შვილო, სტვირი თვითონ ქვეყნის მლოცავია, მაგრამ მლოცავსაც უნდა დალოცვა. სტვირს სიხარული და ღვინო უყვარს, ამიტომ ღვინით დალოცვა არ აწყენს, მე მგონია. — ასე დაიწყო ზაქარიამ. — ხოლო სანამ ოსტატად დაგლოცავდე, ერთ რამეს გიამბობ. ჩვენში, საქართველოში, მეფობა რომ დაწყებულა, ეს იმდროინდელი ამბავია. მაშინ ხელმწიფედ ცეცხლზე მლოცავი კაცი გვყოლია, ფარნაოზი. თურმე ყოველ წელიწადს ფარნაოზი შეკრებდა თავის სამეფოს ხალხს დედაწულიანად, ყრიდა კენჭს და ვისაც კენჭი შეხვდებოდა, აიყვანდა, ჩაკეტავდა და ექვსი თვის შემდეგ ზვარაკად მიართმევდა უფალს თვისას, სამსხვერპლოზე დასწვავდა. ერთ წელს კენჭი დედისერთა ვაჟს შეხვედრია. დამწუხრებულან მშობლები. ღამით მამას სიზმარში უფალი გამოცხადებია, დაუხატავს სტვირი და უთქვამს, ასეთი საკრავი გააკეთე, წადი ხელმწიფესთან, დაუკარი და ძეს გაჩუქებსო. ამ კაცს ასეც გაუკეთებია, მისულა ფარნაოზთან, აუმღერებია სტვირი სევდითა და სიხარულით. მეფეს მოსწონებია ახალი საკრავის ხმა. დედოფალს უთქვამს სმენადამტკბარი ფარნაოზისთვის, ასე ძალიან რომ დაგატკბო ამ კაცმა, რას აჩუქებო. — რასაც მთხოვსო. მესტვირემ მეფეს სტვირზე ჯერ მრავალჟამიერი უმღერა, მერმე თვალცრემლიანმა სტვირსავე ათქმევინა, ერთადერთი შვილი მყავს და ცეცხლზე ნუ დამიწვავო. მეფე შედრკა წამით თურმე, ეს რა მითხრაო, მაგრამ თავის ხელმწიფურ სიტყვას ხომ არ გასტეხდა, აუსრულა მამას თხოვნა. ასე მიანიჭა სტვირმა პირველდაკვრისთანავე ადამიანს სიცოცხლე. სტვირს ღვთიურ საკრავადაც კი თვლიდნენ ჩვენი ძველები, უკრავდნენ ეკლესიაში ქრისტეს საგალობლად, უფლისათვის ხოტბის შესასხმელად. ჩვენს სოფელში მარტო ჩემს მახსოვრობაში ასამდე მესტვირე იყო. საქართველოში უამრავი დღეობები იცოდნენ და ჩვენც დავდიოდით დღეობებში ხალხის დასალოცად. მახსოვს ერთ ალავერდობას ცამეტი მესტვირე ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ახლა კი სადღა ჰყავს მესტვირეს შემჯიბრებელი, სადღაა მესტვირე?

ზაქარიას ხმაში მტკივანი გული იდო.

— აი, ბუძუა, მოვისმინე შენი დაკვრა, საუცხოოდ გისწავლია, მაგრამ მარტო შენ მთელ საქართველოს ხომ ვერ გასწვდები? ახლა ძველი დრო არაა და მესტვირესთან შევირდობა არ ხერხდება. მე მეგონა, თუ კაცმა შეგირდად არ იარა რამდენიმე წელიწადს, ისე სტვირის დაკვრას ვერ ისწავლის-მეთქი. შენმა მაგალითმა კი დამანახვა, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა და რატომ უნდა დაივიწყოს ქართველობამ მესტვირეობა? შენ, ალბათ, გიკვირს, პირველად რატომ ვთქვი უარი ჩემი სახლიდან სტვირის გაცემაზე. ახლა ამასაც გეტყვი. აი, შენ მადლობა გადამიხადე, სტვირი რომ გასწავლე, მარა მადლობის თქმა შენ კი არა, მე მმართებს. შენ რომ გულით არ მოგენდომებინა, ეს სტვირი დღეს ძველებურად დადუმებული ეგდებოდა სადმე კუნჭულში. იცი კი ნამდვილად ვისია იგი? ჩემი საყვარელი ვაჟის.

გიგას თვალები გაუფართოვდა, ეს ამბავი მას პირველად ესმოდა.

— ჰო, ჩემი ვაჟიშვილის. როგორც კი დაკვრა ვასწავლე, ეს ახალი სტვირი მაშინვე მის სახელზე გავაკეთე, მაგრამ ბედმა არ მაღირსა დიდხანს მესმინა ჩემი ბიჭისთვის. ომის დაწყებისთანავე ჯარში წავიდა და... ობლად დარჩა სტვირი. ამიტომ არ მინდოდა მისი გაცემა სახლიდან, ბიჭის სახსოვრად ვინახავდი. ახლა კი, როცა შენი დაკვრა მოვისმინე, ვგრძნობ, რომ ვცდებოდი და ამიტომ გიხდი მადლობას, ჩემი შეცდომა რომ გამომასწორებინე: შენ სიცოცხლე ჩაბერე ჩემი შვილის გუდა-სტვირს და ამით ჩემი შვილიც გააცოცხლე. წეღან უბრალოდ როდი მოგიყევი სტვირის გაჩენის ამბავი. ისიც ტყუილად როდი გითხარი, სტვირმა სიცოცხლე უნდა გაუხანგრძლივოს კაცს-მეთქი. ეს ყველაფერი მეც მეხება. როგორც ფარნაოზისდროინდელ მესტვირეს სტვირმა შვილი სიკვდილს გადაურჩინა, ასევე ჩემი შვილი შენ გადამირჩინე. თავდაპირველად ვეჭვობდი, ვაი თუ ვერ ისწავლოს და შვილისეული სტვირი უბრალოდ დამიკარგოს, როგორც მოუხმარელი ნივთი სადმე გადააგდოს-მეთქი, ახლა კი, როცა ამ სტვირს ამღერებულს ვხედავ, ასე მგონია, შვილი ომიდან მთელი დამიბრუნდა და ის უკრავს. დამილოცნია შენთვის ეს სტვირი, თუ გინდა ჩემს შვილს სჭერია ხელში, ისე ვთვლი. შენ რომ გიცქერი, თუნდაც შვილი მყოლია მზიანეთში მოსიარულე. იარე ქვეყნიდან ქვეყნად, აცოცხლე ჩემი შვილის სტვირიცა და ხსოვნაც. ღმერთმა ნუ მოგიშალოს მაგ სტვირის დაკვრა მანამდე, სანამ სიცოცხლით ყელამდე არ აივსები.

ამ დალოცვის შემდეგ თითქმის ოთხმოცდაათ წელს მიღწეულ ზაქარიას ორი ზამთრის მეტი აღარ უცოცხლია.

მეშვიდე წელია უკვე, რაც ზაქარია ერაძემ გიგა ჯაფარიძეს სტვირი დაულოცა. ამ ხნის განმავლობაში გიგამ ბევრი სხვა საქმეც გააკეთა: მრავალი სიგელი და ჯილდო დაიმსახურა, როგორც რეჟისორმა და დეკლამატორმა, მსახიობმა და მხატვარმა, მაგრამ ერთი დღითაც არ გაუშვია უყურადღებოდ საყვარელი სტვირი. რესპუბლიკურ სამ ოლიმპიადაზე ამღერა იგი და სამივეჯერ დიდი მოწონება დაიმსახურა. ხოლო საქართველოს ახალგაზრდობის პირველ ფესტივალზე ლაურეატობაც მოიპოვა.

ერთხელ გიგა ახალგაზრდებში იჯდა და სტვირს უკრავდა ჩვეულებრივ. ამ დროს მას მოულოდნელად თავს წაადგა ხალხური მუსიკის შემკრები ჯგუფი. მისი სტვირის სიმღერა ჩაიწერეს და ახლა ამ სიმღერას ხშირად გადმოსცემენ მოსკოვიდან. შორს დადიოდა რაჭველი მესტვირე, მაგრამ ასე შორს არასოდეს წასულა.

მთელ ჩვენს დიად სამშობლოში ისმის ახლა ქართული სტვირის საამო ხმა, გიგა ჯაფარიძის მიერ ამღერებული.

სიკვდილს გადაურჩა სტვირი.

ჩვენ აქ გვინდოდა წერტილი დაგვესვა, მაგრამ, როგორც გიგა ჯაფარიძე შეაშფოთა სტვირის გადაშენების შიშმა, ისევე შეგვაშფოთა ჩვენ და ამიტომ საუბარს ვაგრძელებთ.

სტვირი ქართველი ხალხის ერთ-ერთი უძველესი ეროვნული საკრავია. სტვირი ჩანს საქართველოში იმ დროიდან, რაც საქართველო იხსენიება. ქართულ სტვირს უკრავდნენ კერპთაყვანისმცემლობის, ცეცხლთაყვანისმცემლობის და წარმართობის ჟამს. სტვირი ქრისტიანობამაც კი ღვიძლი შვილივით მიიღო, ჩვენს დროში კი რატომ უნდა დაიკარგოს?

როცა ხალხურ ლექსებსა და მუსიკას ბეჭდავენ, ხშირად წიგნს ყდაზე მესტვირეს ახატავენ. ქართული სტვირის შესახებ დისერტაციებსაც იცავენ, მაგრამ იმაზე კი ნაკლებად ფიქრობენ, რომ მესტვირეები მხოლოდ წიგნებსა, ნახატებსა და სურათებში შემოგვრჩნენ, იმაზე კი ნაკლებად ზრუნავენ, ეს უძველესი ქართული ეროვნული საკრავი რომ არ დაიკარგოს. ცუდი არ იქნებოდა სადმე პატარა სკოლა მაინც დაარსებულიყო მესტვირეობის შემსწავლელი.

ზაქარია ერაძისა და ლუკა ტოგონიძის ნატვრა იყო, სტვირის ხმა არ ჩამქრალიყო. ამჟამად ცოცხალია სტვირი, მაგრამ ჩვენ გვინდა სტვირს ორიოდე კი არა, ძველებურად ბევრი სიცოცხლე ჰქონდეს.

ქართული სტვირი ღირსია ბევრი სიცოცხლის.



ფოტო თ. არჩვაძისა



## როპერტ ბერნსი

### ჯემი, მოდი ჩემთან

ჯემი, მოდი ჩემთან,
ჩემთან მოდი, ჯემი,
სცადე, იქნებ გული
დაირჩინო ჩემი.

შენ, სიყვარულს თუ მთხოვ,
ტრფობა თუ გსურს ჩემი,
მოდი, სცადე, იქნებ —
გაიმარჯვო, ჯემი.

იქნებ, ჩემო კარგო,
კოცნა გინდა ჩემი,
არ გიყურებს არვინ,
მოდი, სცადე, ჯემი.

### ეპიგრამები

#### ლორდ გალოვეის

(მისი დიდებული სასახლის ნახვისას)

რა შავ ქვად გინდა, შენ, გალოვეი,
ეს სასახლე და მშვენიერება,
წადი, მონახე სორო ზინძური,
ისეთი, შენ რომ შეგეფერება.

#### კვლავ ლორდ გალოვეის

არა, არა ხარ შენ სტიუარტი,
ამ გვარს მხნეობა მარად ხლებია,
ესეც არ იყოს, მათ ჭკუა აკლდათ,
თორემ სინდისი არა ჰკლებიათ.

#### მასვე

ო, გალოვეი, სისხლი დიდკაცთა
შენამდე მოჰყვა წინა თაობებს,
ასე, რომის გზაც დიდ სივრცეს გასცდა
და შეერია ბოლოს ჭაობებს.

#### ისევ გალოვეის

(მას შემდეგ რაც ის ეპიგრამების ავტორს დაემუქრა აღშფოთებული)

ნუ დამატეხავ შენს რისხვას თავზე
და ნუ შემიცვლი დღის ნათელს შავად,
მე სხვა სიკეთეს არ ველი შენგან,
რას მომცემ, რაც შენ არა გაქვს თავად.

#### ჯინი სკოტს

ო, ყველა სკოტს* რომ უძველეს დროში,
ჯინი სკოტ, შენი ჯადო ხლებოდა —
ჩვენს წინ რომ მუხლი არ მოეყარა,
ინგლსში კაცი არ დარჩებოდა.

#### ჭკუათხელ ახალგაზრდას

(რომელსაც თავი მოჰქონდა წარჩინებულთა ნაცნობობით)

წარჩინებულთა სიახლოვით ნუ მოგაქვს თავი,
და ნუ გგონია, დაგედება მაგითი ფასი, —
მღილი ისევე მღილად რჩება, თუნდაც ელირსოს,
მოკალათება გვირგვინოსან დედოფლის თმაში.

* * *

— შესდექი, ქურდო, — მიაძახა სიკვდილს ბუნებამ,
როცა ვილის სულს შეამჩნია დაძაბუნება;
— ჩემს რჩეულს მართმევ, მემძიმება მაგისი თმობა,
როსღა მეღირსოს კვლავ ასეთი ყეყეჩის შობა?!

* სკოტი — ინგლ. შოტლანდიელი.

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ ერისთავმა

# ცხოვრების ნათელი ბილიკებით

მაკვანეთში ახალი თავმჯდომარე აირჩიეს. ძველი — საყვედურებით აავსეს, ახალს — წარმატებები უსურვეს და ამით ყველაფერი დამთავრდა. ეჭვა-რეული ღიმილით შეჰყურებდნენ სოფლელები ახალ კაცს, საღამოთი კი ერთად შეიკრიბებოდნენ და გვიანობამდე ბაასობდნენ.

ერთი მოხუცი კი დუმდა, ამ უცნობ კაცში რაღაც სხვას ხედავდნენ მისი თვალები, სხვას, რაც უკვე წინანდელ თავმჯდომარეებს არასოდეს გამოუმჟღავნებიათ.

თავმჯდომარე შოთა ბასილაიშვილი იყო, მოხუცი კი მაკვანეთის მკვიდრი, სამოცდაშვიდი წლის ერასტი მსხალაძე.

ყველაფერი სწრაფად შეიცვალა მაკვანეთში. შრომას ბარაქა დაედო, სოფლელებს ხალისი მოემატათ, ყველას კოლმეურნეობისაკენ მიუწევდა გული და ვერც მიხვედრილიყვნენ მიზეზს. ამ უბრალო, ჩია ტანის თავმჯდომარეს თითქოს სათითაოდ გაეგო, სათითაოდ ჩაეხედნა ყველა გლეხკაცის გულში.

საწუწუნო მართლაც ბევრი ჰქონდათ მაკვანათელებს. ჯერ იყო და, დაწყება ჭირდა სკოლის მშენებლობისა, ახლა დამთავრება გახდა ხათაბალა. გზებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გოგიეთის უბანი, სადაც ამ სოფლის კოლმეურნეობას ჩაის ძირითადი პლანტაციები აქვს გაშენებული, ისეთი მიუვალი იყო, რომ თვით ყველაზე მოხუცებულებსაც არ ახსოვთ მუშაობას აქ ხალისი და ბარაქა დასდებოდა. მართლაც, ორიოდე საათის ფეხით სიარულის შემდეგ, მოღლილ-მოქანცულებს, ცხადია, ჩაის მოკრეფის არც ხალისი ექნებოდათ და არც სურვილი.

ბევრი უძილო ღამე გაათენა თავმჯდომარემ, მაგრამ არ უნანია, დაუჯდა კიდეც წვალება.

მაკვანათელები სულითა და ხორცით შეეთვისნენ სხვა სოფლიდან მოსულს, შეითვისეს და შეიყვარეს იგი. მოხუცი ერასტი, საღამოთი ჩიბუხს რომ გააბოლებს, მეზობლებს პირველ დღეებს გაახსენებს ხოლმე.

— ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავს, ხომ არ შევცოდეო. ჰოდა, შე კაცო, როდის იყო ყოლიფერს ერთი საზომით უდგებოდნენ, ჩვენი შოთაისთანა კაცი ქვეყანაზე არ მოიძებნება, ცოცხალი თავით რავალა გაპატიებთ მის აუგად ხსენებას.

მაგრამ ბასილაიშვილზე აუგს აღარავინ ამბობს. უყვართ მაკვანათელებს თავიანთი თავმჯდომარე, უჯერებენ კიდეც.

ეუცნაურათ მაკვანათელებს, როდესაც თავმჯდომარემ სიმინდის ყანა გაიპიროვნა და ფიზიკური შრომაც არ ითაკილა. თუმცა, მალე ეს უცნაურობაც გაჰქრა. ზოგმა, ეგების, ზედმეტ თავმდაბლობად ჩათვალა, მაგრამ ბასილაიშვილს ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. არც ალექსანდრე და მიხეილ არობელიძეებმა დაიხიეს უკან, მათ შორის ერთი ბუღალტერია, მეორე — აგრონომი, თავის მხრივ მათაც იკისრეს სიმინდის ყანის მოვლა-პატრონობა და ურთიერთშორის შეჯიბრებაც კი გააჩაღეს.

ყველაფერს უცბად დაეტყო ცვლილება. სოფლის აქტივი დღედადღე იზრდებოდა. ოთარ საჯაია და ერემო თოიძე, ერასტი მსხალაძე და ნესტორ ცელაძე, ლუბა ცეცხლაძე და მარო მუჯირი — აი ადამიანები, რომელთაც არასოდეს ავიწყდებათ, რომ ბედნიერი ცხოვრებისათვის თავდადებული შრომაა საჭირო. არ ავიწყდებათ და ხალისიან შრომაში ალამ-ათენებენ. არც ახალგაზრდები ჩამორჩებიან უფროსებს. ბევრი სკოლის მერხიდან პირდაპირ კოლმეურნეობაში მოვიდა, ბევრმაც უსაქმოდ ხეტიალი მიატოვა და ამ დიადი საკოლმეურნეო შრომის ფერხულში ჩაება. მთელი სოფელი იცნობს ირა ბაბილოძესა და იუზა მემარნიშვილს, ეთერი და ფაცი ცეცხლაძეებს, ვინ ჩამოთვლის მათ გვარებს. მათ შორის ბევრი საკოლმეურნეო შრომის მოუწყვეტლივ სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში და სჯერა, მალე დადგება დრო, როდესაც სწავლამიღებული და გამოცდილი უფრო სასახელოდ გამოადგება მშობლიურ სოფელს.

გოგიეთისაკენ მიჰქროდა მანქანა და აგურისფერი მიწიდან ავარდნილი მტვერი ჰფარავდა ჩამწკრივებულ მწვანე ბუჩქებს. მიჰქროდა მანქანა და უკან სტოვებდა გაოცებულ თუ გახარებულ მაკვანათელებს, რაღაც განსაკუთრებული ღიმილით რომ მიაცილებდნენ „პობედას". ვინ მოიფიქრებდა, რომ ერთ წელიწადში ასე შეიცვლებოდა ყველაფერი. თავმჯდომარემ კი პირველი დღიდანვე მოჰკიდა ხელი ამ გზის მშენებლობას და მაკვანათელებს ერთი საშვილიშვილო საქმეც გაუკეთა. თუ უწინ ამ გზაზე ურემიც ვერ გაივლიდა წესიერად და მეჩაიეებს ფეხით უხდებოდათ გავლა ამ დიდი მანძილისა, ახლა თავისუფლად დაჰქრიან მანქანები და ყველამ იცის, დილით, შორს, აგურისფერი მტვერი რომ ავარდება ეს მეჩაიეები მოდიან გოგიეთის პლანტაციებში.

„პობედამ" მაკვანეთიც უკან მოიტოვა, ჩაუქროლა თხილის ბუჩქებს, ტყიანში გავიდა და წინ გადაიშალა გოგიეთი, გურიის ბუნების ულამაზესი პანორამა და ოც ჰექტარზე გაშენებული ჩაის პლანტაცია.

თავმჯდომარე მანქანიდან გადმოვიდა, ვიღაც ქერა ახალგაზრდა ქალთან მივიდა და რაღაც უთხრა. ეს მერი ბერხანიძე გამოდგა. მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ახალბედა წევრი.

მერი ხერსონის ოლქიდანაა, მამით ქართველია, დედით კი რუსი. წელს იგი ძმასთან ჩამოვიდა სტუმრად, მაგრამ ისე მოეწონა საქართველო და მერე მშობლიური სოფელი, რომ კოლმეურნეობაში გამოცხადდა და სამუდამოდ აქ დარჩენის სურვილი განაცხადა.

მოშორებით, სრულიად მარტო ცეროდენა გოგონა იდგა, ჰკრეფდა ჩაის. ბასილაიშვილი ახლა მასთან მივიდა და სიყვარულით გაუღიმა. იგი მაკვანეთის სტუმარი იყო, რვა წლის ბათუმელი მზია ჯიქიძე. თავმჯდომარე მიუახლოვდა პატარა სტუმარს და წაისაუბრა მასთან. მზია აქ, მაკვანეთში, ბებიასთან ჩამოსულა და ჩაის მოკრეფაშიც ეხმარებოდა. ბასილაიშვილმა ხელში აიტაცა ეს პატარა გოგონა და იქვე მდგარ ფოტოგრაფს სურათის გადაღება სთხოვა.

მეტი არც იყო საჭირო. წამიც და სადღაც უტყვ ქაღალდზე აღიბეჭდა მზიას მოციმციმე თვალები, ვინ იცის, იქნებ მომავალი სოციალისტური შრომის გმირისა და საქვეყნოდ ცნობილი მეჩაიესი.

სიცოცხლე სჩქეფს მაკვანეთში, ხალისიანი სიცოცხლე. ახალი კლუბის ეზოში ყოველ საღამოს თავს იყრის ახალგაზრდობა. ესენი სოფლის მოწინავენი არიან, სხვადასხვა წრეებში რომ გაერთიანებულან და მამა-პაპებთან თავიანთი ნიჭის გამოჩენა სურთ. კარგია შრომის შემდეგ კულტურული გართობა-დასვენება.

სკოლის შენობამაც დიდი ხანია მოიხსნა ხარაჩოები. ახლა სოფელში კეთილმოწყობილი საშუალო სკოლაა, სადაც მაკვანეთის მომავალი თაობა იჭედება. ახარებთ სოფლელებს ყველაფერი მშობლიური, უბრალო ქვაც კი ახარებთ და რა დასაძრახისია, თუ ისინი ასე ძლიერ შეიყვარებდნენ ამ სიყვარულის მიზეზს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომელმაც მათი ესოდენ პატივისცემა დაიმსახურა.

ამას წინათ სოფელს მოძმე უკრაინის რესპუბლიკიდან ესტუმრნენ. ისინი ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობიდან იყვნენ. სიხარულით შეხვდნენ შორეულ მეგობრებს გურულები და სასახელო მასპინძლობაც უჩვენეს სტუმრებს. უკრაინელებმა დახმარება გაუწიეს მეცხოველეობის აღმავლობისათვის მაკვანათელებს და საჩუქრად 2 ძროხა, 3 დეკეული და 1 ბუღა გამოუგზავნეს.

ერთ დროს ჩამორჩენილ მაკვანეთზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ რაიონში. ამიტომაცაა, რომ უკრაინის გარდამავალი დროშა ამ სოფელში ფრიალებს.

ხალისიან შრომაში ილევა ყოველი დღე. საღამოთი კი კლუბის გაჩირაღდნებულ დარბაზში მოიყრიან თავს სოფლის მოწინავენი, მზით გარუჯული ადამიანები და სიხარულით შესცქერიან თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს, რომელთაც ძალა არ დაუზოგავთ, რათა საღამოსათვის სილამაზე და შინაარსი მიეცათ. უხარია ყველას, იციან, დღეს კოლმეურნეობის ულევ დოვლათს კიდევ მიუმატებ, მაგრამ კმაყოფილნი მაინც არ არიან, უფრო მეტი სურთ გააკეთონ და მოუთმენლად მოელიან გათენებას, რათა კვლავ თავიანთ საყვარელ საქმეს შეუდგნენ.

ანზი არსენაშვილი






თოთხმოცი-ოთხმოცდახუთი წლის წინანდელ ამბებს ისე დამაჯერებლად მოგიყვებათ პაპა იერემია, თითქოს გუშინდელი ნანახ-განაგონი ჰქონდეს. სიტყვაძუნწია, წამდაუწუმ არ უყვარს წარსულზე ლაპარაკი, მაგრამ თუ მსმენელი ცნობისმოყვარე აღმოჩნდა, მაშინ მთელ დღესაც არ დაიშურებს...

უსიხარულო ბავშვობა გაატარა პაპა იერემიამ. მთვრალი დიაკვნის როზგები საგარეჯოს სამრევლო სკოლაში, ცივი კარცერი და ზედამხედველის უმოწყალო ქიმუნჯები მშობლიურ ენაზე დალაპარაკებისათვის — თბილისის სასულიერო სასწავლებელში.

მწარე გულისტკივილით იგონებს ყრმობას მოხუცი, მაგრამ ხანდახან თბილი ღიმილით გაუნათდება ხოლმე სახე. ეს მაშინ, როდესაც გაიხსენებს საყვარელ მასწავლებლებს — ალექსანდრე ცხვედაძესა და იაკობ გოგებაშვილს.

ქუჩაში დარჩენილი ობოლი ბიჭი გადასახლებიდან დაბრუნებულმა მომავალმა პუბლიცისტმა დავით კეზელმა და საზოგადო მოღვაწემ სტეფანე ჭრელაშვილმა შეიკედლეს. ზამთრის გრძელ ღამე-



ებში კუთხეში მიბნეული თორმეტი წლის ცნობისმოყვარე ბიჭუნა გატაცებით უსმენდა ხოლმე მოწინავე იდეებით გამსჭვალული ახალგაზრდების კამათს.

მოწაფეობის დროინდელ მოგონებებში ყველაზე მკაფიოდ გამოირჩევა მისი ჭირ-ვარამის მოზიარე ლუკა რაზიკაშვილის სახე და მას ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და მოწიწებით იხსენებს პაპა იერემია.

„... 1878 წლის აგვისტოს დამლევს ლუკას თელავის სასულიერო სასწავლებელი დაემთავრებინა, თბილისში ჩამოსულიყო და სამოქალაქო სასწავლებლის მეექვსე კლასში ჩაებარებინა გამოცდები, — იგონებს მოხუცი. — მეც ის იყო ჩამოვედი სოფლიდან და სკოლაში შევიარე, მეხუთე კლასში ვიყავი და სახელმძღვანელოების შოვნა მინდოდა. სკოლის ეზოში ანაფორა გახუნებული სოფლელი მღვდელი და ძვალმსხვილი ტალიკი მოზარდი შევნიშნე. მოხუცმა მიმიხმო და რომ ნახა, ქართველი ვიყავი, მითხრა: — ე, ბიჭი ჩამოვიყვანე სწავლად, ბინა კი არა გვაქვს, ეგები გეგულებოდესო.

მე ავჭალის ქუჩაზე, გაზეთ „ივერიის" რედაქციის პირდაპირ ეზოში ერთ ქვრივ დედაკაცთან ვიდექი და ახლად გაცნობილი მამა-შვილი იქ წავიყვანე.

კეკელას გაეხარდა ახალი „ნახლებნიკის" შოვნა და თვეში რვა მანეთი დაუწესა..."

ასე შეახვედრა ბედმა მთის მომღერალთან პაპა იერემია. ორ წელიწადს ცხოვრობდნენ ერთ ჭერ ქვეშ.

დამეგობრდნენ. ორივეს ერთი გასაჭირი აწუხებდა—მათი ოჯახები ხელმოკლეობის გამო ბევრს ვერაფერს აწვდიდნენ და ისინიც ცხოვრობდნენ, რომ იტყვიან „ღვთის წყალობით"... გვიან ღამემდე ოცნებობდნენ ხოლმე უკეთეს მერმისზე. ხშირად ლუკა თავის ლექსებს უკითხავდა ამხანაგს, მასაც შიმშილი ავიწყდებოდა და სულმოუთქმელად უსმენდა სანამ ჩაეძინებოდა.

ორი წლის შემდეგ გაიყარა მათი გზები. ვაჟა გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა. მისმა მეგობარმა კი ახლად გახსნილ ხონის საოსტატო სემინარიას მიაშურა. შემდეგშიც არ დაუკარგავთ ერთმანეთი კეკელას „ნახლებნიკარებს", წერილებით ხშირად მოიკითხავდნენ, იგებდნენ ერთურთის ამბავს.

წავიდა ბავშვობა... უკან დარჩა საოსტატო სემინარია. ჭაბუკური იმედებით აღსავსე ახალგაზრდა მასწავლებელს ზუგდიდის ორკლასიან სასწავლებელში აგზავნიან სამუშაოდ, და ამის შემდეგ მთელი სამოცდახუთი წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა პაპა იერემია სახალხო განათლების საქმეს—ოთხი წელი ზუგდიდში, ოცდახუთი წელი თბილისში, ოთხი წელი აჭარაში, უკანასკნელი ოცდათორმეტი წელი კი მშობლიურ სოფელში.

ვინ იცის რამდენი ადამიანი გამოზარდა ამ ხნის განმავლობაში იერემია გულისაშვილმა, გზაზე დააყენა, ცხოვრებაში გარია, რამდენ ქართველს შეაყვარა პუშკინისა და ლენინის ენა. ახლაც, ჭაღარაშერთული გარეჯელები გზაში რომ შემოეყრებიან— სალამი მასწავლებელოო,—ძველებულად მიესალმებიან.

საქართველოს რომელ კუთხიდან არ მოსდის ბარათები მხცოვან პედაგოგს. სწერენ სრულიად უცხოებიც, რომლებსაც სხვისგან გადმოცემით გაუგიათ პაპა იერემიას შესახებ. სთხოვენ დარიგებას, ან რაიმე ფაქტის დადასტურებას. შვილიშვილები იცინიან ხოლმე — დიდი პაპას ხელმოწერილ ბარათებს ხელმწიფის ფირმანის ძალა აქვსო. მართლაც, ვინ მოსთვლის მის მიერ ხელმოწერილ ცნობით რამდენ პედაგოგს აღუდგინეს მუშაობის სტაჟი ან რამდენმა მკვლევარმა მოიშველია მისი ბარათი ამ თუ იმ ფაქტის უტყუარობის დასადასტურებლად, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნის ქართული ლიტერატურის რამდენი ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში დახმარებია. კერძოდ, ფსევდონიმებს უკან ამოფარებულ მოღვაწეთა ვინაობის დადგენაში.

ორიოდე თვის წინათ ბათუმიდან მიიღო წერილი. პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი გრიგოლ ბაბილოძე სწერდა:

„გავიგე აჭარაში გიმუშავიათ განათლების დარგში, ახლა ვწერ შრომას—„სახალხო განათლების ისტორია აჭარაში". იქნებ რაიმე მასალები მოგეპოვებოდეთ, მომაწოდეთ".

ახალგაზრდა მკვლევარს ასეთი საშვილიშვილო საქმისათვის მოუკიდნია ხელი და აბა როგორ დაზარდებოდა. პირველი ქართული სკოლები ხომ თვითონ გახსნა ხულოში, ქედაში, ქობულეთში, ბათუმსა და კიდევ ცხრა სოფელში. ყველაფერი დაწვრილებით ჩამოუწერა, მასწავლებელთა გვარები და სახელებიც კი გაიხსენა სათითაოდ.

შინაარსიანი, მჩქეფარე ცხოვრება გაატარა პაპა იერემიამ. მის დროის არც ერთი საქველმოქმედო ან საზოგადოებრივ-სასარგებლო წამოწყება არ ყოფილა, რომ მასში მონაწილეობა არ მიეღოს.

„ოთხმოცდაათიან წლებში მდაბიო ხალხისათვის ხელმისაწვდომი ქართული წიგნები ნაკლებად იბეჭდებოდა, — იგონებს მოხუცი. — ალექსანდრე ჯაბადარმა, ლადო აღნიაშვილმა და მე გადავწყვიტეთ ამ ნაკლის გამოსწორება, რისთვისაც დავაარსეთ ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა. მოვაწყეთ სტამბა და დავიწყეთ ორიგინალური და თარგმნილი წიგნების გამოცემა. პირველად დავბეჭდეთ ბაჩანას პოემები. მალე დავაარსეთ ჟურნალი „მნათობი", რომლის რედაქტორად მოვიწვიეთ ლიტერატორი აკაკი ჭყონია. გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად ჟურნალში მეც ვთანამშრომლობდი. შემდეგ ეგნატე ხრამელაშვილთან ერთად დავაარსეთ და ორი წლის განმავლობაში ვცემდით ორკაპიკიან გაზეთს, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ღარიბი ხალხისათვის..."

მაშინდელ თბილისელ ქართველ საზოგადოებას არ ჰქონდა თავშესაყარი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა. ინჟინერ ანდრონიკაშვილთან და თომა ნასიძესთან ერთად პაპა იერემია სათავეში ჩასდგომია ქართული კლუბის გახსნის საქმეს. ნებართვა აუღიათ, სახსრები შეუგროვებიათ და ახლანდელი გრიბოედოვის სახელობის თეატრის ბაღში მოუწყვიათ კლუბი, იქ იკრიბებოდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ლომოური, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე და სხვანი. იმართებოდა წარმოდგენები, ლექცია-მოხსენებები საინტერესო სამეცნიერო პოპულარულ საკითხებზე. ხანში შესულები „პრეფერანსით" ერთობოდნენ, ახალგაზრდობა—ჭადრაკითა და ცეკვა-თამაშით. სწორედ აქ გაიცნო და დაუახლოვდა პაპა იერემია ილიას და აკაკის და „ივერიის" რედაქციაში გამართულ „ხუთშაბათობების" ხშირი სტუმარი გახდა.

კარგად ახსოვს ილიასთან „ხუთშაბათობაზე" პირველი სტუმრობა:

„თბილისში ყოფნისას ვაჟა-ფშაველა თითქმის ყოველთვის ჩემთან ჩამოხტებოდა ბინათ,—მიყვება დიდი პაპა. — ერთხელ ჩარგლიდან მესტუმრა, ხურჯინით ნაწერები ჩამოიტანა და ილიას „ხუთშაბათობაზე" წასვლას აპირებდა. მეც შემეპატიჟა. ვიუარე — ჩემისთანა წვრილკალმოსანს „ივერიაში" რა ფეხი შეედგმება-მეთქი. გამიწყრა, ხელი დამავლო და წამიყვანა. რედაქციის ოთახში უკვე შეკრებილიყვნენ ნიკო ხიზანიშვილი, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, გიგო ყიფშიძე, ალექსანდრე ფრონელი, არტემ ახნაზაროვი და სხვანი. ვაჟამ ჩემი ნათქვამი გადასცა ილიას. დიდმგოსანმა გაიცინა და თავისებურად დინჯად მითხრა:

— რუსთაველი ერთი გვყავდა, დანარჩენები ერთნაირი ვართ, ლუკას მართალი უთქვამს, იარეო.

ცხარე ბაასი გაიმართა. იმ დღეებში ილიას „ქვათა ღაღადი" დაიბეჭდა და ყველას ის ჰქონდა სალაპარაკოდ. იქ დამსწრენიც აღფრთოვანებულნი და ამაყნი იმით, რომ ასეთი სახელოვანი პასუხი გასცა არამკითხე მოამბეებს, ულოცავდნენ ილიას, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების წიგნთსაცავებიდან სპეციალურად გამოწერილ საბუთებს უკითხავდა მათ. ილიას სიმპათიური სახის გამომეტყველება, გონიერი, მარილიანი ლაპარაკი ღრმად ჩამრჩა გულში.

ამის შემდეგ, ილიას სიტყვებით გათამამებული, „ივერიის" ხშირი სტუმარი ვიყავი, ვიბეჭდებოდი კიდეც „იერემიას" ფსევდონიმით. ერთხელ, მახსოვს, ჩვენს ორკაპიკიან გაზეთში რომელიღაც წერილის გამოქვეყნებისათვის სტავროპოლის გუბერნიაში გადასახლება გადამიწყვიტეს. ილია გამომექომაგა, მაზრის უფროს ვანო ჯანდიერთან წავიდა შუამდგომლობით. ილიას ავტორიტეტმა მიპატივა და თავი დამანებეს".

მოხუცი დასწრებია თავადაზნაურთა ყრილობას ბანკის მუშაობის საკითხზე, სადაც ივანე მაჩაბელს ილიასთან მოუხდა შეჯახება.

მჭიდროდ არის დაკავშირებული პაპა იერემიას სახელი ქართულ თეატრთან. ბავშვობიდანვე უყვარდა თეატრი და ღრმა მოხუცებულობაშიც არ იზარებდა რეპეტიციებზე სიარულსა და სცენაზე თამაშს.

„1886 წელს ზუგდიდში მე დავდგი პირველი წარმოდგენა, გ. ერისთავის „ძუნწი", შემდეგ კი ვ. აბაშიძის—„ცოლი თუ გინდა ეს არის". მონაწილეობდნენ გამომძიებელი კვირკველია, მაზრის სამმართველოს მდივანი ალ. წერეთელი, მასწავლებელი ქალი ფ. მხეიძე, მომრიგებელ მოსამართლის ლევან ჩიჩუას მეუღლე და სხვანი. „ძუნწში" კარაპეტას როლს მე ვთამაშობდი. წარმოდგენას ესწრებოდა კნეინა სალომე მიურატისა, ქმარშვილით. ძალიან მოეწონათ, ბევრი იცინეს და, რაც მთავარია, ბლომად ფულიც შემოგვწირეს. ნაჩუქარი ფულითა და წარმოდგენის შემოსავლით ზუგდიდში დავაარსე პირველი ბიბლიოთეკა-სამკითხველო..."

თბილისში გადმოსვლის შემდეგ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ თეატრალურ მოღვაწეებთან. სხვებთან ერთად იყო სახალხო თეატრის—„ავჭალის საზოგადოების" შექმნის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი. დიდხანს მსახიობობდა მუშათა ამ პირველ თეატრში და ერთ სეზონში რეჟისორობდა კიდეც. სწორედ ამ დროს მიუწერია დიდ ქართველ მსახიობსა და რეჟისორს ლადო მესხიშვილს ბარათი. მოხუცი ახლაც ხელის კანკალით ამოიღებს ხოლმე ლადოს სადარბაზო ბარათს და მეათასეჯერ გადაიკითხავს სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს:

„ძმაო იერემია! ხვალ წარმოდგენა გვაქვს და დილით რეპეტიცია მექნება. სამ თებერვალს ადრე ვერ ვითამაშებთ. მაინც და მაინც ხვალ დილით, თერთმეტ საათზე შემოიარე თეატრში და იქ მოვილაპარაკოთ. წამოიღე პიესები, რომ დაურიგო სასწავლებლად ხვალვე.

შენი ლადო მესხიევი. 1896 წ. 20 იანვარი".

ამის შემდეგ მთელი ორმოცი წლის განმავლობაში საგარეჯოელი მაყურებლები ტაშით ხვდებოდნენ ხოლმე სცენაზე პაპა იერემიას ყოველ გამოჩენას. თავიანთი უხუცესი თანამოსანგრე საგარეჯოს რაიონული კულტურის სახლის სცენისმოყვარეებმა გააცილეს, როდესაც დამსახურებულმა მასწავლებელმა სკოლაში სამსახურს თავი დაანება და პენსიაზე გადავიდა.

მაგრამ განცხრომას როდი მიეცა უბერებელი მოხუცი. ახლაც ჩვეული მუყაითობითა და საქმის სიყვარულით განაგრძობს შრომას. უსაქმოდ ვერასოდეს ნახავთ. საკუთარი ხელით გატეხა ყამირი და ვენახი გააშენა. სანაზუქე ცომივით გაფუებულ შავ მიწაში საკურდღლე საფანტის სიმსხო კენჭსაც ვერ იპოვით. შვილივით უვლის, თავს დასტრიალებს მოხუცი ყოველ ბუჩქს, ხეს... უნდა გენახათ მისი სიხარული, როდესაც შარშან პირველი მოსავალი აიღო. ქარვისფერ მტევნებს ხელში ათამაშებდა თვალცრემლიანი, ბავშვივით ხარობდა.

დაგვიბერდა, მაგრამ განა დაგვიჩაჩანაკდა, განა ზედმეტ ბარგად იქცა პაპა იერემია—განვლილი საუკუნის ცოცხალი მატიანე! ისევ ახალგაზრდული სიცოცხლით იწვის ცხოვრების ქარბორბალაში გამოვლილი, მუდამ სიცოცხლის მოტრფიალე ჩვენი დიდი პაპა.

**დიმიტრი გულისაშვილი**

# ქართული ხელნაწერები სინას მთაზე

**ზურაბ ჭუმბურიძე**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

**XIX** საუკუნის მიწურულში ერთმა ავსტრიელმა მხატვარმა ვენის სახახლის ბიბლიოთეკაში გასაყიდად მიიტანა რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი. ხელნაწერები საეჭვო გზით იყო მოხვედრილი მხატვრის ხელში და ამიტომ ბიბლიოთეკის დირექტორმა უარი თქვა მათს შეძენაზე. მაშინ ეს ხელნაწერები ქართული ენის ცნობილმა მკვლევარმა ჰ. შუხართმა შეიძინა, მან კი შემდგომში მთელი თავისი ბიბლიოთეკა და მათ შორის ეს ხელნაწერებიც გრაცის უნივერსიტეტს უანდერძა.

გრაცში დაცულ ქართულ ხელნაწერებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა პროფ. ა. შანიძემ („ქართული ხელნაწერები გრაცში", ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IX, 1929 წ.). ყველა ეს ხელნაწერი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული ენისა და, საერთოდ, ჩვენი კულტურის ისტორიისათვის, მაგრამ მათ შორის საგანგებოდ აღსანიშნავია ერთი — ხანმეტი ლექციონარი, რომელიც VII საუკუნის უნიკალური ძეგლია (განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო იგი პროფ. ა. შანიძემ ფოტოტიპიურადაც გამოსცა 1944 წელს).

საიდან მოხვდა ეს თორმეტ-ცამეტი საუკუნის წინანდელი ხელნაწერი ანდა ქართული ენის სხვა ძველი ძეგლები ვენელი მხატვრის ხელში XIX ს. დამლევს?

როგორც გამოირკვა, აღნიშნული ხელნაწერები ევროპაში გაიტანეს სინას მთიდან, რომელიც ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ძველად ქრისტიანულ აღმოსავლეთში.

სინას მთაზე განსაკუთრებით ინტენსიური სალიტერატურო მოღვაწეობა ყოფილა გაშლილი X ს. ბოლოს, მას შემდეგ, რაც ქართული კულტურის უფრო ძველი ცენტრები პალესტინაში მეტისმეტად შეავიწროეს და რამდენჯერმე ააოხრეს არაბებმა. სინას მთა, როგორც მივარდნილი კუთხე, ამ მხრივ შედარებით უფრო დაცული და მოსვენებული ყოფილა, ამიტომ ქართველები სხვა მონასტრებიდან აყრილან და სინას მთაზე გადასახლებულან. მათ იქ· თან წაუღიათ და დალუპვისაგან გადაურჩენიათ მრავალი ძველი ხელნაწერიც. „ვინაიდან სინას მთა, როგორც განცალკევებული და განშორებული პუნქტი, მტრების შემოსევისა და აოხრებისაგან შედარებით უზრუნველყოფილი იყო, აქ შენახულა უძველესი ჩვენი თარიღიანი და უთარიღო ხელნაწერები. სინას მთაზე შემუშავებულა საგანგებო ხელიც, რომელსაც სინას მთის ხელი ეწოდება. ეს მეტად ლამაზი და მოხდენილი მრგვალი ხელია... მომეტებული ნაწილი აქაური უძველესი ხელნაწერებისა საბას ლავრიდანაა გადმოტანილი" (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951 წ., გვ. 80).

საბას ლავრაში გადაწერილ და ამჟამად სინას მთაზე დაცულ ხელნაწერთა შორის ცნობილია, სახელდობრ, უძველესი თარიღიანი მრავალთავი, გადაწერილი 864 წელს გრიგოლ ხანძთელის მოწაფის მაკარის მიერ. იქვეა დაცული ძველი ქართული ენისა და მწერლობის მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ძეგლიც: ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, წმინდანთა ცხოვრებანი, ფსალმუნები, საგალობლები ძველ-ქართული სანოტო ნიშნებითურთ და სხვანი.

საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ X საუკუნეში სინას მთაზე გადაწერილი ზოგი ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს ზუსტ პირს, ასლს გაცილებით უფრო ძველი ხელნაწერისას. ამის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა სინას მთაზე 985 წელს გადაწერილი იაკობ მოციქულის ჟამის წირვის ერთ მინაწერში. ამ ძეგლის გადამწერელი იოანე-ზოსიმე ზემოხსენებულ მინაწერში შენდობას ითხოვს, ამ ჟამის წირვის დედანი ნაკლულოვანი იყოო, „მრავალი განგებაი და ლოცვები და სიტყუები აკლდა თავითგან ვიდრე დასასრულამდე, ვითა მე ვიცოდე მოძღუართაგან და ჩემთა ჟამის წირვათა შინა ეწერა"-ო, მაგრამ ვინც ამას მაწერინებდა, მევედრებოდა: რაც მაგაში წერია, მარტო ის დამიწერეო. მეც მარტო ის დავწერე და გთხოვთ ყოველი დაკლებულება შემინდოთო. ცხადია, თუ რა დიდი მეცნიერული ღირებულებისაა ამგვარი ძველი ძეგლის ასლი, გადაღებული თითქმის ამ ათი საუკუნის წინათ.

მეათე საუკუნეშივე სინას მთის ქართველ მოღვაწეებს შეუდგენიათ თავიანთი ხელნაწერების კატალოგი, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტის სახითაა მოღწეული.

სინას მთაზე დაცულ ხელნაწერთა უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი მეცნიერებისათვის ადრიდანვე კარგად იყო ცნობილი. ამ ხელნაწერების აღსაწერად და შესასწავლად 1883 წელს სინას მთაზე იმოგზაურა პროფ. ალ. ცაგარელმა. 1902 წელს იმავე მიზნით სინას მთაზე იყვნენ ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი, ხოლო 1927 წელს — ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი. მათ თავ-თავის დროზე გამოაქვეყნეს სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი, რომელთა შედარებიდანაც ირკვევა, რომ ზოგი ხელნაწერი, რომელიც 1883 წელს სინას მთაზე ნახა და აღწერა ალ. ცაგარელმა, 1902 წელს ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს იქ უკვე აღარ დახვედრიათ, მით უმეტეს ვეღარ იპოვიდა მათ რ. ბლეიკი 1927 წელს.

ამ დაკარგულ ხელნაწერთაგან ხუთი და ორისაც ნაწყვეტები იყო სწორედ ისინი, რომლებიც ვენელმა მხატვარმა ჰ. შუხარტს მიჰყიდა; ზოგი კი ამჟამადაც არაა აღმოჩენილი და მათი ბედი გაურკვეველია. რა მოუვიდა ნეტავ დანარჩენ ხელნაწერებსო, გულისტკივილით წერდა თავის გამოკვლევაში ა. შანიძე და დასძენდა: „ანდა არი კი იმისი იმედი, რომ მომავალ მკვლევარს, რომელიც სინას მთაზე მოისურვებს გამგზავრებას, ქართული ხელნაწერები დახვდება ისეთი შედგენილობით მაინც, როგორც 1927 წელს იყო?"

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ასეთი სავალალო ბედის გამო მით უფრო საშური ხდება მათი შესწავლისა და გამოცემის საქმე. ამ საქმის სისრულეში მოყვანა შესაძლებელი გახდა გასული წლიდან, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ვაშინგტონიდან, კონგრესის ბიბლიოთეკისაგან, მიიღო პირები სინას მთის (აგრეთვე იერუსალიმის) ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმებისა, რომლებიც იქ გადაუღია 1949-1950 წლებში მოწყობილ საგანგებო ექსპედიციას. ამ მიკროფილმებიდან ფოტოანაბეჭდების დამზადება მიენდო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას პროფ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით. დამზადებული ფოტოანაბეჭდების მიხედვით მიმდინარეობს ხელნაწერთა შესწავლა და გამოსაცემად გამზადება, რასაც ახორციელებენ მეცნიერებათა აკადემია და უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით.

ახლად მიღებული მიკროფილმების მიხედვით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უკვე გამოაქვეყნა ბალავარიანის ძველი რედაქციები იერუსალიმის ხელნაწერებიდან (გამოსცა ილ. აბულაძემ), ხოლო კათოლიკე ეპისტოლენი სინას მთის ხელნაწერებიდან (გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ). მალე დაიბეჭდება ძველი ქართული ენისა და მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, 864 წელს გადაწერილი სინას მრავალთავი, რომელსაც დასაბეჭდად ამზადებს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა. ამათ მოჰყვება სხვა ფრიად საყურადღებო ძეგლების გამოცემაც. ამრიგად, სინას მთის ქართული ხელნაწერები თანდათანობით ხელმისაწვდომი ხდება მეცნიერთა ფართო წრეებისათვის, მათი შესწავლა-გამომზეურებით კი ახალი ფურცლები გადაიშლება ქართულ ფილოლოგიაში.

სინას მრავალთავი (864 წ.). გვ. 53 h



---

**პ**ირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ღებულობს მოგზაური იაპონიაში, ამ ქვეყნის მომხიბლავი ბუნებაა. იაპონიის ბუნებას მეტად ამშვენებს ეგრეთ წოდებული იაპონიის შინაგანი ზღვები. ამ ზღვებს ხშირად იაპონიის „ხმელთაშუა ზღვას" ეძახიან. ეს ზღვები თითქოს ნაწილ-ნაწილად, კუნძულებად ჰყოფენ იაპონიას. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ იაპონიის ეკონომიური განვითარების საქმეში. აქ მეტად არის განვითარებული კაბოტაჟური ნაოსნობა. სანაოსნო გზები აერთიანებენ იაპონიის მრავალ რაიონსა და სამრეწველო ქალაქს. [illegible] განვითარებული მეთევზეობაც. ზღვებში თითქმის ყველგან გვხვდება პატარ-პატარა კუნძულები. მათ შორის ისეთებიც, რომლის ფართობი 5-10 მეტრს არ აღემატება. გვხვდება ისეთი კონუსის მსგავსი კუნძულები, რომლებზედაც მხოლოდ ერთადერთი ხე დგას, მეტის ადგილი კი არაა.

იაპონიაში ყველაფერი მინიატიურულია: სახლები, ბაღები, მდინარეები, ხეები, ჩვეულებრივზე პატარები არიან თვით იაპონელებიც, განსაკუთრებით — ქალები.

...ჩვენ გემით ჩავედით სიმონოსეკამდე. აქედან იწყება საკუთრივ იაპონიის ტერიტორია. სანამ ტოკიომდე ავიღებდით ბილეთს, ერთი დღით მოგვიხდა აქ გაჩერება. აქ მრავლადაა რიქშები, ისინი ყოველ ნაბიჯზე გვთავაზობენ თავიანთი ორბორბლიანი ეტლით გასეირნებას. თანამედროვე ტექნიკამ რიქშებს შორისაც შეიტანა სიახლე: ჩვეულებრივი რიქშების გარდა, აქ ხშირად გვხვდება ველოსიპედიანი რიქშები.

სიმონოსეკი დიდი ქალაქი არაა. პირველ რიგში ეს სანაოსნო პორტია, სადაც ყოველდღიურად თავს იყრიან ათობით სავაჭრო გემები. ამ პორტს დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, ჩინეთთან იაპონიის ეკონომიური კავშირისათვის.

ომის წლებში ამ ქალაქში უცხოელი თავისუფლად ვერ გაივლიდა. კარგად მახსოვს, როდესაც ყოველ ნაბიჯზე მუდმივად დაგვყვებოდა ორი ან სამი „თანამგზავრი". მაშინ ისინი აშკარად უკან დაგვდევდნენ და გულახდილად გვიმხელდნენ, თუ რა მოვალეობასაც ასრულებდნენ. მათ არა ერთხელ უთხოვიათ ჩვენთვის არ „გავპარულიყავით" სადმე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ემუქრებოდათ უმუშევრობა, შიმშილი და გაჭირვება. სამაგიეროდ ისინი მზად იყვნენ, პირნათლად გაეკეთებიათ ყველაფერი, რასაც მოვთხოვდით: დაგვჭირდებოდა თუ არა ბილეთის აღება ან სადმე წასვლა, ყველაფერში გვეხმარებოდნენ. მათი მეშვეობით ძალიან ადვილად ვშოულობდით სასტუმროს ნომრებს.

ახლა, ომის შემდეგ, ასეთ თანამგზავრებს ვეღარ ნახავთ. იქ ახლა შემოღებულია ამერიკული სისტემითა და მეთოდით მუშაობა. მიუხედავად ამისა, მათს თანყოფნას ყოველთვის ვგრძნობდით.

სასტუმროებში უცხოელებს ემსახურებიან ეგრეთ წოდებული გეიშები — ახალგაზრდა ქალები. მათ აცვიათ იაპონური ეროვნული ტანსაცმელი — კიმონო. სასტუმროებში, რესტორნებსა და ბარებში მსახურობენ ასეთი ქალიშვილები. ისინი მოცეკვავეებიც არიან. სხვათა შორის, იაპონიაში, ტრადიციულად ყოველ წელს იმართება გეიშების ცეკვა. ასეთ ცეკვას ატარებენ თითქმის ყველა ქალაქში. ხოლო, ბოლოს, იაპონიის ძველ დედაქალაქ კიოტოში ეწყობა სრულიად იაპონიის გეიშათა ცეკვა, რაც იაპონიაში დიდ დღესასწაულად ითვლება.

გეიშები მოვალენი არიან უსიტყვოდ შეასრულონ სტუმრის ყოველგვარი მოთხოვნა. გეიშა გვიმზადებდა ყველაფერს, რაც დაგვჭირდებოდა. დაწოლის წინ შხაპი მივიღე. როგორი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც გეიშამ დამიკაკუნა კარებზე და

სამსახური შემომთავაზა. ტანის დაბანისას ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდებათო.

მოგზაურობის დროს თითქმის ყველგან ვხვდებოდი გეიშებს და ყოველთვის ეს იწვევდა გაკვირვებას, ნუთუ ასეთი განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყანაში ასე მონურ მდგომარეობაში უნდა იყოს ქალი?

იაპონიაში ქალებს არავითარი უფლება არა აქვთ. წარმოებებსა და დაწესებულებებში ქალი მამაკაცზე ნაკლებ ხელფასს ღებულობს. ასეთ არათანასწორუფლებიან მდგომარეობაშია ქალი ოჯახშიც. იქ დღემდის ისევ ძველებურადაა გაბატონებული ფეოდალური დამოკიდებულება ქალების მიმართ. მაგალითად, მამაკაცს შეუძლია გააგდოს თავისი ცოლი და მის მაგივრად ითხოვოს მეორე, ანდა, პირველ ცოლთან ერთად სხვა ქალიც მოიყვანოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცოლს არა აქვს უფლება განუცხადოს პროტესტი ქმარს, პირიქით, ხელიც კი უნდა შეუწყოს მას. ასეთი არასწორუფლებიანობა გაბატონებულია თითქმის ყველგან.



იაპონელი ქალიშვილის თმავარცხნილი.

ქალებს არა აქვთ უფლება შეხედონ იმპერატორს, ისინი ამის ღირსნი არ არიან, მამაკაცები კი პირდაპირ სახეში უმზერენ. ომის შემდეგ, დემოკრატიული ძალების დაჟინებითი მოთხოვნით, ქალებმა მიიღეს ხმის უფლება. მაგრამ მათი მდგომარეობა, განსაკუთრებით წარმოებაში, ისევე აუტანელია და კიდევ უფრო გაუარესდა ამერიკელთა ოკუპაციის წლებში.

სიმონოსეკიდან დღისით გავედით მატარებლით. ეს იყო ტოკიოში მიმავალი ექსპრესი. ბაქანზე ბევრი ხალხი შეგროვდა. გამცილებლები ხან ერთ ვაგონთან, ხან მეორესთან ჯგუფურად გაიძახოდნენ: „ბანძაი!", „ბანძაი!", რაც მათებურად „მრავალჟამიერს" „ათი ათას წელს" ნიშნავს.

იაპონელებს თავისებური მისალმება და გამომშვიდობება აქვთ. მაგალითად, თუ ერთმანეთს შეხვდა ორი ნაცნობი, ისინი ერთი მეორის წინ დგებიან, დაახლოებით, ერთი მეტრის დაშორებით. მერე მოიხრებიან წელში და ასე რამდენიმე წამს დგანან. მერე გაიმართებიან. ასეთ მოძრაობას იმეორებენ ორ-სამჯერ. შემდეგ კი ესალმებიან სიტყვიერად. ასეა გამომშვიდობების დროსაც. აქ ხვევნა-კოცნა არ იციან.

...უკანასკნელი ზარი მისცეს. მატარებელი დაიძრა და სწრაფად გაეშურა ტოკიოსკენ.

იაპონიაში თითქმის ყველა ქალაქი შეერთებულია რკინიგზის ქსელით. კუნძული ხონსიუ შეერთებულია კუნძულ კიუსიუსთან ორიარუხიანი გვირაბით, რომლის სიგრძე 3,5 კილომეტრია. ასეთი გვირაბები ბევრია იაპონიაში. ახლა დაპროექტებულია მსოფლიოში ყველაზე გრძელი და ღრმა გვირაბის მშენებლობა. ამ გვირაბმა უნდა შეაერთოს კუნძულები ხონსიუ და ხოკაიდო. 38 კილომეტრის სიგრძე გვირაბი გაითხრება 150 მეტრის სიღრმეზე. ბევრია სარკინიგზო ხიდი, რომელთა სიგრძე ზოგიერთ შემთხვევაში 10 კილომეტრს აღემატება. ხიდებისა და გვირაბების სიმრავლე იაპონიაში საკვირველი არაა, რადგან აქ ნაკლებად გვხვდება დაბლობები და ველები. სადაც კი გაიხედავთ, ყველგან კუნძულებია, ზღვები, სრუტეები და უბეები. იაპონია განთქმულია მსოფლიოში მატარებლების ზუსტი მოძრაობით.

...სიმონოსეკიდან გავიარეთ მთელი რიგი ქალაქები. ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ადგილმდებარეობას, პეიზაჟს. ჩვენს კუპეში იყო კიდევ ორი იაპონელი. რა თქმა უნდა, მათთან არ შეგვეძლო საუბარი, რადგან მათი ენა არ ვიცოდით. მათაც არ იცოდნენ სხვა ენა. მიუხედავად ამისა, მათგან ბევრი რამ გავიგეთ და ჩვენც გავაგებინეთ.

ერთმა მათგანმა მეზობელი კუპიდან თავისი ნაცნობი მოიწვია. მან ცოტათი იცოდა ინგლისური ენა, საერთოდ, იაპონელთა დიდი ნაწილი ფლობს უცხო ენებს. იციან გერმანული, ინგლისური, ნაკლებად — ფრანგული. ამ თანამგზავრთა მეშვეობით გავიგეთ სადგურების სახელწოდება, და სხვადასხვა ცნობები ადგილების შესახებ.

უკან დაგვრჩა ქალაქი ხიროსიმა. ეს ქალაქი, როგორც ცნობილია, გახდა ატომური ყუმბარის პირველი მსხვერპლი.

მეორე დღეა, რაც მივემგზავრებით სიმონოსეკიდან. იაპონიის დედაქალაქამდე 150-200 კილომეტრი დაგვრჩა. აი, მოვედით სადგურ სიძუოკაში. ამ სადგურთან დაკავშირებულია ჩემი განსაცდელი იაპონიაში პირველად მოგზაურობის დროს.

...ეს იყო 1944 წლის დამდეგს. ჩვენი მატარებელი 10 წუთით გაჩერდა ამ სადგურზე. მატარებელი ამოძრავდა თუ არა, მოგვესმა რაღაც უზარმაზარი აფეთქების ხმა. ამას მოჰყვა მეორე... მესამე... მერე როგორც გავიგეთ, ამერიკელთა ავიაციას მძიმე ყუმბარები დაუშენია რკინიგზის იმ ხიდისთვის, რომელზედაც ჩვენ უნდა გაგვევლო ორი წუთის შემდეგ. იძულებული გავხდით დაღამებამდე სადგურში დავრჩენილიყავით. თანამგზავრებმა და სადგურის ადმინისტრაციამ სადგურის ერთ-ერთ აპარტამენტში მოგვათავსეს, ყველაფერი კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ დაბნელებამდე არ გვიშვებდნენ გარეთ. ბოლოს შემოგვთავაზეს მანქანა. ჩვენი იქ ყოფნა, ალბათ, მათთვის სასიამოვნო არ იყო. რკინიგზის ხიდის აღდგენაზე ახლო ხანებში ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამ მანქანით უნდა შემოგვეარნა დიდი მანძილი და მივსულიყავით შემდეგ სადგურამდე.

მცველად გაგვაყოლეს ორი ჯარისკაცი. მანქანით უნდა გაგვეარნა 20 კილომეტრამდე გზატკეცილი მთაგორიან ადგილებში. სიძნელე ის იყო, რომ გზის გაშუქება არ შეიძლებოდა. თითქმის კუს ნაბიჯით მივდიოდით. ჩვენ წინ აღმოჩნდა პროცესია, დაახლოებით 200 კაცამდე. მძღოლი იძულებული გახდა კიდევ უფრო ნელაევლო. პროცესიის გასწრება მანქანით არ ყოფილა მიღებული. ამ პროცესიას ჯარში დაღუპული ჯარისკაცის ფერფლი მიჰქონდა. იაპონელთა ზნე-ჩვეულებით, ფრონტზე დაღუპულ ჯარისკაცს მთელი სოფელი მარხავს. მკვდარს წვავენ, ნეშთს კი ფოსტით

სასახლე კლასიკური არქიტექტურით.

# იაპონია მოგზაურის თვალით

ნ. თოლორაია

აგზავნიან მის სამშობლო სოფელში, სადაც გროვდება მთელი ხალხი, შემდეგ ნეშთი მიაქვთ ტაძარში, სადაც ინახავენ სათანადო წარწერით. ამის შემდეგ მიცვალებულს ღმერთად გამოაცხადებენ.

საინტერესოა, რომ იაპონელებს რამდენიმე მილიონი ღმერთი ჰყავთ, რომელთა კულტს ახლაც იცავენ. ღმერთების რაოდენობა 8 მილიონამდე აღწევს.

ბოლოს, როგორც იყო, პროცესიამ სხვა გზით გადაუხვია. საშუალება მოგვეცა უფრო ჩქარა წავსულიყავით.

...ახლა მატარებელი ბევრ ხანს არ გაჩერებულა ამ პატარა სადგურში. ცოტა ხნის შემდეგ გავიარეთ სწორედ ის ხიდი, რომელიც 1944 წელს, ჩვენი აქ ყოფნის დროს, განადგურებული იყო ამერიკელთა ავიაციისგან.

ხიდზე გასვლის დროს გამოჩნდა მომხიბლავი პანორამა — იაპონელების უწმინდესი ადგილი—ფუძიამა. ეს ვულკანური წარმოშობის მთაა. თავისი ფორმით მოგვაგონებს კონუსს, მწვერვალი კი ყოველთვის თოვლითაა დაფარული, მას ფართო და ღრმა კრატერი აქვს. იაპონელები ამ მთას წმინდა მთად თვლიან. მისი სურათი ან ნახატი ჰკიდია ყველგან: მაღაზიებში, დაწესებულებებში, სკოლებში, სახლებში. თითქმის ყოველი იაპონელი მხატვარი ვალდებულად თვლის თავს დახატოს ეს მთა. ფანატიკურად განწყობილი იაპონელები ადიან ამ მთაზე და ცვივიან მის კრატერში. ეს თავისებური ხარაკირია. ხარაკირს ან ფუძიამის კრატერში ჩავარდნას იაპონელი მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია დაიცვას თავისი პატიოსნება. მაგალითად, თუ იაპონელს უმიზეზოდ ცილი დასწამეს და საზოგადოდ გაჰკიცხეს, მაშინ მას შეუძლია, ამით აღიდგინოს პატიოსნება და დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, — მიმართოს ხარაკირს, გამოიჭრას მუცელი, ანდა ჩავარდეს ამ მთის კრატერში. ამის შემდეგ ის გაღმერთებულია და ღმერთებს შორის იქნება ჩარიცხული.

ფუძიამის შემდეგ ბევრი ხანი არ გასულა, როდესაც გამყოლმა განაცხადა, მალე ტოკიო იქნებაო.

ტოკიო ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია მსოფლიოში. ნიუ-იორკისა და ლონდონის შემდეგ მას პირველი ადგილი უჭირავს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (8 მილიონამდე). იმ ადგილზე, სადაც ახლა იაპონიის დედაქალაქია, მე-17 საუკუნის დამდეგს უბრალო მეთევზეთა სოფელი—იედო ყოფილა. ამ სოფელს თავისი ადგილმდებარეობით ფეოდალური არისტოკრატიის ყურადღება მიუპყრია და ციხე-სიმაგრეები გაუშენებიათ. შემდეგ წლებში აქ დედაქალაქი გადმოიტანეს, რამაც ხელი შეუწყო ტოკიოს სწრაფ ზრდას.

თანამედროვე ტოკიო იაპონიის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრია. აქაა თავმოყრილი მთელი რიგი მთავარი კულტურული დაწესებულებები: უნივერსიტეტი, ინსტიტუტები, თეატრები და სხვ. აქაა პარლამენტი.

ქალაქის ცენტრში მდებარეობს იმპერატორის რეზიდენცია, რომელიც გარშემორტყმულია მაღალი ქვის კედლითა და ფართო და ღრმა არხით.

იმპერატორის რეზიდენცია და მის გარშემო მდებარე მოედნები იაპონელებისათვის თავისებურ „მექას" წარმოადგენს. რეზიდენციაში შესასვლელის წინ მდებარეობს დიდი მოედანი, სადაც რამდენიმე ადგილას, კონუსის ფორმით, დაყრილია სილა. იაპონიის სხვადასხვა კუთხიდან ხალხი მოდიოდა აქ და ეს სილა ერთი ადგილიდან მეორეზე ხელით გადაჰქონდა. სილის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მაგრამ, მათი გაგებით, ისინი ასეთი „მუშაობით" ემსახურებოდნენ იმპერატორს, უმტკიცებდნენ მას თავის თავდადებასა და ერთგულებას. რა თქმა უნდა, ესენი იყვნენ იმპერატორის თაყვანისმცემლები — ფანატიკოსები. ისინი, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდნენ გამოეხატათ თავისი პატივისცემა იმპერატორის მიმართ. ერთხელ, ომის წლებში, ტრამვაით რომ დავუახლოვდით იმპერატორის სასახლეს, ვაგონში მყოფი ყველა მგზავრი, წამოდგა, მობრუნდა სასახლისკენ და წელმოხრილად იდგა, სანამ არ გავიარეთ იმპერატორის რეზიდენცია. მე რაღა მექნა, ავდექი, მაგრამ წელში არ მოვხრილვარ, მეგონა, ვინმე შენიშვნას გამიკეთებს-მეთქი, მაგრამ არა, შეუმჩნეველი დავრჩი. სხვათა შორის, იაპონიაში რაც არ უნდა გააკეთო, არავინ შენიშვნას არ მოგცემს, სანამ ვინმეს პირად სიმშვიდეს არ დაარღვევ.

ტოკიოში ბევრი ტაძარია. ისინი შესანიშნავნი არიან თავისი არქიტექტურით. მათ შორის სანიმუშოა იაპონიის კლასიკური არქიტექტურის იშვიათი ძეგლი — ტაფარი იასუკუნი. ამ ტაძრის მიხედვით აუგიათ კიდევ სხვა მრავალი ტაძარი. ტაძრებს საერთოდ აგებენ ლამაზ და გამწვანებულ ადგილზე. მის გარშემო, როგორც წესი, ყოველთვის ბაღია გაშენებული. ტაძრის შიგნით წარწერებით აჭრელებული ქვების მეტს კაცი ვერავითარ ღირსშესანიშნავს ვერ ნახავს. მხოლოდ ერთ კუთხეში დადგმულია ლითონისგან გაკეთებული კრიალა მრგვალი სარკე. ეს მზის ქალღმერთის — ამატერასის სიმბოლოა, რომლის კულტს იაპონიაში დიდ პატივს სცემენ.

იაპონიაში გაბატონებულია ორი რელიგია: ბუდისტური და სინტოისტური. მათ შორის მაინცდამაინც დიდი განსხვავება არაა. ბუდიზმი იცავს საერთოდ წინაპრების კულტს, სინტოიზმი — იმპერატორისა და მისი წინაპრების კულტის თაყვანისმცემელია. იაპონიაში ერთ ოჯახში შეიძლება ორივე რელიგიის მორწმუნენი იყვნენ. ერთ კაცს შეუძლია ერთსა და იმავე დროს ორივე რელიგიას ემსახუროს.

(დასასრული იქნება)



# [illegible]

## ზურამ გომართელი

ახალწლის დადგომასთან ერთად, ზეიმით, მისალმებებით და დიდი დაპირებებით იწყება ხოლმე სპორტული სეზონი. შემდეგ მას მოსდევს მრავალი დაძაბული დღე, საინტერესო, დაუვიწყარი შეხვედრა, სპორტისათვის დამახასიათებელი აზარტი და გატაცება, გამარჯვება თუ მარცხი. წელიწადის დამთავრებასთან ერთად, ზოგისთვის უფერულად და ჩუმად, ზოგისთვის კი კვლავ ზეიმით და ღირსეული ნადავლით მთავრდება სპორტული სეზონიც.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე მტკიცედ მოიკიდა ფეხი საბჭოთა სპორტსმენმა, რომელიც ბრწყინვალე შედეგებით ამთავრებს ყოველ წელს და მონოპოლიას იმკვიდრებს სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. ეს იმდენად ნათელი და აშკარაა, რომ საზღვარგარეთის სპორტსმენებიც კი იძულებული არიან აღიარონ ჩვენი სიძლიერე. თვალი გადავავლოთ საქართველოს სპორტსმენთა წვლილს საერთო საქმეში.

როგორი იყო ჩვენთვის 1957 წელი, როგორი შედეგებით მოვედით ფინიშამდე?

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ და მხოლოდ იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომელიც ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნადაა გადაქცეული.

რაზე გვტკივა გული? ვიტყვით პირდაპირ — ქართველ სპორტსმენებს შეუძლიათ გაცილებით მეტის გაკეთება. სწორედ ამ მაქსიმუმს მოითხოვენ მათგან სპორტისმოყვარულები, და სამართლიანადაც მოითხოვენ.

გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. პირველ ყოვლისა ეს ითქმის ამიერკავკასიის და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადის შესახებ, რომელზედაც საქართველოს ფიზკულტურელებმა დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი.

ცალკეულმა სპორტსმენებმა, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ოქროს მედლებიც მოიპოვეს.

მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ეს ზღვაში წვეთია.

განა ჩვენ მეტს არ მოველოდით კალათბურთელების, მძლეოსნების, ტანმოვარჯიშეების, მოკრივეების, ფრენბურთელების და ფეხბურთელებისგან?

ნინო დუმბაძის, ელენე გოკიელის, ლევან სანაძის წასვლას თან მოჰყვა საქართველოს მძლეოსანთა უკან-უკან სვლა. ჩვენი მძლეოსნები აბსოლუტურად აღარ ჩანან ასპარეზზე, ისინი უკანასკნელი ადგილებით კმაყოფილდებიან საკავშირო პირველობებზე.

კალათბურთი? სახელგანთქმული თბილისის „დინამო“, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ კავშირის უძლიერეს გუნდს წარმოადგენდა, რომელიც არა ერთი ოქროს მედლისა და თასის მფლობელია, დღეს ველარ ხიბლავს მაყურებლებს თავისი მიღწევებით. მას გადაედო მეტად მავნე სენი—„...სხვის მოედანზე“ წაგება. აღარ შერჩათ ის აზრიანი, ტემპიანი თამაში, რაც ესოდენ სახელს უხვეჭდა მათ.

უკანასკნელად ქართველ მოკრივეებიდან ხანუკაშვილი ატარებდა ჩემპიონის ოქროს მედალს. თუმცა ერთ პერიოდში კვლავ გამოჩნდა ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდობა, ძმები დარბაისლები, თ. მიქაელიანი, ფ. ლომიძე, კალაჯევი. მაგრამ ისინი—სხვადასხვა მიზეზებით ადრეულად ჩამოაკლდნენ უძლეველთა რიგებს.

ყველაზე გულდასაწყვეტი, ყველაზე მტკივნეული და ახლობელი ქართველ სპორტის მოყვარულთათვის მაინც ფეხბურთია. არც დიდსა და არც პატარას არ შეუძლია დაწყნარებულად, აუღელვებლად იმსჯელოს ფეხბურთზე.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვემდურით რესპუბლიკის გუნდებს. ჩვენი ახალგაზრდული კოლექტივები (ტტს, ახალგაზრდობის ნაკრები, ნორჩი დინამოელები) გასულ წელს საპატიო გამარჯვებებით გამოვიდნენ საკავშირო ასპარეზზე.

გულშემატკივრებს „ჩვენი „დინამოს“ ბედი გვაწუხებს. განა გასაკვირია, რომ ასე ახლოს მიგვაქვს გულთან ყველა მიღწევა. თუ მარცხი სპორტსმენებისა? ამას პატრიოტული, თავმოყვარეობის და გამარჯვებისადმი რწმენა გვიკარნახებს.

„დინამოს“ წარუმატებლობის პრობლემის გადაჭრა ცოტა არ იყოს რთული საკითხია. ვიტყვით მხოლოდ ჩვენს აზრს. რაც მთავარია, დინამოს გუნდის წევრებს შორის აუცილებელია გადახალისება, სწორედ გადახალისება, რადგანაც დღეს გუნდში მოლლილობა, მოდუნება და ერთგვარი მობეზრების ტენდენცია მეფობს. სანამ გუნდის წევრებს შორის ნამდვილი მეგობრული, კოლექტიური ატმოსფერა არ შეიქმნება, ყოველგვარი გარეშე ცდები უნაყოფოა. გარეშე ცდებს ჩვენ ვეძახით მწვრთნელთა საბჭოს, გუნდის უფროსების ცვლას, მკაცრი დღის რეჟიმის შემოღებას, ამა თუ იმ დაპირებებისა და საჩუქრებით გუნდის გაძლიერების ცდებს.

რა თქმა უნდა, ჩვენ ერთი წუთითაც არ უარვყოფთ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ ძირითადი ეს როდია. გამოდის ასე, იცვლება გარემო პირობები, ძირითადი, მამოძრავებელი ბირთვი — მოთამაშეები კი „უძრავი“ რჩება.

მომავალი წლის ფეხბურთის სეზონი ბევრს პირდება ქართველ სპორტისმოყვარულებს. თბილისის „დინამოში“ მოხდა საგრძნობი ცვლილებები, რომლებიც უეჭველად თავიანთ სიტყვას იტყვიან მომავალ ჩემპიონატში.

გუნდის უფროს მწვრთნელად მოწვეულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სოკოლოვი.

მწვრთნელებად დანიშნეს აგრეთვე „ძველი დინამოელები“, სპორტის დამსახურებული ოსტატები გრიგოლ გაგუა და მიხეილ მინაევი.

„დინამოს“ შემადგენლობაში მიღებული არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები სხვადასხვა გუნდებიდან. ცხადია, ასეთი ცვლილებები გავლენას მოახდენს „დინამოს“ მომავალ თამაშზე.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ძველების შეცვლა ახალგაზრდების ვალია. განა უდაო არ არის, რომ ახალგაზრდობის აღზრდა, მათთვის ხელის გაწოდება საბჭოთა სპორტის წინსვლისა და სიძლიერის უებარი საშუალებაა. მაგრამ ამაზე ნაკლებად ზრუნავენ ჩვენი სპორტის ვეტერანები. სტოვებენ რა ასპარეზს, აღარ ფიქრობენ თავიანთი შემცვლელების აღზრდაზე, ფუჭად კარგავენ იმ მდიდარ გამოცდილებას, რაც მათ მრავალწლიან მოღვაწეობის მანძილზე დააგროვეს.

შეიძლება შეგვეკამათონ: მათი უმრავლესობა მწვრთნელის სამუშაოზეა გადასულიო. ეს არ არის მთავარი, ზოგიერთი მათგანი ვალის მოხდის მიზნით ამეცადინებს სექციებს, ზერელედ და გულგრილად ეკიდება ამ საქმეს. ასეთ მიდგომას ზიანის მეტი არაფერი არ მოაქვს.

ხოლო მათ, ვინც მთელ თავის გამოცდილებას და ენერგიას ახალგაზრდობის აღზრდას და დაუფლებას ანდომებს, შედეგიც სასახელო და საამაყო აქვთ.

ავიღოთ ჭიდაობა. მსოფლიოს ყველა კუთხეში სადაც კი ჭიდაობის შესახებ ასე თუ ისე რამე გაეგებათ, შესანიშნავად იცნობენ ქართველ ფალავნებს გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძეს, მირიან ცალქალამანიძეს, დავით ციმაკურიძეს, გოგი სხირტლაძეს.

წლები გადის და მოჭიდავეთა კადრები და ძალები არ ილევა. ყოველ წელს ახალ-ახალი ფალავანი ჩნდება, ყოველ შეჯიბრზე ახალი ჩემპიონი იბადება. ეს გულს გვიხარებს და სიამაყით გვავსებს. რითაა გამოწვეული ყველაფერი ეს? იმით, რომ ჭიდაობა ქართველი ხალხის საყვარელი და უძველესი სპორტია, იმით, რომ მას მდიდარი ტრადიცია და გამოცდილება აქვს. ამას გარდა, რაც მთავარია, ამ საქმეს ყავს ერთგული, ნამდვილი გულშემატკივრები, საქმის მოყვარული ადამიანები, გიორგი თიკანაძე იქნება ეს თუ შ. ორდჯონიკიძე, ლ. ძეკონსკი თუ დ. ციმაკურიძე.

ასეთი ხალხი თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ მაინც არის. ოთარ ქორქიას სახელი ჩვენს რესპუბლიკაში ვგონებ ისე არ არის ცნობილი, როგორც მის საზღვრებს გარეთ. ოთარს ათი წლის განმავლობაში ევროპისა და აზიის ქვეყნების სტადიონზე გაყავდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი და მისი გამარჯვებების აქტიური მონაწილე



აი, რა სიხარულს და აღტაცებას იწვევს მაყურებელში გამარჯვება, რომელიც ლამაზად და ვაჟკაცურადაა მოპოვებული.

და სულისჩამდგმელი იყო. მერედა როგორი იყო ამ სახელმოხვეჭილი კალათბურთელის პირველი ნაბიჯები სპორტში. მან თავის პატარა ეზოში, საკუთარი ხელით შეკერილი ბურთით დაიწყო კალათბურთის თამაში. ეს როდი დავიწყნია ოთარს. დღესაც თამაშობს ეზოში ბურთს ქორქია, მხოლოდ ამჯერად პატარა ბიჭებს, „მომავალ ქორქიებს“ ავარჯიშებს. უფრო მეტიც, სპორტის ამ სახელგანთქმულმა ვეტერანმა თავის მრავალრიცხოვან „ნადავლიდან“ ორი თასი ამოარჩია და გადასცა თბილისის ფიზკულტურის კომიტეტს, რათა იგი გახდეს გარდამავალი ჯილდო ეზოს გუნდებს შორის გამარჯვებულ კოლექტივებისათვის.

„განუმეორებელმა ცენტრმა“ ბორის პაიჭაძემ დატვირთვის მიუხედავად, იკისრა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში უხელმძღვანელოს ფეხბურთელთა სექციას. აბა, წარმოიდგინეთ რა სიხარულით, გულმოდგინებით და სიამაყით აივსებიან პატარები, როდესაც მათი მწვრთნელი „ფეხბურთის კარუზო“, თვით ბორის პაიჭაძე ვარჯიშის დროს გადააწოდებს ბურთს.

განა დასაფასებელი არ არის ზესტაფონელი მწვრთნელის ს. საყვარელიძის სპეტაკი და თავდადებული მუშაობა, რომელიც რესპუბლიკას ნორჩ მოფარიკავეებს უზრდის?!

ასეთი შესანიშნავი, კეთილშობილური თაოსნობა მისაბაძი და მისასალმებელი უნდა გახდეს. ეს დიდად შეუწყობს ხელს ახალი, მზარდი კადრების შექმნას. ჩვენი სპორტული ღირსების განმტკიცებას.



ის გუნდი, რომელიც ასეთი თავგანწირვით თამაშობს, ყოველთვის მიაღწევს სასურველ შედეგს.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში გაიხსნა ქართული წიგნის, გრაფიკისა და პლაკატის პირველი გამოფენა, რომელიც მოაწყო საქ. სსრ კულტურის სამინისტრომ. გამოფენაზე წარმოდგენილი ათასობით ექსპონატი მნახველს აცნობს ქართული წიგნის განვითარების ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე.

ხელნაწერთა უმრავლესობა გამოფენაზე ფოტოპირებითაა წარმოდგენილი. აქვეა ექსპონირებული ხელნაწერი წიგნების კამარები, თავბოლოკაზმულობანი და მინიატიურები, რომლებიც ადასტურებენ ქართველ მხატვართა დიდ გემოვნებასა და ოსტატობას.

გამოფენაზე წარმოდგენილია „ადიშის ოთხთავის“ (897 წ.), „დაეითნის“ (904), „ჯრუჭის ოთხთავის“ (936) და სხვათა ფოტოპირები. დიდ ყურადღებას იმსახურებს იერუსალიმში 864 წელს დაწერილი და სინას მთაზე დაცული მრავალთავი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი თარიღის მქონე ქართული ხელნაწერია, ბერთისა და წყაროსთავის სახარების ყდები (ფოტოპირები), შესრულებული ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ. აღსანიშნავია XI საუკუნის „ალავერდის ოთხთავის“ ვერცხლის ყდა, შემკული ძვირფასი თვლებით, ტიხროვანი მინანქრითა და წმ. გიორგის გამოსახულებით და ორიგინალური ქართული მუსიკის ნიშნებით შემკულ X საუკუნის ალავერდის სძლისპირები, მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული და სხვ.

მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს უძველესი ქართული დათარიღებული წარწერა — ბოლნისის ეპიგრაფიკული ძეგლი (მე-5 ს.), „ვეფხისტყაოსნის“ 1624, 1671, 1680 წლების ხელნაწერთა ფოტოპირები, ჭიაბრის შეწირულების წიგნი შიომღვიმის მონასტრისადმი. აღსანიშნავია, რომ ამ გრაგნილზე ორი სტრიქონი დაწერილია თამარ მეფის ხელით. ეს ერთადერთი ხელნაწერია თამარ მეფისა.

გამოფენის მეორე განყოფილება იხსნება „ქართულ-იტალიური ლექსიკონით“, რომელიც დაიბეჭდა რომში 1629 წ. ესაა ქართული შრიფტით ნაბეჭდი პირველი წიგნი. წიგნის ავტორები არიან სტეფანე პაოლინი და ნიკიფორე ირბახი ანუ ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი. არა ნაკლებ საინტერესოა ფრანცისკო-მარია მაჯიოს მიერ შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“ (1670).

გამოფენის შუა სტენდებზე წარმოდგენილ წიგნებს შორის ყურადღებას იპყრობს ვახტანგის თანამოღვაწეთა მიერ მოსკოვსა და პეტერბურგში გამოცემული წიგნები. წარმოდგენილია თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფონდში დაცული „მარხვანის“ ფოტოპირი. წიგნის ფურცლებზე მინაწერებით მტკიცდება, რომ ეს წიგნი ერეკლე II საკუთრება ყოფილა.

მნახველთა დიდ ყურადღებას იპყრობს 1780-82 წ. წ. ერეკლე II-ის სტამბაში გამოცემული წიგნები.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა ბოლოს უღებს თბილისის სტამბის მუშაობას. 1796 წ. სტამბა ეწყობა ქ. მოზდოკში. სტენდზე ვხედავთ გაიოზ რექტორის „ღრამატიკას“, რომელიც დაიბეჭდა ქ. მოზდოკში 1796 წ.

1800 წლიდან იმერეთში იწყებს მოქმედებას პირველი სტამბა. იგივე სტამბა 1809 და 1811 წელს წესში მუშაობს, ხოლო 1815 წ.— საჩხერეში. აქ გამოფენილია წესში დაბეჭდილი პაწაწინა წიგნი „სავედრებელი ღვთისმშობლისა“ და საჩხერეში დაბეჭდილი „სახარების“ ფოტოპირები.

ყურადღებას იპყრობს ოსური „საცისკრონი ლოცვანი“, ქართული (ნუსხური) შრიფტით დაბეჭდილი. წიგნის მარცხენა გვერდზე ქართული ტექსტია, მარჯვნივ — ოსური.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართული კულტურის დიდი მოამაგის მარი ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის ავტორობითა და რედაქციით გამოცემული წიგნები. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ვახუშტის „გეოგრაფია“, „ქართლის ცხოვრება“ და სხვ.

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში პეტერბურგში გამოდის ქართული წიგნები. ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, კირ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი „ჩონგური“. ამ კრებულში პირველად ქვეყნდება ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის ლექსები. აქვეა ნეკრასოვის პოემა „პოეტი და მოქალაქე“. საყურადღებოა 1851-1867 წ. გამოცემული სახელმძღვანელოები: პლ. იოსელიანის „ანბანი“, ი. კერესელიძის, პ. უმიკაშვილის, დ. ფურცელაძის ანბანები. 1865 წ. იწყებს თავისი სახელმძღვანელოების ბეჭდვას დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი. ამ პერიოდში გამოდიან სამწერლო ასპარეზზე ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ეგ. ნინოშვილი, ექ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური. აქვეა წარმოდგენილი შექსპირის უკვდავი ქმნილებების მაჩაბლისეული თარგმანები.

წიგნებზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით უშვებდნენ იაფფასიან წიგნებს. გამოფენაზე ბევრი ასეთი წიგნია წარმოდგენილი, ლამაზი მხატვრული გაფორმებით. ყველაზე პოპულარული ყოფილა „არსენას ლექსი“, რომელიც 1921 წლამდე 47-ჯერ გამოვიდა. „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე იაფი გამოცემა დაბეჭდილია ოზურგეთში 1891 წ. ესაა ა. მიქელაიშვილისა და კ. თავართქილაძის გამოცემა (ფასი 30 კაპ.).

90-იან წლებში წიგნის ბეჭდვა უკვე აღარაა იშვიათი მოვლენა. საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში წარმოებს წიგნის ბეჭდვა. წიგნები იბეჭდება საქართველოს გარეთაც (კონსტანტინოპოლი, ვენეცია, მონთობანი). მნახველი ეცნობა სოციალურ თემებზე დაწერილ წიგნებს. იბეჭდება ვ. ლენინისა და ი. ბ. სტალინის არალეგალური შრომები. 1905-07 წლებში საქართველოსაც მოედო რევოლუციის მძლავრი ტალღა. ეს იგრძნობა წიგნის გამოცემებშიც. ადგილი ეთმობა მოკლე მოწოდებებს და ბროშურებს. გამოდის ი. ბ. სტალინის „დიალექტიური მატერიალიზმი“ (ანონიმის სახით). გამოფენაზე წარმოდგენილია ზოგიერთი არალეგალური გამოცემის ფოტოპირები.

აღსანიშნავია ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური ნაწარმოებები, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომები საქართველოს ისტორიაში, ვახუშტის შრომათა გამოცემები (1908-1913 წლები). რუსულ ლიტერატურიდან: ტოლსტოის, პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა ნაწარმოებები. უცხოური ლიტერატურიდან: ზოლას, ჰაუპტმანის, უაილდის, მოპასანის, ჰაინეს, ბიჩერ-სტოუს, დიკენსის ნაწარმოებთა თარგმანები.

1917 წლის მიწურულში იწყება ბრძოლა სკოლის გაეროვნებისათვის. თბილისში არსდება უნივერსიტეტი. რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაფანტული ქართველი მეცნიერები თავს იყრიან დედაქალაქში და აქვეყნებენ თვალსაჩინო შრომებს. მათ შორის სტენდებზე ვხედავთ ა. რაზმაძის „მათემატიკური ანალიზის კურსს“, ივ. ბერიტაშვილის „ცხოველთა ფიზიოლოგიას“, პ. მელიქიშვილის გამოკვლევებს, ივ. ჯავახიშვილის საისტორიო ნაშრომებს, აკ. შანიძისა და გ. ახვლედიანის ენათმეცნიერო შრომებს. ამ დროიდან ფართოვდება პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემაც.

გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი პერიოდულ პრესას. პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ გამოვიდა თბილისში 1819 წლის 8 მარტს. სტენდებზე გამოფენილია ჟურნალ-გაზეთები „ტფილისის უწყებანი“, „ცისკარი“, „გუთნის-დედა“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „მნათობი“, „ივერია“, „იმედი“.

სპეციალური კუთხე აქვს დათმობილი „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემებს.

გამოფენის უდიდესი ნაწილი მიძღვნილია საბჭოთა პერიოდში გამოცემულ წიგნებისადმი. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განყოფილებაში ცალკეა გამოფენილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები. 1921-1956 წლებში მარქსიზმის კლასიკოსების 1086 სახელწოდების წიგნია დაბეჭდილი 11.566.000 ტირაჟით. ამავე განყოფილებაში ფართოდაა მოცემული ფილოსოფიის, პედაგოგიკის, ისტორიის, ენათმეცნიერების და სხვა დარგების მნიშვნელოვანი გამოცემანი.

მრავალფეროვანია საბავშვო ლიტერატურის განყოფილება. 1921-1956 წ. წ. სულ გამოცემულია 1405 სახელწოდების საბავშვო წიგნი.

ქართული წიგნის პროდუქციაში დიდი ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ ლიტერატურას ეკუთვნის. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართულ ენაზე იშვიათად მოიძებნებოდა მეცნიერული ხასიათის სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ლიტერატურა, ამჟამად მშობლიურ ენაზე უხვად გამოდის როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი მეცნიერული ნაშრომები.

გამოფენაზე წარმოდგენილ სამედიცინო და საბუნებისმეტყველო დარგების წიგნებიდან დიდ ყურადღებას იმსახურებს ი. ბერიტაშვილის, ნათიშვილის, წინამძღვრიშვილის და სხვ. ორიგინალური ნაწარმოებები.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოში რუსულ ენაზე გამოცემულ ქართველ ავტორთა წიგნებს. წარმოდგენილია თარგმანები მხატვრული ლიტერატურიდან. ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების გვერდით, ვხვდებით თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ენებზე თარგმანებსაც.

ცალკე სტენდზეა წარმოდგენილი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში გამოცემული წიგნები.

გამოფენა მთავრდება ქართული პერიოდიკით 1921-1957 წ. და 1957 წ. გამოცემული წიგნებით.

გამოფენის დარბაზის კედლებს ამშვენებს გამოჩენილი საბჭოთა გრაფიკოსების ორიგინალები. დიდ მოწონებას იმსახურებენ უ. ჯაფარიძის, გ. გორდელაძის, ი. დივნოგორცევა-გრიგოლიას, ა. ბანძელაძის, თ. სამსონიძის, ქ. მახარაძის, დ. ნოდიას, დ. დუნდუას ნამუშევრები. ყურადღებას იპყრობს ნ. მალაზონიას პლაკატი „ეს არ მოხდება“. აქ წარმოდგენილი მრავალი ექსპონატი ამ დარგის დიდ აღმავლობაზე მეტყველებს.

გამოფენა მცირედი ცვლილებების შემდეგ მოეწყობა ქ. მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

**ლეილა ზამბახიძე**

# 800 წლის ბეტონი

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აშენებული მრავალი ციხე-სიმაგრეა. დღემდე მოაღწიეს იმ ნაგებობებმა, რომლებშიც გამოყენებული იყო გამომწვარი აგური, ხელოვნური ხსნარები და ბეტონი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ათეული საუკუნის წინ არის აშენებული.

ბეტონი ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი წამყვანი სამშენებლო მასალაა. ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ნაგებობა, სადაც ბეტონი არ იყოს გამოყენებული.

ზუსტად განსაზღვრა იმისი, თუ როდის წარმოიშვა იდეა მშენებლობაში ბეტონის გამოყენებისა, მეტად ძნელია. საქართველოში ისტორიული ძეგლების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აქ უძველესი დროიდან ყოფილა ხმარებაში ხელოვნური ხსნარები. საქართველოში მოპოებული მასალები საკმაო წარმოდგენას გვაძლევენ იმაზე, თუ როგორი დახელოვნებული ყოფილან ტექნიკურად ჩვენი ძველი მშენებლები დიდი სიმტკიცის მქონე ხსნარებისა და ბეტონების კეთებაში. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ გეგუთის ციხე-დარბაზის მასალები — ეს დარბაზი გაშენებულია დასავლეთ საქართველოს იმ რაიონში, სადაც მდინარე რიონს ერთვის ყვირილა და ხანისწყალი. ზუსტად არ არის დათარიღებული ამ მშვენიერი დარბაზის მშენებლობის წლები. ზოგიერთი მკვლევარის აზრით მას აკუთვნებენ მეთერთმეტე საუკუნეს.

არქ. ვ. წილოსანის აღწერით გეგუთის დარბაზი წარმოადგენს იმ დროისთვის არქიტექტურულად დასრულებულ ნაგებობას — სასახლე-დარბაზს, რომელიც ხუროთმოძღვარ-მშენებელს კარგად შეუხამებია ადგილობრივ რელიეფთან. დავათვალიერეთ გეგუთის დარბაზის ნანგრევები და შევისწავლეთ ის ხსნარები და ბეტონი, რომელიც გამოყენებული იყო ამ ნაგებობაში დაახლოებით, 800 წლის წინათ. ხსნარების სიმაგრე ეტოლებოდა 60 კგ/სმ² და ბეტონი კი 130 კგ/სმ². ეს ისეთი სიმკვრივეა, როგორიც დღეს მეტად საპასუხისმგებლო ნაგებობებში იხმარება.



**პეტრე წულუკიძე**









# ოთხფეხა ექიმი

ერთხელ თბილისის ზოოლოგიურ პარკში შეიპარა უსახლკარო თეთრბეწვიანი ძაღლის ლეკვი. ცხადია, მას მხეცების ნახვა არ აინტერესებდა. ჰაერს ყნოსავდა, ბუჩქებსა და ხის ძირებს აწყდებოდა — იქნებ ლუკმა ვიპოვოო...

საღამოს, როცა პარკიდან ხალხი გაიკრიფა, დაქანცულმა და შიმშილისაგან არაქათგამოცლილმა ცუგომ მტაცებელ ცხოველთა განყოფილებაში ამოყო თავი. მელიების გალიასთან ჩაცუცქებული სევდიანი თვალებით შესცქეროდა როგორ მადიანად ვახშმობდნენ მელაკუდები. ცუგომ ნერწყვი გადაყლაპა.

სწორედ ამ დროს პარკის ბრიგადირი ნატალია დილმელაშვილი და მუშა ბიტარიშვილი გამოჩნდნენ. ისინი გალიიდან გალიასთან გადადიოდნენ და ცხოველებს ხორცით უმასპინძლდებოდნენ. ნატალიამ შენიშნა კუთხეში მიგდებული ლეკვი, ბრიგადირი მიხვდა, რომ ცხოველი მშიერი იყო.

ლეკვი ხარბად დააცხრა ხაკვებს. როცა ჭამა გაათავა, მივიდა ქალთან, ჩაცუცქდა და მადლიერების ნიშნად დრუნჩი ფეხზე დაადო.

ამგვარად, ლეკვი პარკის ბინადარი გახდა.

განვლო რამდენიმე კვირამ. ლეკვი თანდათან შეეჩვია მხეცებს, მათ აურ-ზაურს. დილით, გალიიდან გამოსვლისთანავე მოივლიდა პარკის მთელ ტერიტორიას, გულმოდგინედ ათვალიერებდა ყველა განყოფილებას.

ბროლია მუქთად როდი ჭამდა პურს. მან ნებაყოფლობით იკისრა წესრიგის დაცვა. მაგალითად, როდესაც პარკში მოხული ახალგაზრდები გალიების ბადესთან მივიდოდნენ და ცხოველებს აღიზიანებდნენ, იგი ყეფით მიიჭრებოდა მათთან და ცდილობდა ხარიხიდან გამოეყვანა ისინი.

ყოველ დილით პარკის ჩვეულებრივი შემოვლისას ბროლიას ყურადღებას იპყრობდა ცხოველთა მეფე — ლომი, რომელიც ზოოპარკში ცეზარის სახელით არის ცნობილი. ლეკვი დიდხანს იდგა ხოლმე ლომის გალიის წინ და გულდასმით ათვალიერებდა მას.

ბროლია თანდათან შეეჩვია ლომს, უკვე აღარ აშინებდა მისი გრუხუნი. პირიქით, ეტყობოდა, მასთან დაახლოება სურდა. ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩათ პარკში მომუშავე სპეციალისტებს.

— საინტერესოა, რა მოხდება, ლეკვი რომ ლომის გალიაში ჩავსვათ? — დაინტერესდნენ ზოოპარკის თანამშრომლები. — აი, ისე, როგორც მოსკოვისა და პეკინის ზოოლოგიურ პარკში მოიქცნენ.

მაგრამ სპეციალისტებს ერთი გარემოება აფიქრებდა. საქმე ისაა, რომ პეკინისა და მოსკოვის ზოოლოგიურ პარკებში ზრდადასრულებულ მხეცის გალიაში კი არ ჩაუსვამთ ლეკვი — ლომი და ძაღლი პატარაობიდანვე ერთად იზრდებოდნენ. ცხადია, მაშინ ლომს არ ჰქონდა გაღვიძებული მტაცებლის ინსტინქტი, ამიტომ თავიდანვე დაუმეგობრდა ძაღლს. ცეზარს კი, ხანში შესულ მხეცს, შეიძლება ბროლია გალიაში შესვლისთანავე მოეკლა.

— ვცადოთ, იქნებ დამეგობრდნენ კიდეც, — ასეთი იყო საერთო აზრი და გადაწყდა ლომის გალიაში ლეკვის მოთავსება.

და აი, ცხოველთა მეფის ცხოვრებაში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა — მისი მყუდროება დაარღვია ძაღლის ლეკვმა ბროლიამ. ცეზარმა ხახა დააღო და გაშმაგებით გახედა უცნაურ ცხოველს, რომელმაც მასთან მისვლა გაბედა.

გულუბრყვილო ბროლიამ კი უშიშრად მიირბინა ცეზართან და ცხვირი მუცელში აძგერა. მაშინ გამწყრალმა ლომმა ღრიალით უკუაგდო იგი. მაგრამ ბროლია როდი შეუშინდა ფაფარაყრილ მხეცს — ონავრობა დაიწყო, მიმორბოდა და ცეზარს სათამაშოდ იწვევდა. იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ ამ საშინელ ცხოველს კბილის ერთი გაკვრით შეეძლო მისი დაფლეთა.

ასეთი უჩვეულო შეხვედრით დაიწყო ლომისა და ძაღლის მეგობრობა.

რას არ სჩადის ოინბაზი ბროლია.

აი, დარბაისლურად წამოწოლილი ცეზარი განცხრომით ისვენებს. ამ დროს ლეკვი მიეპარება, კუდში პირს ჩაავლებს, ექაჩება — ადე, ნუ ზანტობ, ვითამაშოთო. ლომიც „ხათრს“ ვერ უტეხს, წამოდგება, გაიზმორება და დაჰყვება პაწაწკინტელა მეგობრის ნება-სურვილს.

ცეზარმა ბეწვი შეიცვალა. მაგრამ, რატომღაც, მუცლის არეში რამდენიმე ადგილას შეწებებული ბეწვი დარჩა. როგორც ეტყობა, ბროლიას არ მოეწონა ეს და გადაწყვიტა „მეფის ტანსაცმელი“ თვითონ მოეყვანა წესრიგში. ძაღლი კვალდაკვალ დასდევდა გალიაში მოსეირნე ცეზარს და კბილებით აცლიდა კოშტად შეკრულ ბეწვს. და ეს მანამდე გაგრძელდა, ვიდრე სავსებით არ გაასუფთავა ლომის ქათიბი.

მართალია, ძაღლი ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ იშვიათ გონიერებას ავლინებს. მაგალითად, ზაფხულში, როდესაც მხართეძოზე წამოწოლილი ცეზარი ისვენებს, ბროლია მის კუდთან წვება და უშფოთველად თვლემს.

რატომ წვება ლეკვი ცეზარის კუდთან?

ძილის დროს ბროლიას ბუზები აწუხებენ. ეს აბეზარა მწერები, ცხადია, ცეზარსაც ნერვებს უშლიან და იგი კუდით იგერიებს მათ. ამგვარად, ლომის კუდთან ბუზის ჭაჭანებაც არაა. სწორედ ამიტომაა იქ მოკალათებული ბროლია.

როცა აცივდა, ბროლიამ „რეზიდენცია“ გამოიცვალა — ღამე უწვებოდა ლომს მუცელთან, რომელიც ხშირი და გრძელი ბეწვითაა დაფარული. დღისით კი, თუ სითბო მოენატრებოდა, ლომს წინა თათებს შორის ჩაუჯდებოდა ხოლმე.

ბროლიას გალიაში დაუდგეს თივით სავსე ყუთი. მაშინ ძაღლმა თავი ანება ლომის თბილ მუცელს და საწოლად ყუთი აირჩია. როგორც ეტყობა, ცეზარს არ მოეწონა მობინადრის დაკარგვა და ყუთი ნამსხვრევებად აქცია, თივა კი გალიაში მიმოფანტა. ამის შემდეგ ბროლიასა და ცეზარს მუდამ ჩახუტებული სძინავთ.

კვირაობით მსხვილ მტაცებელ ცხოველებს არ ეძლევათ ულუფა, რადგან ამას პროფილაქტიკა ითვალისწინებს, სხვა ცხოველებს კი აძლევენ ულუფის ნაწილს.

ერთხელ ცეზარი საზაფხულო გალიაში იყო გაშვებული, ხოლო ბროლია ზამთრის სადგომში ცხოვრობდა. ძაღლს შეეძლო ცეზართან გასვლა, ლომს კი არა. აი, ბროლიას ხორცის რამდენიმე ნაჭერი შეუგდეს გალიაში. ძაღლმა დაინახა, რომ ცეზარს გვერდი აუარეს და საკვები არ მისცეს. ბროლიამ არ დააყოვნა და ლომს მიართვა ხორცის ნაჭერი. ცეზარმა პირი არ ახლო ხორცს — მე რომ ეს შევჭამო, პატარა მეგობარი მშიერი დარჩებაო.

ბევრი კარგი ახსოვს ცხოველთა მეფეს ბროლიასაგან, მაგრამ ერთი რამ არასდროს არ დაავიწყდება. ჯერ კიდევ სამი წლის იყო ცეზარი, რომ მექანიკური დაზიანების გამო ქვედა ყბაზე ფისტულა გაუჩნდა და სანერწყვე ჯირკვლის სადინარი დაზიანების ზონაში მოექცა. ამიტომ ჭრილობიდან ჩირქთან ერთად ნერწყვიც სდიოდა. როცა ცეზარი ხანში შევიდა, ჭრილობა გაურთულდა და ხშირად საკვების მიღებაზე უარს ამბობდა. ეს გარემოება მას თანდათან ასუსტებდა და სიკვდილს უქადდა. ჭრილობა მეტად უხერხულ ადგილზე იყო, ამიტომ ლომს არ შეეძლო გალოკვით მისი მოშუშება.

ვეტექიმების კონსილიუმმა გადაწყვიტა, რომ აუცილებელი იყო ოპერაციის გაკეთება. ლომისათვის „ოპერაციის გაკეთება“ ადვილი სათქმელია, მაგრამ შესრულება ძნელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც. ამ შემთხვევაშიც არ მოხერხდა ოპერაციის ჩატარება. ცეზარი საშინლად იტანჯებოდა.

ბროლიამ შეამჩნია, რომ მეგობარი ვერ იყო გუნებაზე ავადმყოფობის გამო, ამიტომ „გადაწყვიტა“ რადაც უნდა დაჯდომოდა განეკურნა იგი. ძაღლი ლოკავდა ჭრილობას. ცეზარმა იგრძნო, რომ საჭირო იყო ოთხფეხა „ექიმისათვის“ ხელის შეწყობა და თავს ისე მოაბრუნებდა ხოლმე, რომ ბროლიასათვის გაეადვილებინა მუშაობა. ორი თვის შემდეგ ცეზარს ჭრილობა შეუხორცდა და სრულიად განიკურნა.

ერთხელ გარეთ მყოფმა ბროლიამ ფეხი იტკინა და წკმუტუნი მორთო. საზაფხულო გალიაში მყოფმა ლომმა რომ მეგობრის წუხილი გაიგონა, თანაგრძნობა საშინელი ღრიალით გამოთქვა. გააფთრებული მხეცი კბილებით ღრღნიდა რკინის ბადეს, ყალყზე დგებოდა, გალიას აზანზარებდა... ლეკვი დაუყოვნებლივ შეაგდეს ლომის გალიაში. ცეზარი მივარდა ბროლიას, შეათვალიერა, მიუალერსა, და დამშვიდდა.

ამ უჩვეულო მეგობრობამ გაახალისა, სიმხნევე შემატა ცეზარს. მაწანწალა ბროლიას კი კეთილი ცხოვრება დაუმკვიდრა.

ალექსანდრე ივარდავა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-88.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/I-58 წ. გამომც. № 214. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 20.000. შეკვეთის № 773. უე 00051

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии



ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო ნაძვისხესთან ფოტოეტიუდი ა. მნდოიანისა და ა. ვანციანის.

გარეკანის პირველ გვერდზე: ვახტანგ ჭაბუკიანის პორტრეტი.
მხატვარი თ. ყუბანეიშვილი.

მეოთხე გვერდზე: ბაკურიანი. ცხრაწყაროს ქედი.
ფოტო გ. თიკანაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა